სპორტი

№208 (12 278)

4 სექტემბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სახე ეროვნულ გუნდში

დღეს იწყებენ...

2

ნაკრების პირველი მეკარე უგუნდოდ დარჩა

ალექსანდრე კვახაძე

ურტყით შორიდან!

დინამო-მერანი 3:0.

3

უჰრინი ასპროცენტიანია

მეორე გოლი მერანის კარში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

NO COMMENT

მორატორიუმი

6 სექტემბრამდე არავინ არაფერს იტყვის

ფინეთთან მატჩის შემდეგ საქართველოს კალათბურთის ნაკრების ლიდერმა **ზაზა ფაჩულიამ** მოსამზადებელი პირობებით უკმაყოფილება გამოთქვა. ჟურნალისტები ბევრს ვეცადეთ, მაგრამ მოთამაშემ დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა.

ცხადია, სიტუაციაში გარკვევა კალათბურთის ფედერაციის მესვეურებს ვთხოვეთ. მათ განგვიმარტეს, რომ საქართველოს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ აქვს და 6 სექტემბრამდე ყოველგვარი კომენტარისგან თავის შეკავება არჩიეს. მოტივაცია გასაგებია: 5 სექტემბერს რუმინეთი შვეიცარიაში თამაშობს და სტუმართა მოგების შემთხვევაში ქართველები 11 სექტემბერს ფლეი ოფს ვითამაშებთ. ამ მნიშვნელოვან ორმატჩიან სერიაში გუნდი ყველანაირად მზად უნდა იყოს და უნდა შენარჩუნდეს ჯანსაღი ფსიქოლოგიური გარემო.

ერთი სიტყვით, ურემი (საქართველოს ნაკრები) ჯერ მხოლოდ ერთ ბორბალზეა აწეული, 5 სექტემბერს ან გასწორდება, ან გადაბრუნდება. ვნახოთ, შემდეგ რა გზა გამოჩნდება...

ასე რომ, დღეს უნდა დაკმაყოფილდეთ **ვლადიმერ სტეფანიას** ინტერვიუთი მე-11 გვერდზე. სტეფანია სანაკრებო თემასაც შეეხო.

ვაჟა სიმონიშვილი

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ევრო 2008. საქართველო-უკრაინა

ნაკრებს კვახაძე დაემატა

ეროვნული დღეს შეიკრიბება

ეროვნული ნაკრები დღეს ტექნიკურრ ცენტრ "ბასაში" შეიკრიბება და უკრაინასთან 8 სექტემბრის მატჩისთვის დაიწყებს სამზადისს. გუშინ და გასულ უქმეებზე ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ჩემპიონატის მატჩებს დაესწრო და ნაკრებშიც ცვლილებაც განხორციელდა. **კლაუს ტოპმიოლერმა** გამოძახებულთა სიას "ვიტ ჯორჯიას" მცველი **ალექსანდრე კვახაძე** დაამატა. მთლიანად სანაკრებო შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: **გიორგი ლომაია (კარპატი, უკრაინა), ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (დინამო)**

მცველები: **კახა კალაძე (მილანი, იტალია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია) ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), ილია კანდელაკი (კარლ ცაისი, გერმანია), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია)**

ნახევარმცველები: **ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), ლევან ცქიტიშვილი (უკლუბოდ), ჯაბა კანკავა (დნეპრი, უკრაინა), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), გიორგი მერებაშვილი (დინამო), ლევან ყენია (ლოკომოტივი), ალექსანდრე კობახიძე (დინამო)**

თავდამსხმელები: **გიორგი დემეტრაძე (არსენალი, უკრაინა), დავით სირაძე (პადერბორნი), ალექსანდრიაშვილი (კარლსრუე), დიმიტრი ტატანაშვილი (ამერი), ოთარ მარცვალაძე (ზაკარპატიე, უკრაინა), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა)**

გამოძახებულთა ნაწილი გუშინ, შუადღესვე თბილისში იყო. ნაწილს კი წუხელ ელოდნენ. ტოპმიოლერი უკრაინელებთან მზადების პირველ ვარჯიშს დღეს, 18 საათზე გლდანში, "ამერის" სტადიონზე ჩაატარებს. ნაკრები ხვალ დილითაც (11 საათზე) "ამერზე" ივარჯიშებს, 18 საათზე კი წვრთნა ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება. ხუთშაბათს, 6 სექტემბერს ტოპმიოლერი კვლავ "ამერზე" ავარჯიშებს გუნდს. მატჩის წინა დღეს, 7 სექტემბერს კი დასკვნითი წვრთნა ეროვნულ სტადიონზე გაიმართება.

დავით ცაბაძე

მარცხნივ ლექსო კვახაძე

ინტერვიუ ალექსანდრე კვახაძესთან

ნაკრების დებიუტანტი უცხოეთს უმიზნებს

8 და 12 სექტემბერს უკრაინასთან და აზერბაიჯანთან მატჩებისთვის **კლაუს ტოპმიოლერმა** ორ დებიუტანტს უხმო - **ლევან ყენიასა** და **დიმიტრი ტატანაშვილს**. გუშინ კი ტოპმიოლერმა სიას კიდევ ერთი ახალწვეული დაამატა - "ვიტ ჯორჯიას" ცენტრალური მცველი და კაპიტანი **ალექსანდრე კვახაძე**.

საყურადღებოა, რომ ტოპის ყველა ახალწვეული საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდანაა. კვახაძემ წინა სეზონში მართლაც კარგად წარმოაჩინა თავი. "ვიტ ჯორჯიას" დაცვის ბურჯი იყო, ხოლო მეორე ეტაპიდან, როცა გუნდი **დავით დიღმელაშვილმა** დატოვა, კაპიტნის სამკლაურიც მოირგო. წინა ჩემპიონატში 23 მატჩი ითამაშა და ორი გოლი გაიტანა. კვახაძე ტანმაღალია და თან მოქნილი, ორთაბრძოლებშიც ძლიერია და დაზღვევებზეც კარგად ირჯება.

კვახაძეს გუშინვე შევეხმიანეთ...

- სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ახლა ნაკრებში გამომიძახებდნენ, თუმცა წინა სეზონში სტაბილურად ვითამაშე და რამდენიმე დღის წინათ რუსთავის "ოლიმპს" 2:1 რომ მოვუგეთ, იქაც რიგიანად გავისარჯე. ამ შეხვედრას კლაუს ტოპმიოლერი ესწრებოდა. მოკლედ, არ ველოდი, მაგრამ არც ძალიან გამკვირვებია ეროვნულ გუნდში გამოძახება.

- როგორ ფიქრობ, უკვე მზად ხარ ნაკრებში სათამაშოდ?

- კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ ნაკრები განსაკუთრებული რამ არის. ჯერ ალბათ, შეჩვევა მჭირდება, - საერთო სიტუაცია, ფეხბურთელებთან ურთიერთობა...

- ამ სეზონის წინ საუბარი იყო შენს რუსულ "სატურნში" გადასვლაზე - ეს ვარიანტი გამოირიცხა?

- ჯერ სავიზო პრობლემები შეიქმნა, მოკლედ, "სატურნში" გადასვლა არ მოხერხდა, თუმცა ზამთარში ალბათ მაინც წავალ საქართველოდან. უკვე მაქვს რაღაც ვარიანტები, უფრო უკრაინული გუნდებიდან.

- "ვიტ ჯორჯია" ამ სეზონში შარშანდელზე უკეთესი გუნდი ჩანს და ალბათ, ამბიციაც მეტი აქვს...

- გუნდში მართლაც კარგი ახალგაზრდები დანინაურდნენ. წინა სეზონის მეორე წრეში შეთამაშება გვაკლდა და ამიტომ ვერ მოვხვდით სამეულში. ახლა კი დარწმუნებული ვარ, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, გუნდში ისეთი მუხტია, არავის არაფერს დავუთმობთ. მინდა, ჯერ ჩემპიონი გავხდე "ვიტ ჯორჯიაში" და მერე წავიდე საზღვარგარეთ, თუმცა თუ ზამთარში სასურველი გუნდიდან რეალური შემოთავაზება მექნება, უარის თქმა გამიჭირდება.

- როგორ ფიქრობ, ეროვნულ ნაკრებში ადგილი გაქვს?

**- ეს ალბათ, ეროვნული ნაკრების მეკარეებზე ... ეროვნული ნაკრების ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲘ...
ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘ�გᲐ. IV ᲢᲣᲠᲘ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-ᲛᲔᲠᲐᲜᲘ
3:0
03.09. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
1 200 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

1:0 მერებაშვილი (58), 2:0 სპასოევიჩი (65), 3:0 ხუციშვილი (84)

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ: ოვონო – გ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში – ფეიქრიშვილი (62. სპასოევიჩი), დიმელაშვილი (77. ხუციშვილი), მერებაშვილი, ხმალაძე, კობახიძე – აკირემი (81. ფირცხალავა).

ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝᲚᲔᲑᲘ: ლორია, თომაშვილი, შ. კაშია, გონჩაროვი.

ᲛᲔᲠᲐᲜᲘ: თევდორაძე – კობიაშვილი, ლოლაძე, გიგაური, სარალიძე – ბესარაშვილი (75. ჯანგიძე), ლომაშვილი (73. ავალიანი), ჟღენტი (60. სირბილაძე), ნოზაძე, ტყეშელაშვილი – გოჩაშვილი.

ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝᲚᲔᲑᲘ: სეფიაშვილი, გ. კილასონია, ფურთუხია, სევასტოპულო.

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: ხმალაძე (39), გიგაური (48), სპასოევიჩი (70).

ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲘ: ო. ხეცაძე

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲛᲐ:

16 - ჟღენტის ძლიერად დარტყმული ოვონომ აიღო.

19 – კობახიძის გასროლას მეკარე თევდორაძე გადაეფარა.

23 – მასპინძლებს რეალური საგოლე მომენტი ჰქონდათ. აკირემის ჩანოდებისას მერებაშვილი მაკრატელათი შეეცადა ბურთის კარში გადაგზავნას, მაგრამ ვერ მოახერხა.

24 – ფეიქრიშვილმა ამჯერად კარში დაარტყა, მაგრამ თევდორაძემ იმარჯვა.

32 – ოვონოს კიდევ ერთხელ მოუნია კლასის დამტკიცება. "დინამოს" მეკარემ ბესარაშვილის ძლიერად დარტყმული კუთხურზე მოიგერია.

34 – დინამოელთა კიდევ ერთი რეალური საგოლე მომენტი – კობახიძემ ბოლო მცველი კი მოატყუა, მაგრამ კარიდან გამოსულმა თევდორაძემ იმარჯვა და ვითარება განმუხტა.

58 – 1:0 საჯარიმოს მისადგომებთან აკირემი წააქციეს. ჯარიმა მერებაშვილმა ოსტატურად შეასრულა.

65 – 2:0 შეცვლაზე შესულმა სპასოევიჩმა შორიდან ძლიერად დაარტყა კარში. მეკარე თევდორაძე უძლური აღმოჩნდა.

69 – მერანს ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება შეეძლო, მაგრამ ოვონომ გოჩაშვილს რთული ბურთი აუღო.

84 – 3:0 ხუციშვილმა შორიდან ძლიერად დაარტყა, თევდორაძე კვლავ უძლურია.

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲐᲠᲩᲧᲘ ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ!

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲖᲔ 3 ᲒᲝᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ 3 ᲥᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

შეტევაში სანდრო კობახიძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნულ სტადიონსა და თბილისის "დოინამოს" შორისა შეთანხმებას შეედგა - ამიერიდან "დინამო" კვლავ "პაიჭაძეზე" ჩაატარებს საშინაო მატჩებს. შესაბამისად, მიმდინარე სეზონი, გუშინ ""პაიჭაძეზე", ეროვნული დროშის ალმართვითა და ჰიმნით გაიხსნა. მშობლიურ სტადიონს "დინამო" სამი ქულითა და ამდენივე გატანილი გოლით დაუბრუნდა.

წყვილში ფავორიტად "დინამო" იყო მიჩნეული. თუმცა, **დუშან უჰრინის** გუნდს გუშინ, იოლად ნამდვილად არ მოუგია და ეს რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. "მერანმა", რომელიც აქამდე სამივე ტურში დამარცხდა და გოლიც კი არ აქვს გატანილი, ერთობ მონდომებით დაიწყო თამაში. მატჩს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ესწრებოდა სრული შემადგენლობით. **პეტარ სეგრტმა** კი სულაც ახალგაზრდული ნაკრები მოიყვანა სტადიონზე. სტუმარმა ფეხბურთელებმა მაქიმალურად მოინდომეს, ნაკრებების მწვრთნელთათვის თავი რომ მოეწონებინათ. ამას გარდა, ვენაში, "რაპიდთან" 0:5 წაგების კვალი, "დინამოს" აშკარად ეტყობოდა.

ერთი სიტყვით, თამაში დაძაბულად წარიმართა. განსაკუთრებით საინტერესო კი პირველი ტაიმი გამოდგა. პირველად კარში სტუმრებმა დაარტყეს, მაგრამ **ჟღენტის** დარტყმულს მეკარე ოვონო გადაეფარა. მასპინძლებიც მალევე გამოცოცხლდნენ და ზედიზედ ორი ხიფათი შექმნეს მეტოქის კართან.

გუშინ, "მერანმა" პირველ ტაიმში კარგი შთაბეჭდილება დატოვა და რომ არა "დინამოს" მეკარე **დიდიე ოვონოს** საიმედო თამაში, სტუმრები ორს თუ არა, ერთი გოლის გატანას მაინც შეძლებდნენ. მასპინძელთა გაბონელმა გოლკიპერმა ჯერ **ბესარაშვილს**, შესვენების შემდეგ კი **გოჩაშვილს** რთული ბურთი აუღო.

პირველ ნახევარში "მერანი" მაქსიმალურად გაიხარჯა და შესვენების შემდეგ **თამაზ კოსტავას** გუნდს დაღლა დაეტყო. "დინამო" კი პირიქით, კიდევ უფრო გააქტიურდა და მერებაშვილმაც ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. პირველი გოლის შემდეგ ნათლად გამოჩნდა, რომ დინამოელებს ფსიქოლოგიური დაძაბულობა მოეხსნათ. აღსნიშნავია ისიც, რომ მასპინძლებმა გუშინ სამივე ბურთი შორეული დარტყმით გაიტანეს. შორიდან კარში დარტყმას ქართველი ფეხბურთელები ხშირად ნამდვილად არ მიმართავენ და კარგი იქნება თუ ამ მეთოდს უფრო მეტად გამოიყენებენ მოთამაშეები. გამოსარჩევია ისიც, რომ ჩერნოგორიელმა ფორვარდმა **ილია სპასოევიჩმა** გუშინ, მეორე გოლი მიითვალა მიმდინარე სეზონში.

ᲠᲩᲔᲣᲚᲘ
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲠᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სანდრო კობახიძემაც კარგად ითამაშა. თუმცა მასზე არანაკლები იყო გიორგი მერებაშვილი და რჩეულადაც ის დავასახელეთ. ამასთან მერებაშვილის გოლი "დინამოსთვის" ერთგვარი მალამო იყო – გუნდს ფსიქოლოგიური სტრესი მოეხსნა.

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲔᲯᲘᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ (მერანი): "ჩვენმა გუნდმა პირველ ტაიმს დიდი ენერგია შეალია. სამწუხაროდ, გუნდს მეორე ნახევარში დაღლა დაეტყო და ამით კარგად ისარგებლა მეტოქემ. როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავს. ვფიქრობ, "დინამომ" დამსახურებულად მოიგო.

თამაზ კოსტავამ მატჩის მსვლელობისას ბევრი ინერვიულა და შეუძლოდ გახდა, ამიტომაც ვერ მოვიდა პრესკონფერენციაზე.

ᲓᲣᲨᲐᲜ ᲣᲰᲠᲘᲜᲘ (დინამო): "რაპიდთან" სტუმრად წაგების შემდეგ, ეს პირველი თამაში იყო. გუნდს აშკარად ეტყობოდა ვენის მატჩის ფსიქოლოგიური კვალი. ალბათ ამით უნდა აიხსნას, არაერთი საგოლე მომენტი რომ ვერ გამოვიყენეთ. მატჩამდეც ვიცოდი, რომ "მერანი" ბოლომდე იბრძოლებდა, მეტოქეს მზად დავუხვდით და მორიგი გამარჯვება მოვიპოვეთ.

დავით ცაბაძე

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ზესტაფონი	4	3	1	0	10-1	10
2. ვიტ ჯორჯია	4	3	1	0	5-2	10
3. დინამო	3	3	0	0	7-1	9
4. მესხეთი	4	3	0	1	6-4	9
5. ამერი	4	2	0	2	6-5	6
6. მგლები	4	2	0	2	3-3	6
7. ოლიმპი	4	2	0	2	3-4	6
8. გორგომი	4	1	2	1	3-3	5
9. სპარტაკი	4	1	2	1	2-3	5
10. სიონი	3	1	1	1	2-3	4
11. დილა	4	1	0	3	3-6	3
12. ლოკომოტივი	4	1	0	3	4-10	3
13. ბათუმი	4	0	1	3	1-4	1
14. მერანი	4	0	0	4	0-6	0

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ

ვიეირა (ზესტაფონი)	3
კაიდარაშვილი (მესხეთი)	3
იონანიძე (ზესტაფონი)	3
ტატანაშვილი (ამერი)	2
ბ. ჩიტაია (დილა)	2
სახოკია (ვიტ ჯორჯია)	2
რ. ჯიქია (ოლიმპი)	2
შ. ჯიქია (გორგომი)	2
ხუციშვილი (დინამო)	2
გ. მერებაშვილი (დინამო)	2
სპასოევიჩი (დინამო)	2

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘ�გᲐ

ᲐᲚᲐᲛᲘᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘ 2-ᲛᲔᲨᲐᲫᲠᲔ 5:2

ᲓᲦᲔᲡ

ᲒᲐᲒᲠᲐ-Ნ. ᲓᲘᲜᲐᲛᲝ/ᲛᲔᲠᲐᲜᲘ 2
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 2-ᲩᲘᲮᲣᲠᲐ
ᲝᲚᲘᲛᲞᲘ 2-ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ 2
ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲜᲘ-ᲙᲐᲮᲔᲗᲘ

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1 ᲐᲛᲔᲠᲘ 2	3	2	1	0	8-3	7
2 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	2	1	1	0	2-1	4
3 ᲩᲘᲮᲣᲠᲐ	2	1	1	0	2-1	4
4 ᲛᲔᲨᲐᲫᲠᲔ	3	1	1	1	10-7	4
5 ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ 2	2	0	2	0	1-1	2
6 ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲜᲘ	2	0	2	0	1-1	2
7 Ნ. ᲓᲘᲜ/ᲛᲔᲠ. 2	2	0	1	1	1-2	1
8 ᲝᲚᲘᲛᲞᲘ 2	2	0	1	1	1-2	1
9 ᲙᲐᲮᲔᲗᲘ	2	0	1	1	1-3	1
10 ᲒᲐᲒᲠᲐ	2	0	1	1	2-8	1

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲒᲝᲠᲐᲯᲔᲓᲘ-ᲭᲝᲚᲮᲔᲗᲘ ᲮᲝᲜᲘ 1:2
ᲨᲐᲮᲘᲡᲘ ᲠᲐᲭᲐ-ᲛᲔᲨᲐᲮᲒᲝ 3:1
ᲡᲐᲒᲐᲠᲯᲘᲐ-ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ 2 2:4
ᲭᲝᲚᲮᲔᲗᲘ ᲨᲝᲗᲘ-ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡ. ᲥᲣᲗ. 2:0
ᲛᲔᲠᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲯ.-ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ 0:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1 ᲭᲝᲚᲮᲔᲗᲘ შ.	3	3	0	0	6-1	9
2 ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ 2	3	2	1	0	7-2	7
3 ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲝ	3	2	0	1	6-6	6
4 ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲘ	3	2	1	0	6-2	7
5 ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ	3	1	1	1	3-3	4
6 ᲭᲝᲚᲮᲔᲗᲘ Ხ.	3	1	0	2	4-6	3
7 ᲨᲐᲮᲘᲡᲘ	3	1	0	2	3-7	3
8 ᲛᲔᲠᲐᲜᲘ Მ.	3	0	2	1	1-2	2
9 ᲒᲝᲠᲐᲯᲔᲓᲘ	3	0	2	1	4-6	1
10 ᲡᲐᲒᲐᲠᲯᲘᲐ	3	0	0	3	3-8	0

ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲨᲘᲐ

რᲝᲒᲝᲠᲪ იქნა, **კახა ალადაშვილმა** უკრაინას დაანახა, რომ თამაში შეუძლია, ის ზედიზედ მეორედ მოხვდა უკრაინის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში. უჟგოროდის "ზაკარპატიემ" შინ ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" ფრედ 1:1 ითამაშა და მასპინძელთა ერთადერთი ბურთი ალადაშვილის ჩაწოდებას მოჰყვა.

უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" ქართველი მარჯვენა მცველი ზედიზედ მეორედ სიმბოლურში დაასახელა და ასეთი კომენტარით დაასაბუთა არჩევანი: *"მეორე შეხვედრაა ქართველი ფეხბურთელი უჟგოროდელთა შემადგენლობაში საუცხოოდ გამოიყურება. "ზაკარპატიესთვის" ალადაშვილი უდაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა დაცვაშიც და შეტევების ორგანიზებაშიც".*

ორწლიანი ჩავარდნის შემდეგ, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ათამაშდა და იქნებ, მალე სანაკრებოდაც საინტერესო გახდეს. 23 წლის მცველს საამისოდ ყველა მონაცემი გააჩნია და, რაც მთავარია, ეტყობა, საკუთარ კლუბსაც მიაგნო.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ რევაზ ბარაბაძესთან

კარლ ცაისიდან განათხოვრება მინდოდა



რევაზ ბარაბაძე "კარლ ცაისის" სრულუფლებიანი წევრი გახდა. მან ოთხშაბათს იენურ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. ხუთშაბათს კი თბილისში ჩამოფრინდა და ახალგაზრდულ ნაკრებში ემზადება ყაზახებთან სათამაშოდ.

-რეზო, "კარლ ცაისთან" ორწლიანი, 1+1 სისტემით გააფორმე კონტრაქტი თუ სამწლიანი?

- ცოტა უცნაური სისტემით გავაფორმე - 1+1+1, ანუ,ყოველი სეზონის შემდეგ, კონტრაქტს ხელახლა უნდა გადავხედოთ.

- უფრო ხანგრძლივი ხელშეკრულება რატომ არ შეათანხმეთ? უფრო არ გაწყობდა?

- ეს მარტო ჩემს ნებაზე არ იყო დამოკიდებული. გერმანიაში თამაშზე უარის თქმა სისულელე იქნებოდა. ეს ტრანსფერი კი ჩემი მენეჯერის, ახრიკ ცვეიბას დამსახურებაა. კონტრაქტის ასე გაფორმება რომ შემომთავაზა, ბევრი არც მიფიქრია.

- რა ნომრით ითამაშებ?

- ეს ჯერ ზუსტად არც ვიცი. 27 და 28 ნომრებია დარჩენილი. მე 28 ნომერი მირჩევნია და ალბათ, მას ავიღებ.

- რითი გამოარჩიე 28?

- ციფრების ჯამი ათია - ამ მარტივი მიზეზით.

- კონტრაქტის გაფორმება ძალიან გახანგრძლივდა. არადა, ჩასვლისთანავე იცოდი, რომ "კარლ ცაისში" ჩაირიცხებოდი. რა გიშლიდა ხელს?

- მართლა ასე იყო. როდესაც ჩავედი, მაშინვე გამზადებული კონტრაქტი მაჩვენეს. მერე რა პრობლემები შეიქმნა, ეს უკვე მე არ მეხება. პირადად ჩემზე ლაპარაკი არც ყოფილა. გუნდის გერმანელი და რუსი მეპატრონეები ფინანსურ საკითხებს სანამ გაარკვევდნენ, დრო დაიკარგა, თორემ მე ჩვეულებრივად ვვარჯიშობდი.

თუმცა არც იმას დავმალავ, რომ კონტრაქტის გაფორმების მიუხედავად, განათხოვრებით მსურდა სხვა გუნდში თამაში.

- რატომ?!

- მწვრთნელი ძირითადში მარტო კანდელაკს ათამაშებდა, სეთურიძე ტრავმირებულია და ონიანს ჯერ ძირითადში არ აყენებს. მეც ასეთ მდგომარეობაში ვარ და უთამაშებლობას, იჯარით წასვლა მირჩევნია. ვატყობ, ფრანკ ნოიბარტი ძირითადის მოთამაშედ ვერ აღმიქვამს. სიმართლე გითხრათ, კონტრაქტი კი გავაფორმე, მაგრამ ვნანობ კიდეც დარჩენას. მე დუბლებში გამოსვლის უფლება არ გამაჩნია, ძირითადში არ მათამაშებს და მეშინია, მთელი სეზონი არ გამიცდეს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყურებს ჩამოვყრი.

- "დნეპრში" უფრო მძიმე დატვირთვები იყო თუ "კარლ ცაისში"?

- უკრაინაში გაცილებით მძიმე მოსამზადებელი ეტაპი და ვარჯიშებია. "დნეპრმა" ჩემ დროს 3 მოსამზადებელი შეკრება მოაწყო. ისედაც, უკრაინული კლუბი უფრო ძლიერია.

მწვრთნელიც ოლეგ პროტასოვი მირჩევნია. ფრანკ ნოიბარტიც კარგი სპეციალისტია, მაგრამ "დნეპრს" სხვა რანგის მწვრთნელი ავარჯიშებს. პროტასოვი ჩემდამი უფრო კეთილგანწყობილიც იყო. ერთხელ მკაცრი ტონით მითხრა - მოგკლავ, მაგრამ ფეხბურთელად გაგზრდიო.

წმინდა საფეხბურთო ატმოსფეროთი გერმანიას უკრაინა ვერ შეედრება. გერმანიაში თამაში დღესასწაულია, სტადიონი ყოველთვის ივსება და გულშემატკივრობაც იციან. ფეხბურთელებიც სხვაგვარად მონდომებულები არიან. უკრაინაში კი თამაში სამუშაოს უფრო ჰგავს.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

ესპანეთში თამაშზე მეოცნებე

რუსულ "სპორტ-ექსპრესში" მალხაზ ასათიანთან მოზრდილი ინტერვიუ გამოქვეყნდა. კითხვა-პასუხი იმით იწყება, თუ როგორ დააქროლებდა ასათიანი მართვის მოწმობის გარეშე მოსკოვში თავის "პორშეს" და ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ კიდევ რაზე ისაუბრა ასათიანმა "სპორტ-ექსპრესთან"...

- მოსკოვის "ლოკომოტივის" ნაცვლად შეგეძლოთ, თბილისის "დინამო" აგერჩიათ...

- "ლოკომოტივში" შემთხვევით მოვხვდი. ქუთაისის "ტორპედოდან" თბილისის "დინამოში" ჩემი გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, მაგრამ "ტორპედოს" მაშინდელი პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე, ვინც ვალერი ფილატოვის მეგობარია, შეუთანხმდა "ლოკომოტივს" იმაზე, რომ ამ გუნდში გასინჯვაზე მივიდოდი. ერთი თვის შემდეგ კი უკვე კონტრაქტიც შემომთავაზეს. ხინიკაძე ახლა მოსკოვში ცხოვრობს. ქუთაისის "ტორპედო" თითქმის აღარ არსებობს, პირველ ლიგაში დაქვეითდა, ხინიკაძის დროს კი სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

- შემტევი ნახევარმცველი თქვენში კიდევ ცოცხლობს?

- რა თქმა უნდა, თუმცა გადაწყობა ძნელია. საქართველოს ნაკრებშიც კი დაცვაში დავიწყე თამაში.

- გქონდათ მომენტი, როცა საკუთარი თავის არ გჯეროდათ?

- იყო მომენტები, როცა არაფერი მინდოდა. თუ სამატჩო განაცხადში არ მოვხვდებოდი, თამაშზე არ მივიდოდი, რაც არ არის ლამაზი.

- შარშან მიღებული ტრავმის გამო საკმაოდ ბევრი გაგიცდათ. "ლოკომოტივში" ისე ხომ არ გიყურებენ, როგორც მარატ იზმაილოვს, რომელიც ტრავმებმა გააწამეს და მოედანზე იშვიათად უწევდა ყოფნა?

- იზმაილოვს მართლაც ჰქონდა ტრავმები, მაგრამ იური სიომინი მას ყოველთვის ენდობოდა - იზმაილოვი ჯილა იყო. ერთხელ, როცა "მონაკოსთან" მატჩისთვის ვემზადებოდით, ერთთვიან შეკრებაზე გადავედით. მარატი თითქმის არ ვარჯიშობდა, ფეხი სტკიოდა. მატჩამდე მხოლოდ ერთი კვირით ადრე შეუდგა ვარჯიშს, მაგრამ გამოვიდა თამაშზე და დიდებული გოლი გაიტანა! ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო გუნდში. ვეუბნებოდი, ვარჯიში არ გჭირდება, მხოლოდ თამაშზე უნდა გახვიდე-მეთქი. მას ახლა პორტუგალიაში ხშირად ვურეკავ. ის იქ კმაყოფილია. როცა ქუთაისში ვთამაშობდი და 18 წლის იზმაილოვის თამაშს ტელევიზორში ვუყურებდი, მისით გაოცებული ვიყავი. ვფიქრობ, ის უკვე მაშინ უნდა წასულიყო საზღვარგარეთ.

- თქვენ არ იყურებით დასავლეთისკენ?

- "ლოკომოტივი" ჩემი საყვარელი კლუბია, ხუთი წელიწადია, ამ გუნდში ვარ, თავს ოჯახის წევრად ვგრძნობ, მაგრამ ისიცაა, რომ ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს ევროპაში თამაშზე, მაგალითად, ესპანეთზე.

- ამ ხუთი წლის განმავლობაში არასდროს იყავით ახლოს ევროპაში წასასვლელად?

- ხინიკაძე მეუბნებოდა, რომ ჩემით "არსენალი" დაინტერესდა. იყო ლაპარაკი "შალკეზეც", მაგრამ შარშან მიღებულმა ტრავმამ ხელი ძალიან შემიშალა. ახლა ყველაფერს თავიდან ვიწყებ. "ლოკომოტივთან" კონტრაქტი გავაგრძელე, რომელთანაც უწინდელი ხელშეკრულება წლეულს მიმთავრდებოდა და სხვა შემოთავაზება არც მქონია, ალბათ ტრავმის გამო.

- პირობებზე თქვენ აწარმოებდით მოლაპარაკებას?

- აგენტი არ მყავს, რუსეთში მენეჯერი საჭირო არ არის. თუ უცხოეთში წასვლაზე მომიწევს მოლაპარაკება, აგენტი მაშინ მეყოლება - უცხო ენა ხომ არ ვიცი.

- თანაგუნდელ ბრანისლავ ივანოვიჩს "მოსკვასთან" მატჩის შესვენებისას ბოთლი ესროლეთ...

- ასეთი რამ არ მომხდარა. ერთმანეთს არაფერი დავუთმეთ, ორივენი პრინციპულები ვართ და შეკამათებაც ამიტომ მოგვივიდა. ივანოვიჩი კარგი ბიჭია. ხელი არ ჩამოგვირთმევია და ერთმანეთი არ გადავკოცნეთ, რაც მოხდა, უბრალოდ დავივიწყეთ.

- მზად ხართ ანატოლი ბიშოვეცზე სალაპარაკოდ?

- ყველა ადამიანს აქვს თავისი პლუსები და მინუსები. ჩემთვის არ აქვს იმას მნიშვნელობა, მწვრთნელი კარგია თუ ცუდი, ჩემი სამუშაო უნდა შევასრულო. ახლა ჯერ ისე ვერ ვითამაშებ, როგორც შარშანდელ ტრავმამდე. ადრე ჩემი ზონიდან ამდენი სახიფათო მომენტი არ იქმნებოდა, მაგრამ ვგრძნობ, რომ მატჩიდან მატჩამდე ვუმატებ.

- როცა ბიშოვეცი გასახდელში ლექსებს კითხულობს, ამაზე როგორ რეაგირებთ?

- მივეჩვიეთ. ის ალბათ, რომანტიკოსია, ლექსები უყვარს.

- ერთი ლექსი მაინც იცით ზეპირად?

- ვიცი, მაგრამ ბევრი არა.

- მაგალითად, რუსთაველი?

- ეს ჩვენი ყველაზე ცნობილია - Шкура тигренка.

-Витязвтигровойшкуре?

- დიახ, დიახ. აქედან რაღაცეები ვიცი, სკოლაში მისწავლია. თუმცა სულიერი საზრდოს მისაღებადაც წამიკითხავს, მოსკოვურ ბინაში მაქვს ქართული წიგნები. ჩემი მოგვარის ლექსები მიყვარს - დიდი პოეტის, ლადო ასათიანის. წერეთელიც კარგი მწერალია.

- გოჩა ჯამარაული ამბობს: როცა ცუდ ხასიათზე ვარ, ქართულ ლექსებს ვიღებ და უკეთესად ვხდებიო.

- განწყობის ასამაღლებლად სხვა საშუალებები მაქვს.

- პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ თქვენი მომავალი მეუღლე ქართველი იყოს?

- სასურველია, რადგან მაინც ერთნაირი მენტალიტეტი გვაქვს, ტრადიციები... თუმცა მშობლები მეუბნებიან, მნიშვნელოვანი არ არის, რა ეროვნების იქნება, მთავარია სიყვარული. თუ საქართველოში რუს ცოლს ჩავიყვან, შოკი არ იქნება. იქ ფრანგ მეუღლესთანაც კი მიმიღებენ.

დავით თავართქილაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

8 სექტემბრის, საქართველო-უკრაინის მატჩის ბილეთების გაყიდვა **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში, დაიწყება ხვალიდან, 5 სექტემბრის 11 საათიდან. ეროვნული არენის 10 სალარო 18 საათამდე იმუშავებს. მატჩის დღეს, 8 სექტემბერს, სალაროები 11-დან 16 საათამდე იმუშავებენ. 19 საათამდე მხოლოდ 4 სალარო იმუშავებს **გიორგი ცაბაძის** ქუჩაზე.

ბილეთის ფასი 5, 10 და20 ლარია.

5 ლარი - ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნების სექტორები.

10 ლარი – აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-20, 21-ე, 22-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე სექტორები. დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-5, მე-6, მე-11 და მე-12 სექტორები.

20 ლარი – აღმოსავლეთ ტრიბუნა, I იარუსი – მე-13, მე-14, მე-15, მე-16 სექტორები. აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – 23-ე, 24-ე სექტორები. დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-7, მე-9, მე-10 სექტორები.

ნაკრების ქომაგთა საყურადღებოდ!

ჩაიცვით წითელი და თეთრი

8 სექტემბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უკრაინასთან გველის შეხვედრა. ფეხბურთის ფედერაცია გულშემატკივარს მოუწოდებს თეთრ და წითელ (ეროვნული დროშის ფერებში) სამოსში ჩაცმულები მოვიდნენ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე და ერთგულად უქომაგონ საყვარელ გუნდს.

ქომაგთა საყურადღებოდ ერთ სიახლესაც გაცნობებთ. 8 სექტემბერს, ეროვნულ სტადიონზე ეროვნული ნაკრების, "დიადორას" წარმოების ეკიპირება გაიყიდება.

მაისური (წითელი, თეთრი) – 100 ლარი
გრძელმკლავიანი მაისური (წითელი, თეთრი) – 110 ლარი
შორტი (წითელი, თეთრი) – 50 ლარი
გეტრები (წითელი, თეთრი) – 20 ლარი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის პრესატაშეს

ამა წლის 1 სექტემბრის ნომერშიც ვწერდი და იქამდეც არერთხელ აღმინიშნავს, რომ ჟურნალისტები თუ სადმე შედარებით კარგ სამუშაო გარემოში ვგრძნობდით თავს, ეს ზესტაფონის სტადიონი იყო. 31 აგვისტომდე იქ არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია და კლუბის პრესამსახურიც ყოველთვის გვერდით გვედგა. მაგრამ მოვიდა გუნდში ახალი ადამიანი, რომელმაც სამწუხაროდ ეს ურთიერთობები ფეხით გათელა და სხვა არჩევანი არ დაგვიტოვა გარდა ამ ფაქტის საჯაროზე გამოტანისა.

ვერ დავეთანხმები ბატონ სერგო ფუტკარაძეს იმაში, რომ მე მხოლოდ უარყოფითი მოვლენების კრიტიკით ვარ დაკავებული და კალამს სასიკეთო ამბებზე არ ვასველებ, რადგანაც იმ დადებით მოვლენებზეც არაერთხელ გამიმახვილებია ყურადღება, რასაც კლუბის ხელმძღვანელობა აკეთებს.

საქართველოს ჩემპიონატისა და თასის მატჩებზე ბილეთების შეძენა რომ აუცილებელია გულშემატკივრისთვის, ამას ჩვენც ვეთანხმებით. პროფლიგის მიერ სტადიონზე შემსვლელთა კონტროლის გამკაცრებაც სავსებით მისაღებია, მაგრამ ეს არამც და არამც იმას არ ნიშნავს, რომ კლუბების წარმომადგენლები ჟურნალისტების შეურაცხყოფაზე გადავიდნენ.

ახლა რაც შეეხება აკრედიტაციის საკითხს. ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაზე წინასწარ კეთდება განაცხადი აკრედიტაციის გავლის აუცილებლობაზე. ასეთი რამ "ზესტაფონის" პრეს-სამსახურს არასდროს გაუკეთებია. ამასთან გაუგებარია თუ „ვიტ-ჯორჯიასთან" და „მგლებთან" მატჩებზე დასასწრებად წერილობითი მოთხოვნა საჭირო არ იყო და ჟურნალისტები უპრობლემოდ აღწევდნენ სტადიონზე, 31 აგვისტოს გაახსენდათ აკრედიტაციის აუცილებლობა? და თუ გაახსენდათ, მაშინ შეწუხებულიყვნენ და ორი-სამი დღით ადრე მაინც გაეფრთხილებინათ ამის შესახებ მედიის წარმოომადგენლები.

იმედია ბატონი სერგო ფუტკარაძე დამეთანხმება, როცა სტადიონზე შესვლის პრობლემა შემექმნა, პირველად მას დავუკავშირდი და კლუბის პრესატაშემ აღნიშნა, "საშვი საჭირო არ არის, ჟურნალისტებს უპრობლემოდ შემოგიშვებენო..."

სწორედ ამის მერე მოხდა, მეორედ მიბრუნებულს თავხედი რომ მიწოდეს და სტადიონის ტერიტორიიდან გასვლა მომთხოვეს. თუკი ბატონი სერგო ამას „მცირე დისკომფორტს" უწოდებს, თავმოყვარეობაზე მართლაც ორიგინალური წარმოდგენა ჰქონია.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, აქ ბილეთების შეძენა-არშეძენაზე არ არის ლაპარაკი. ოფიციალურთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია მორალური მხარეც და საწყენი ის დამოკიდებულება იყო, რაც კონკრეტულმა პიროვნებამ (როგორაც მას ბატონი ფუტკარაძე უწოდებს) ჩვენს მიმართ გამოავლინა. ჯერ მე და ჩემი კოლეგა მერაბ გრძელიძე არ შეგვიშვა სტადიონზე და შემდეგ ერთ ადამიანს გადაეკიდა, გინდა თუ არა „ლელოს" კორესპოდენტი ხარ და სტადიონზე ვერ შეგიშვებ ეს გაზეთი აღარ გამოდისო(?!)

ნამდვილად არ მინდოდა ამ ამბიდან იერემიადის შექმნა, მაგრამ მომხდარი სხვაგანაც რომ არ განმეორდეს, ჩავთვალე საზოგადოებისთვის ეს ფაქტი უნდა მეცნობებინა.

კლუბის დირექტორის, დავით აბაშიძის და რამდენიმე პიროვნების თხოვნის მიუხედავად, რომ მომხდარი სტატიაში არ დამეფიქსირებინა, ამ ამბავზე თვალებს ნამდვილად ვერ დავხუჭავდი. რადგანაც ასე ხდება ხოლმე: დღეს სტადიონზე არ შეგიშვებენ, ხვალ პრესლოჟის დატოვებას მოგთხოვენ, ზეგ კი კიდევ რაღაცას მოიფიქრებენ.

„ზესტაფონის" პრესატაშის ძალიან კარგად მესმის. კაცი თავის მოვალეობას ასრულებს და ჩემს შენიშვნაზე პასუხი რომ არ გაეცა, კლუბის ხელმძღვანელებთან „ქულებს დაკარგავდა", თორემ დარწმუნებული ვარ, მან ძალიან კარგად იცის, რომ ამ საქმეში მტყუანი არა ვარ.

რაც შეეხება ყაზახეთში ჟურნალისტებისთვის მოწყობილ ვოიაჟს, ეს „ზესტაფონის" მხრიდან მართლაც კეთილი ნება იყო და მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ კუსტანაიში კი არა, ნიუ-იორკში რომ მოგვიწყონ „გასეირნება", ჩვენ თავისუფალი ჟურნალისტები ვართ და ვერცერთი კლუბის მიმართ ვასალურ დამოკიდებულებაში ვერ ვიქნებით.

ისე, როცა კუსტანაის ახსენებდით, კარგი იქნებოდა თბილისისა და იქაურ აეროპორტებში მომხდარი უსიამოვნო ფაქტების დროს სპორტულ ჟურნალისტთა მხარდაჭერაც გაგეხსენებინათ...

იმედი გვაქვს, ამ გაუგებრობას წერტილი დაესმება და ჟურნალისტებს ისეთივე სამუშაო გარემო დაგვხვდება ზესტაფონში, როგორიც ეს 31 აგვისტომდე იყო.

პატივისცემით, გაზეთ „ლელოს" კორესპოდენტი

დავით კოხრეიძე

ლეგიონის უძმეები

კვარაცხელიას თავი გაუჭეხეს...

ბაქოში ქართველებს მწვრთნელი გაუგდეს

კვიპროსში მორიგი საფეხბურთო პირველობა დაიწყო. აეკ-ის რიგები დატოვა **კლიმენტი წიტაიშვილმა, კოტე დარსანია** "აია ნაპა" კი უმაღლესი დივიზიონიდან გავარდა. ასე რომ, კვიპროსში ორი ფეხბურთელის და ერთი მწვრთნელის ამარა დავრჩით. ახნასის "ეთნიკოსმა" ჩემპიონატი მოგებით დაიწყო, **ლევან ქებაძის** გუნდმა სტუმრად "ალკი" დაამარცხა 3:1. ვეტერანი ქართველი ფორვარდი თამაშში 67-ე წუთზე ჩაერთო და ბოლო წუთზე გოლიც გაიტანა. ორწლიანი განშორების შემდეგ კვიპროსს დაუბრუნდა **ლევან მაღრაძე**, მისმა ახლანდელმა კლუბმა "აპოლონმა" 4:3 დაამარცხა აელ-ი. მაღრაძემ 90 წუთი ითამაშა. **თემურ ქეცბაიას** გუნდი წუხელ ესტუმრა "ენოსისს".

ლიტვაში A ლიგის 26-ე ტურის მატჩები გაიმართა, ჩემპიონმა "კაუნასმა" უმწვრთნელოდ დარჩენილი "ეკრანასი" დაამარცხა - 2:1. სასტარტოში **გივი კვარაცხელია** და **ნუკრი მანჩხავა** იყვნენ, სათადარიგოთა სკამზე - **აკაკი ხუბუტია**. მე-20 წუთზე კვარაცხელია შესაცვლელი გახდა, ორთაბრძოლისას მას მეტოქემ თავი გაუტეხა. წყალწაღებულმა აუტსაიდერმა "ინტერასმა" შინ 0:7 წააგო"ვეტრასთან". "ინტერასს" მატჩის განაცხადში სულ 13 კაცი ჰყავდა. სასტარტოში ითამაშეს **სულიკო კაკაბაძემ** და **ბესიკ ჭიღლაძემ, გიორგი ფურცელაძე** არ ყოფილა. "კაუნასი" 56 ქულით პირველია, ხოლო "ინტერასი" 8 ქულით - ბოლო.

ბელარუსის ჩემპიონატის მე-18 ტურში ბრესტის "დინამო" ლიდერ ბატე-ს ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. სტუმართა რიგებში პირველი ტაიმი ითამაშა **გია თოდუამ, რომან გოგინაშვილი** არ გამოჩენილა. **ალექსანდრე შუბლაძის** "დნეპრ-ტრანსმაშმა" შინ "გომელი" დაამარცხა - 2:0. "დნეპრი" 17 ქულით მე-13 ადგილზეა, "დინამო" კი 15 ქულით - ბოლოსწინაზე.

რუსეთის პირველ დივიზიონში 31-ე ტურში ირკუტსკში "ზვეზდასთან" 0:1 დამარცხდა **ომარ თეთრაძის** "ანჟი". **გოჩა ხოჯავა** სადღაც დაიკარგა, ჯერ არსად ჩანანან **მიხეილ აშვეთია** და **ვალერი აბრამიძე**, ქართველთაგან მატჩში მხოლოდ **ზურაბ არზიანმა** ითამაშა. "ზვედასთან" არზიანი 52-ე წუთზე შეცვალეს. ბრიანსკის "დინამო" შინ "ბალტიკას" 1:1 დაუზავდა, ქართველმა **პაატა ჯინჭარაძემ** შეუცვლელად ითამაშა. "დინამო" 48 ქულით მეშვიდე ადგილზეა, "ანჟის" კი 39 ქულა აქვს და მეთორმეტეა.

სომხეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში "განძასარმა" სტუმრად "პიუნიკი" დაამარცხა - 2:1. გამარჯვბეის გოლი კი **გიორგი თიბილაშვილმა** გაიტანა. "განძასარი" 31 ქულით მესამე ადგილზეა.

აზერბაიჯანში მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა, მორიგ წარუმატებლობას "ბაქის" მწვრთნელის **ბუიუქაღა გაჯიევის** პოსტი შეეწირა. ევლახის "ქარვანი" "თურანს" ესტუმრა და 5:1 გაანადგურა. ტურის წინ ევალხელებმა ოთხი ნიგერიელი და ერთი თურქმენი ფეხბურთელი დაიმატეს, რაც იქ მყოფ ქართველებს, ლეგიონერებზე არსებული ლიმიტის გამო, დიდ საფრთხეს უქმნის. **რომან ახალკაცმა** ეს კარგად გაითავისა და "თურანს" 41-ე და 81-ე წუთებზე ორი გოლი გაუტანა. 90 წუთი ითამაშა **ალექსანდრე ინწკირველმა**. ახალკაცს ოთხ მატჩში სამი გატანილი გოლი დაუგროვდა. "ყარაბახი" სტუმრად 0:1 დამარცხდა "მასალისთან", სტუმართა რიგებში მხოლოდ ერთმა **ბერაიამ** ითამაშა, ირაკლიმ, რომელიც 64-ე წუთზე **ნოდარ მამედოვმა** შეცვალა. გაჯიევის კარიერა **ლადო უგრეხელიძის** "სტანდარდმა" შეიწირა, დებიუტანტი "ბაქის" 1:1 დაუზავდა. მატჩის ბოლოს უგრეხელიძემ გოლის გატანის კარგი შანსი გაანიავა. სტუმართა შორის 78-ე წუთამდე ითამაშა **ამირან მუჯირმა, ალექსანდრე გოგობერიშვილმა** კი - შეუცვლელად.

ტურის ცენტრალურ მატჩში "ინტერი" და "ნეფთჩი" 0:0 დაზავდნენ. უჩვეულოა, მაგრამ ფაქტია, სტუმართა ლიდერი **გიორგი ადამია** მოედანზე 67-ე წუთზე შევიდა. "გაბალა" შინ 0:1 დამარცხდა "ოლიმპიკთან". **ზურაბ მამალაძემ** და **ირაკლი ვაშაკიძემ** შეუცლელად ითამაშეს, **თორნიკე აფციაურის** ნაცვლად 71-ე წუთზე **გიორგი გაბიდაური** გამოვიდა.

ყაზახეთში ჩინებულად დაიწყო მუშაობა **რევაზ ძოძუაშვილმა,** მისმა გუნდმა კვლავ მოიგო, ამჯერად სტუმრად "ორდაბასისთან" და კვლავ ქართველმა გაიტანა, "შახტიორის" პირველი გოლი მეოთხე წუთზე ექსდინამოელი **ლაშა ნოზაძის** ანგარიშზეა. **ლევან მელქაძეს** არ უთამაშია. "ეკიბასტუზეცი" სტუმრად 0:3 დამარცხდა "ასტანასთან", სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ზურაბ არჩვაძემ, ზვიად ჯელაძის** "ვოსტოკმა" სტუმრად 4:0 გაანადგურა **გიორგი გოგიაშვილის** (არ უთამაშია) "კაისარი". "ჟეტისუს" დაუბრუნდა **გიორგი მეგრელაძე,** მან პირველი ტაიმი ითამაშა "ტარაზთან" 1:0 მოგებულ მატჩში. "შახტიორი" 41 ქულით მეორე ადგილზეა და სამი ქულით ჩამორჩება ლიდერ "აკტობეს", რომელსაც თამაში რეზერვში აქვს. "ჟეტისუ" 36 ქულით მეოთხეა, "კაისარი" (28) - მერვე, "ვოსტოკი" (27) - მეცხრე, "ეკიბასტუზეცი" (26) - მეთერთმეტე.

ირანის ჩემპიონატის მესამე ტურში **ავქსენტი გილაურის** "პეგა" შონ 0:1 დამარცხდა "სანატთან". სეზონში პირველად არ უთამაშია ქართველ ნახევარმცველს. **ჯაბა მუჯირის** "სეფაჰანმა" 2:1 მოიგო სტუმრად "ფეიქანთან". ჯაბა ტრავმის გამო არ თამაშობს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA LINE ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუფასურებლად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ტრანსფერი

ზუხბაია სპარტაკში გადავიდა



დიდი სურვილის მიუხედავად, ნალჩიკის "სპარტაკმა" ქართველი ფორვარდი **მიხეილ აშვეთია** ვერ გადაიბირა, მაგრამ ერთი ქართველის დამატება მაინც მოასწრო. როგორც ირკვევა, ნალჩიკელთა გუნდში ახალგაზრდა ქართველი მეკარე **ვლადიმერ ზუხბაია** ჩაირიცხა. ფეხბურთელის ტრანსფერის შესახებ რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის ოფიციალური ვებგვერდიც წერს. ვლადიმერ ზუხბაია 1986 წელსაა დაბადებული, 194 სმ. სიმაღლისაა და 86 კგ.-ს იწონის. ის შარშან თბილისის "ლოკომოტივში" ირიცხებოდა და ერთი ხანობა სახელგანთქმული გერმანელი მეკარე **ჰარალდ შუმახერიც** ავარჯიშებდა

დავით ცაბაძე

ინგლისი

ლემპარდი ვერ ითამაშებს, ჯერარდი?

მაკლარენმა სამკვდრო-სასიცოცხლო მატჩები შესუსტებული შემადგენლობით უნდა მოიგოს...

სტივ ჯერარდი თანახმაა, ტკივილგამაყუჩებელი ინექცია გაიკეთოს და ინგლისის ნაკრებს ისრაელსა და რუსეთთან მატჩებში დაეხმაროს. მას ფეხის თითი აქვს მოტეხილი. ამიტომ "ლივერპულის" სამი შეხვედრა გამოტოვა. **სტივ მაკლარენმა** ფეხბურთელს ნაკრებში უხმო. ჯერარდი გერმანიასთანაც გამოიძახეს, მაგრამ **რაფა ბენიტესის** წინააღმდეგობის გამო არ უთამაშია. ბენიტესს ამჯერადაც არ სურს, რომ მისმა კაპიტანმა ჯანმრთელობის რისკის საფასურად ითამაშოს, მაგრამ სტივი აუცილებლად გავა მინდორზე, თუ ამის მინიმალური შანსი ექნება. ინგლისს სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩები ელის. სასწორზე დევს ევროპის ჩემპიონატის საგზური. მაკლარენს უთვალავი საკადრო პრობლემები აქვს. ამიტომ სანახევროდ გამოჯანმრთელებული ფეხბურთელებიც კი სჭირდება. ჯერარდს მოახლოებული თამაშების მნიშვნელობა კარგად ესმის და ტკივილს არაფრად აგდებს.

გასული კვირის მიწურულს **ფრენკ ლემპარდიც** მძიმედ დაშავდა. პარასკევის ვარჯიშზე მან ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა. ნახევარმცველს "ასტონ ვილასთან" მატჩი გაუცდა. სასწაული უნდა მოხდეს, რომ კვირის ბოლოს ის ნაკრებს დაეხმაროს. 29 წლის ლემპარდმა ბოლო ოთხ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა, მათ შორის გოლი გერმანელთა კარში 22 აგვისტოს ამხანაგური შეხვედრისას. ფრენკი საუცხოო ფორმაში იყო. ამიტომ მისი ტრავმა ორმაგად გულდასაწყვეტია.

დევიდ ბექჰემს მუხლის ტრავმა აქვს და ექვსი კვირა დაისვენებს. დაშავებულია ვესტჰემელი **კირონ დაიერიც**. მაკლარენმა "ბლექბერნის" ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი **დევიდ ბენტლი** გამოიძახა. ბენტლის გერმანიასთანაც უნდა ეთამაშა, მაგრამ მწვრთნელმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მიზეზი ის იყო, რომ ამ ბიჭმა ივნისში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გამგზავრება არ იკადრა. ბენტლი უფრო მკაცრ სასჯელსაც იმსახურებდა და ალბათ, ვერ გადაურჩებოდა მას, ინგლისელთა შესუსტებული შემადგენლობა რომ არა. მაკლარენმა თქვა, დევიდი უკვე დავსაჯე და ის ისტორია დასრულებულად მიმაჩნია, ფეხბურთელს შანსი აუცილებლად უნდა მიეცესო. ასეა თუ ისე, ბენტლის გამოძახება სიურპრიზი არ ყოფილა.

პრობლემებია დაცვაში. **გარი ნევილმა** გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. **ლედლი კინგის** მწყობრში ჩადგომას კიდევ რამდენიმე კვირა დასჭირდება. ვერ ითამაშებს **ჯონათან ვუდგეიტიც**. ტრავმა არ მოუშუშებია **სოლ კემპბელს**. მაკლარენმა ის სიაში მაინც შეიყვანა, მაგრამ შემდეგ, "პორტსმუთის" ვეტერანის ნაცვლად, "მიდლსბროს" ახალგაზრდა მცველ **ჯოლეონ ლესკოტს** უხმო. ლესკოტმა სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო. მან ორი გოლიც გაიტანა.

პრობლემებია თავდასხმაშიც. **უეინ რუნი** ვერ ითამაშებს. ისრაელთან მატჩს **პიტერ კრაუჩიც** გამოაკლდება. ლივერპულელი მწყობრშია, მაგრამ დისკვალიფიკაცია უნდა მოიხადოს. ის თანაგუნდელებს რუსეთთან შეხვედრაში დაეხმარება. მაკლარენმა ახლადგამოჯანმრთელებული **მაიკლ ოუენი** გამოიძახა. გასულ კვირაში ოუენმა "ნიუკასლის" შემადგენლობაში ორჯერ ითამაშა და ორი გოლი შეაგდო. გამოძახებულია **ემილ ჰესკიც**, "ვიგანის" 29 წლის თავდამსხმელი, რომელმაც ნაკრებში უკანასკნელად 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრებთან ითამაშა. ჰესკის ინგლისელთა მაისურით 43 მატჩში 5 გოლი აქვს გატანილი, რაც ფორვარდისათვის ძალიან მოკრძალებული შედეგია. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თავდასხმაში ჰესკი-ოუენის დუეტიც კი შეიძლება ვიხილოთ. კიდევ ერთი მოულოდნელობა ასტონვილელი თავდამსხმელის **ეშლი იანგის** გამოძახება გახლდათ. დებიუტანტი იანგი ნაკრებს თუ შეეჩვევა, თორემ მისი თამაში საეჭვოა.

სტივ მაკლარენს თითქმის მთელი ძირითადი შემადგენლობა დაშავებული ჰყავს

მეკარეები - პოლ რობინსონი (ტოტენჰემი), დევიდ ჯეიმსი (პორტსმუთი), სკოტ კარსონი (ასტონ ვილა);

მცველები - მიკა რიჩარდსი (მანჩესტერ სიტი), ვესლი ბრაუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯონ ტერი (ჩელსი), ეშლი კოული (ჩელსი), ჯოლეონ ლესკოტი (მიდლსბრო), ფილ ნევილი (ევერტონი), ნიკი შორი (რედინგი);

ნახევარმცველები - დევიდ ბენტლი (ბლექბერნი), სტივ ჯერარდი (ლივერპული), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), ჯო კოული (ჩელსი), შონ რაიტ-ფილიპსი (ჩელსი), მაიკლ ქერიკი (მანჩესტერ იუნაიტედი), გარეთ ბერი (ასტონ ვილა), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო), ოუენ ჰარგრივსი (მანჩესტერ იუნაიტედი);

თავდამსხმელები - ეშლი იანგი (ასტონ ვილა), ალან სმიტი (ნიუკასლი), მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), პიტერ კრაუჩი (ლივერპული), ენდი ჯონსონი (ევერტონი), ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი), ემილ ჰესკი (ვიგანი).

ჰოლანდია

ვან ბასტენს დათხოვნა ემუქრება, თუ...

ვან ბასტენი და რუუდ ნისტელროი

თუ ჰოლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდება, **მარკო ვან ბასტენი** ავტომატურად გამოეთხოვება გუნდს. ეს კონტრაქტითაა გათვალისწინებული. სამაგიეროდ, ევრო 2008-ზე გამგზავრება ვან ბასტენის სანაკრებო კარიერას მინიმუმ მომავალ ზაფხულამდე გაახანგრძლივებს. იქ ნაჩვენები შედეგის მიხედვით კი მწვრთნელმა, შეიძლება, ხანგრძლივი ხელშეკრულება და გაზრდილი ხელფასიც დაიმსახუროს. 8 და 12 სექტემბერს მარკოს შეგირდები ბულგარეთსა და ალბანეთს ეთამაშებიან. ვან ბასტენმა შემადგენლობა გასულ პარასკევს დაასახელა და ის შაბათის ნომერში შემოგთავაზეთ. ჰოლადიელებს ექვსი თამაშის შემდეგ 14 ქულა აქვთ და G ჯგუფში მესამე ადგილი უკავიათ. ბულგარეთს 15 ქულა აქვს, ლიდერ რუმინეთს 17, თუმცა "ნარინჯისფრებს" მათზე ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული. ვან ბასტენი ეროვნულ გუნდში ევრო 2004-ის დასრულებისთანავე დაინიშნა. ის არ მალავს, რომ ნაკრებში მუშაობის გაგრძელება სურს.

მარკომ 25-კაციან განაცხადში არ შეიყვანა მადრიდის "რეალის" ახალწვეული **არიენ რობენი**. ვან ბასტენი ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება ფეხბურთელსა და ექიმებთან მოთათბირების შემდეგ მიიღო. გადაწყდა, რომ რობენისათვის უკეთესი იქნება, თუ ის ინტენსიურად ივარჯიშებს, რათა ოპტიმალური ფორმა აკრიფოს და "რეალს" დაეხმაროს. ჰოლანდიელთა მწვრთნელმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა **რუუდ ვან ნისტელროის** მნიშვნელობას მისი გუნდისათვის. მადრიდელი ვარსკვლავი ცენტრალურ თავდამსხმელად ითამაშებს, არსენალელი **რობინ ვან პერსი** კი მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლებს. ვან ნისტელროის არყოფნაში ვან პერსის მის პოზიციაზე აყენებდნენ. *"ვან პერსიმ მითხრა, რომ ფლანგზე თამაში ურჩევნია,"* - განუცხადა ვან ბასტენმა მიმომხილველებს. ნაკრებს დაუბრუნდა ბლექბერნელი მცველი **ანდრე ოოიერი**. მას ფეხი ჰქონდა მოტეხილი და დიდი ხანი გაუცდა.

ჩელსი

მოურინიო vs აბრამოვიჩი: კონფლიქტი რონალდინიოს გამო?

"დეილი მეილის" ცნობით, "ჩელსი" **რონალდინიოს** გაისად ზაფხულში გადაიყვანს. ტაბლოიდი წერს, "არისტოკრატებს" ბრაზილიელის ხელში ჩაგდება ამ ზაფხულსაც სურდათ, მაგრამ "ბარსელონას" თანხაზე ვერ მოურიგდნენო. ლონდონელები 70 მილიონ ევროს სთავაზობდნენ, კატალონიელებმა კი 100 მილიონს ფეხი არ მოუცვალეს. "დეილი მეილს" თუ დავუჯერებთ, **ჟოზე მოურინიო** რონალდინიოს გამო ატეხილი აჟიოტაჟით უკმაყოფილო იყო. მწვრთნელს ამ ფეხურთელის შეძენა არ მოუთხოვია, თუმცა მისთვის ყველაზე გასაოცარი სხვა რამ იყო: **რომან აბრამოვიჩმა** ახალი ეკონომიკური პროგრამა გამოაცხადა და ტრანსფერებში დიდი ფულის ხარჯვაზე უარი თქვა. ამავე დროს, მან მწვრთნელთან შეუთანხმებლად და საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილების მიზნით, რონალდინიოს შესაძენად მოლაპარაკებები წამოიწყო. მოურინიო ებრაელი აგენტის, **პინი ზაჰავის** გავლენის ზრდითაც უკმაყოფილოა. ზაჰავი ის კაცია, რომელიც რუს ოლიგარქს "ჩელსის" შეძენაში დაეხმარა. თავდაპირველად, თითქმის ყველა ტრანსფერი მისი შუამავლობით იჩარხებოდა. ჟოზეს დანიშვნის შემდეგ ზაჰავიმ ეს პრივილეგია პორტუგალიელ **ჟორჟე მენდეშს** გაუნაწილა, ახლა კი ისევ ძველი ძალაუფლების აღდგენას ცდილობს. თანაც, "დეილი მეილის" აზრით, აბრამოვიჩი მას უფრო ენდობა, ვიდრე მოურინიოს თანამემამულე მენდეშს. ტაბლოიდი ასკვნის, რომ პრეზიდენტსა და მწვრთნელს შორის მორიგ დაპირისპირებას უნდა ველოდოთ.



ჟოზე მოურინიო

რა მოხდა ლივერპულის სამწვრთნელო შტაბში?

რაფა ბენიტესმა "ლივერპულის" მეორე მწვრთნელი **პაკო აიესტარანი** დაითხოვა. ენა-ჭარტალა "ნიუს ოფ ზე უორლდმა" მწვრთნელები კონფლიქტი ასე ახსნა: რაფამ ასისტენტს **ჟოზე მოურინიოსთან** მეგობრობა ვერ აპატიაო. ბენიტესის მოთმინების ფიალა ორი კვირის წინ აივსოო, წერს ტაბლოიდი. "ლივერპულისა" და "ჩელსის" მატჩის შემდეგ აიესტარანი მოურინიოს მეგობრულად გადაეხვია. მათ დიდხანს ილაპარაკეს. ეტყობა, ბევრს ხუმრობდნენ, რადგან ორივე ჩინებულ ხასიათზე იყო. ბენიტესს კი სულაც არ ეცინებოდა. მას იმ საღამოს ორი ქულა ჯიბიდან ამოაცალეს. ლივერპულელთა კარში თითიდან გამოწოვილი პენალტი დაინიშნა. **ფრენკ ლემპარდმა** ანგარიში ამ 11-მეტრიანით გაათანაბრა (1:1). "სანის" მიმომხილველს თუ დავუჯერებთ, ბენიტესისა და აიესტარანის კონფლიქტი ზაფხულში დაიწყო. რაფამ ფიზმომზადების მწვრთნელად **პაკო დე მიგელი** დანიშა. არადა, ამ სპეციალისტის მისვლამდე გუნდის ფიზმომზადებასაც აიესტარანი ითავსებდა. ბენიტესმა და აიესტარანმა ერთად 11 წელი გაატარეს და არა ერთ წარმატებას მიაღწიეს. "დერბისთან" ბოლო ტურის მატჩში ლივერპულელთა მეორე მწვრთნელი გუნდთან ერთად უკვე აღარ იყო.

ოლი კანი, ოთხგზის რეკორდსმენი

გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვისას გაუწყეთ, რომ "ჰამბურგთან" მატჩში (1:1) **ოლივერ კანმა** ბუნდესლიგის რეკორდი დაამყარა. 38 წლის გოლკიპერმა უმაღლეს დივიზიონში 535-ე შეხვედრა ჩაატარა. მან ერთი თამაშით გაუთანაბრა "დორტმუნდისა" და "შტუტგარტის" ყოფილი გოლკიპერის **აიკე იმელის** მიღწევა. ოლიმ ჩამოთვლილი 535 მატჩი "კარლსრუესა" და "ბაიერნის" შემადგენლობაში ჩაატარა. ის მიუნხენურ გიგანტში 1994 წლიდან ასპარეზობს. აქვე გეტყვით, რომ კანი კიდევ სამი რეკორდის მფლობელია. ის გერმანიის ყველაზე ტიტულოვანი მეკარეა (7 ჯილდო), ყველაზე მეტჯერ შეუნახავს კარი მშრალად (188) და ამავე დროს, მშრალი მატჩების სერიითაც ყველაზე წინ დგას: მას ზედიზედ 19 შეხვედრაში არ გაუშვია გოლი.

ტოტენჰემი: კუმანი იოლის ნაცვლად?

"სანდი ექსპრესის" ცნობით, **რონალდ კუმანი** მზადაა, "ტოტენჰემის" მთავარი მწვრთნელი გახდეს, თუ **მარტინ იოლს** კარისკენ მიუთითებენ. ინგლისელ მიმომხილველებს თუ დავუჯერებთ, იოლს დიახაც აწყობს ლონდონიდან აბარგება. მას კომპენსაციის სახით, 4 მილიონი გირვანქა შეხვდება. თანაც დაუყოვნებლივ "აიაქსში" მიინვევენ. ამსტერდამელები უკმაყოფილონი არიან **ჰენკ თენ კეიტის** მუშაობით. "ბარსელონის" ყოფილმა მეორე მწვრთნელმა ზედიზედ ორჯერ ვერ მოახერხა გუნდის ჩემპიონთა ლიგაში გაყვანა. მოსალოდნელ გადაადგილებებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

გუდიონსენი იანვრამდე მოიცდის

"ვესტ ჰემი" ბარსელონელ **ეიდურ გუდიონსენს** იანვრის ტრანსფერებისას გაუფორმებს კონტრაქტს. "ინდეპენდენტის" ცნობით, შეთანხმება თითქმის მიღწეულია. ამ გამოცემის მტკიცებით, ტრანსფერი აგვისტოშიც უნდა შემდგარიყო, მაგრამ გარიგებას ფეხბურთელის ტრავმამ შეუშალა ხელი. გუდიონსენს მუხლი აქვს ნატკენი და ვერ თამაშობს. "ინდეპენდენტში" ვკითხულობთ, რომ "ბარსელონა" კომპენსაციის სახით, 7 მილიონ გირვანქას მიიღებს. უცნობია, რა ხელფასს დაუნიშნავენ ფეხბურთელს. ის კვირაში 100 ათას გირვანქას ითხოვდა, თუმცა "ვესტ ჰემმა" მისი ამბიციები არ დააკმაყოფილა. გუდიონსენი "პორტსმუთსაც" სურს.

ტიერი განქორწინდა და გოლზე ოცნებობს

ტიერი ანრი ოფიციალურად გაეყარა ცოლს. ამიერიდან "ბარსელონის" ვარსკვლავს მოდელ **კლერ მერისთან** მხოლოდ ორი წლის გოგონა, **ტია** აკავშირებს. ქალბატონი კლერი ტიერის საბანკო ანგარიშიდან სოლიდურ თანხას მიიღებს. სასამართლო უახლოეს მომავალში გადაწყვეტს, ვის დაეკისრება ბავშვზე მზრუნველობა. უფრო სავარაუდოა, რომ ამ მისიას დედა იტვირთებს. ანრის კი შვილის შენახვისათვის ყოველთვიურად კიდევ გარკვეული თანხის გადახდა მოუწევს. ტიერი პირად საკითხებზე საჯაროდ არ საუბრობს. სამაგიეროდ, საფეხბურთო ამბებს მიმოიხილავს. ერთი სული მაქვს, როდის გავიტან პირველ ბარსელონურ გოლსო, უთხრა მან "მარკის" მიმომხილველს. "ბილბაოსთან" ბოლო ტურის მატჩში (3:1) ანრის ცოტა დაკლდა. მისი ერთ-ერთი იერიშისას ბურთი ძელმა აისხლიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევიდ დინი და არსენ ვენგერი

დიდი გარიგების მოლოდინში

ამხანაგი ვენგერი და რუსული ჭანკი ემირიტსზე

რა აკავშირებს მეთოფეების პოტენციურ მფლობელს ჩებურაშკასთან...

გასული კვირის მიწურულს რუსმა ოლიგარქმა ალიშერ უსმანოვმა (ფორბსის უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში 278-ე ადგილი უჭირავს, რუსეთში მე-18 უმდიდრესი ადამიანია, ხოლო მისი ქონება 5.5 მილიარდ დოლარადაა შეფასებული)"არსენალის" აქციათა 14.6 პროცენტი შეიძინა. მან ეს წილი ლონდონელთა ყოფილი ვიცე-თავმჯდომარის, დევიდ დინისაგან იყიდა. უსმანოვმა 75 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ბრიტანულმა სააგენტოებმა გვაუწყეს, რომ აქციების გაყიდვის მიუხედავად, დინი "არსენალს" არათუ ჩამოშორდა, პირიქით, იმ კონსორციუმს ჩაუდგა სათავეში, რომელიც საგანგებოდ "მეთოფეების" აქციების შესაძენად შეიქმნა. კონსორციუმის ერთ-ერთი დამფუძნებელია "არსენალის" თავგადაკლული ფანი ალიშერ უსმანოვი. ტაბლოიდებს თუ დავუჯერებთ, 14.6 პროცენტი დიდი საქმის დასაწყისია. ის საყვარელი გუნდის დასაკუთრებას აპირებს.

ალიშერ უსმანოვი

რუს მილიარდერს თავმჯდომარე უკვე შერჩეული ჰყავს - **დევიდ დინი**. რამდენიმე თვის წინათ ეს ადამიანი გუნდიდან უცერემონიოდ გაუშვეს. მიზეზი მისი დაუფარავი მხარდაჭერა იყო ამერიკელი **სტენ კროუნკეს** მიმართ, რომელიც "არსენალის" ერთ-ერთი მსხვილი მონილეა და უსმანოვის მსგავსად, ლონდონური კლუბის შეძენა სურს. რაკი ის პროექტი არ გამოვიდა, დინმა სხვა გზას მიაგნო. მას ღრმად სწამს, რომ "არსენალს" ჰაერივით სჭირდება ინვესტიციები და ფინანსური მომძლავრება. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ კლუბს, სხვების მსგავსად, ძლიერი მფარველი გამოუჩნდება. "არსენალის" ყიდვის მსურველი ბევრია, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა მოქმედი დირექტორების გულები ვერ მოიგო. "მეთოფეებს" კი, ამასობაში, ტვირთად ანევთ 300 მილიონიანი საბანკო სესხი, რომელიც ახალი სტადიონის ასაშენებლად აიღეს. სტადიონის პროექტი წარმატებულია. "ემირიტსი" ყოველ მატჩზე პირთამდე ივსება და "ჰაიბერიზე" თითქმის ორჯერ მეტი მოგება მოაქვს. მაგრამ სანამ კლუბი სესხს არ გადაიხდის, ხელ-ფეხი შეკრული აქვს. **არსენ ვენგერი** იძულებულია, ვარსკვლავების ტრანსფერებზე უარი თქვას და მხოლოდ ახალგაზრდებით გავიდეს ფონს. "არსენალს" პრემიერლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ძირითადი შემადგენლობა ჰყავს. მართალია, გუნდმა სეზონი შთამბეჭდავად დაიწყო, მაგრამ მისგან მწვერვალების დაპყრობას არავინ ელის. მიზეზი ერთია: "მეთოფეებს" მსოფლიოს დონის ფეხბურთელები არ ჰყავთ. ბოლო მოჰიკანი, **ტიერი ანრი**, ამ ზაფხულს "ბარსელონაში" გაყიდეს. იმ დროს, როცა კონკურენტები ათეულობით მილიონს ხარჯავდნენ, "არსენალი", პირიქით, საუკეთესო ფეხბურთელებს ყიდდა. ამ ოპერაციებით, კლუბმა 30 მილიონი გირვანქა გააკეთა.

უსმანოვის პირველ სვლას ბრიტანულ გაზეთებში სათანადო გამოხმაურება მოჰყვა. "სანმა" სტატიას "ამხანაგი ვენგერი" დაარქვა. პოპულარული გამოცემა მიიჩნევს, რომ "არსენალის" წარმატების უმთავრესი გარანტი კვლავ ფრანგი დამრიგებელი იქნება: *"სრული ძალაუფლებისათვის უსმანოვი და დინი მოკავშირედ ამხანაგ ვენგერს გაიხდიან. მოსიე არსენი უყოყმანოდ გააფორმებს ახალ კონტრაქტს, ხოლო ახალ შთაგონებას ის რუსულ რევოლუციაში იპოვის. თუ უსმანოვისა და დინის ალიანსი სტენ კროენკეს 12.19 პროცენტიან წილსაც შეიერთებს, მათ ხელში კლუბის 26.77 პროცენტი მოიყრის თავს. საფონდო ბირჟის რეგლამენტით, "არსენალის" მესაკუთრედ გახდომისათვის 29.9 პროცენტიც საკმარისია."*

"სანი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ალიშერ უსმანოვი რადიკალურად განსხვავდება პრემიერლიგის სხვა უცხოელი ინვესტორებისაგან. მაგალითად, **გლეიზერებისაგან**, რომელთაც ფეხბურთის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდათ, სანამ "მანჩესტერ იუნაიტედის" არ შეიძენდნენ. უსმანოვს "არსენალი" მთელი არსებით უყვარს. მას "ემირიტს სთედიუმზე" საკუთარ ლოჟა აქვს და შეუძლია, სხვაპასხუპით ჩამოგითვალოთ 1970-71 წლების "არსენალის " ის შემადგენლობა, რომელმაც ინგლისის ჩემპიონობა და ასოციაციის თასი მოიგო. "სანის" ცნობით, წინადადებას, რომელზეც "მეთოფეების" უმთავრესი აქციონერი **დენი ფიშმანი** უარს ვერ იტყვის, მას დღე-დღეზე გადაუგზავნიან. მოლაპარაკებებს ფიშმანის იდეური მოწინააღმდეგე დინი გაუძღვება, ის დინი, რომელიც "ჩელსისა" და "მანჩესტერის" აღმასრულებელი დირექტორების, **პიტერ კენიონისა** და **დევიდ გილის** მსგავსად, უბრალო ჩინოვნიკი კი არ არის, არამედ სულით ხორცამდე არსენალელია და დღევანდელი გუნდის შექმნაში 25 წლის მუხლჩაუხრელი შრომა აქვს ჩადებული.

"რუსეთიდან ფოლადით ხელში" - ასე დაასათაურა "ინდეპენდენტმა" უსმანოვისადმი მიძღვნილი სტატია: *"არსენალის" დირექტორატმა, რომელიც აქციათა 45 პროცენტს აკონტროლებს, გადაწყვიტა, არ გაყიდოს მის ხელთ არსებული წილი მომავალ გაზაფხულამდე. მაგრამ თუ უმთავრესი აქციონერი, ბრილიანტებით მოვაჭრე დენი ფიშმანი თავის აქციებს დათმობს (მას 21.1 პროცენტი აქვს), დირექტორატი მმართველობის სადავეებს დაკარგავს. გუშინ "არსენალის" ერთი აქციის ფასმა 7 100 გირვანქამდე აიწია, მთლიანი კლუბი კი 441 მილიონ გირვანქად იყო შეფასებული. "არსენალის" ცხოვრებაში ახალი ფურცელი იშლება. ვინ იფიქრებდა ამას ბოლო თვეების განმავლობაში, როცა გუნდიდან ჯერ დევიდ დინი წავიდა, შემდეგ ტიერი ანრი? "არ გვჭირდება მისი ფულები" - პრეზიდენტ პიტერ ჰილ-ვუდის ეს უკმეხი სიტყვები, რომელიც მან სტენ კროენკეს მისამართით გააკეთა, სულ უფრო და უფრო ემსგავსება ძველი რეჟიმის ეპიტაფიას. "არსენალი" გაყიდვის უმთავრესი კანდიდატია. ოდესღაც დევიდ დინმა "არსენალის" 16.6 პროცენტი 292 ათას გირვანქად შეიძინა. ახლა მან 14.6 პროცენტი 75 მილიონად დათმო. დინის ამბიციები ამით არ შემოიფარგლება. სამომავლოდ, ის ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტობას უმიზნებს."*

"არსენალის" გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს "დეილი ტელეგრაფიც" გამოეხმაურა: "დინი ტროის ცხენზე ამხედრდა", ვკითხულობთ მასში. "ტელეგრაფის" სტატია უფრო კრიტიკულია. აი, ნაწყვეტი: *"დინმა თქვა, რომ "არსენალის" მსოფლიო გრანდად გადაქცევა სურს. უნებურად პიტერ კენიონი გვახსენდება. გამოფხიზლდით! "არსენალი" ვერასოდეს გახდება მსოფლიო გრანდი. მას არ აქვს და არც არასოდეს ექნება ისეთი საჩემპიონო ტრადიციები და პოპულარობა, როგორიც მადრიდის "რეალს" ან "მილანს" და არც ისეთი რომანტიზმი ახლავს, როგორიც "მანჩესტერ იუნაიტედს".*

"გარდიანმა" უსმანოვის გადაწყვეტილებაში პოლიტიკური მოტივი დაინახა: *"ის (უსმანოვი) კრემლთან დაახლოებული ოლიგარქია. უნდა ვივარაუდოთ, რომ "არსენალში" ფულის დაბანდებაც კრემლთანაა შეთანხმებული. ასეა თუ ისე, რუსი მილიარდერის ავანსცენაზე გამოჩენას დიდი ინტრიგა ახლავს. მოსკოვსა და ლონდონს ასეთი დაძაბული ურთიერთობა ბრეჟნევის ეპოქის შემდეგ არ ჰქონიათ."* "გარდიანი" ოთხი წლის წინანდელ ამბებსაც იხსენებს. როცა **რომან აბრამოჩივმა** "ჩელსი" შეიძინა, დინმა დანანებით თქვა, ჩვენს მინდვრებზე რუსული ტანკები შემოგრუხუნდნენ და ფულის ბომბები დაგვიშინესო. ოთხი წლის შემდეგ დინი აღარაა წინააღმდეგი, ამ დაბომბვაში მისი "არსენალიც" მოყვეს.

ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა სიმშვიდეს ინარჩუნებს. მმართველი დირექტორი **კიტ ედელმანი** ამბობს: *"სტრუქტურული თვალსაზრისით "არსენალში" არაფერი შეცვლილა. აქციონერთა შორის ძალთა გადანაწილება უცვლელია. მთავარი ისაა, რომ დირექტორატი 45 პროცენტზე მეტს აკონტროლებს. ფინანსური მდგომარეობა ძალიან კარგია. "ემირიტსს" დიდი შემოსავალი მოაქვს. ასე რომ კლუბის გაყიდვა მხოლოდ ჰიპოთეტურადაა შესაძლებელი."* პრეზიდენტი ჰილ-ვუდი რიტორიკითაა დაკავებული: *"ჩვენი მიზანია, შევინარჩუნოთ არსენალი, როგორც ინგლისური კლუბი, თუნდაც მასში ბევრი ლეგიონერი ირიცხებოდეს."*

დასასრულს, ალიშერ უსმანოვის ბიოგრაფიიდან ერთი საინტერესო ისტორიას გიამბობთ, თუმცა იქამდე მცირე ექსკურსი: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უსმანოვი კრემლთან დაახლოებული ოლიგარქად ითვლება. მისი ბიზნესინტერესები ფართოა სპექტრს მოიცავს, მძიმე მრეწველობით დაწყებული და მედიით დასრულებული. გასულ წელს უსმანოვმა რუსეთის უმსხვილესი ბიზნესგამოცემა "კომერსანტი" 300 მილიონ დოლარად შეიძინა. ასევე 300 მილიონი გადაიხადა "მუზ ტვ-ში", რომელიც MTV-ს რუსული ანალოგია. ამ ადამიანს იცნობენ, როგორც მკაცრ მენეჯერს, მაგრამ ერთმა ისტორიამ ბევრს რუსს გული აუჩუყა. უსმანოვმა გადაწყვიტა, გამოისყიდოს პოპულარული რუსული მულტფილმის პერსონაჟის, "ჩებურაშკას" კომერციული უფლებები ერთ-ერთი ამერიკული კინოკომპანიისაგან. მან საამისოდ 3 მილიონი დოლარი გაამზადა. ოლიგარქს სურს, "ჩებურაშკა" იმ საბავშვო არხს აჩუქოს, რომელიც **ვლადიმირ პუტინის** განკარგულებით უახლოეს მომავალში შეიქმნება.



დევიდ ბექჰემი

გალაქტიკო

რა ღირს ბექჰემის ერთი წუთი?

მოგეხსენებათ, დევიდ ბექჰემმა მუხლი იტკინა და ექვსკვირიანი დასვენება გამოიწერა. 32 წლის ნახევარმცველი ოქტომბრის შუა რიცხვებში დაუბრუნდება მინდორს. იმ დროისათვის ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს ჩაამთავრებს, "ლოს ანჯელეს გალაქსის" კი სამი არაფრისმომცემი შეხვედრა ექნება დარჩენილი. კალიფორნიელებს ფლეი ოფში გასვლის შანსი თითქმის აღარ აქვთ. ესე იგი, შვებულებაშიც მალე გავლენ. ბექჰემის პირველ ამერიკულ სეზონს ისეთი პირი უჩანს, რომ ხანმოკლე გამოვა - ის სულ რაღაც სამ თვეს გასტანს.

დევიდი "გალაქსის" 13 ივლისს შეუერთდა. მას შემდეგ ლოსანჯელესელებმა 12 მატჩი ჩაატარეს. ბექზი დაშავებული იყო და მხოლოდ ექვსჯერ ითამაშა, აქედან სამჯერ სუპერლიგაში და სამჯერ ეროვნულ ჩემპიონატში. მან მოედანზე 310 წუთი დაჰყო. მარტო ლიგაში 198 წუთი. მიმომხილველებმა დაიანგარიშეს, რომ MLS-ში ინგლისელის ყოველი წუთი "გალაქსის" 32 828 დოლარი დაუჯდა. თუ სუპერლიგის მატჩებსაც მივამატებთ, დევიდისთვის წუთში 20 967 დოლარი გადაუხდიათ. ცნობისათვის, კლუბში ბექჰემის წლიური ხელფასი 6.5 მილიონი დოლარია. საარაკო ხუთწლიანი კონტრაქტით გათვალისწინებული დანარჩენი თანხა საფეხბურთო ლიგასა და სპონსორებზე მოდის.

"გალაქსის" აღმასრულებელი დირექტორი **ალექსი ლალასი** ამბობს, რომ ბექჰემი მისთვის გადახდილ ყოველ ცენტს ამართლებს: *"შესაძლოა, რაღაც დეტალები ვერ გავთვალეთ, მაგრამ დღევანდელ პრობლემებს დევიდიც აუცილებლად გაუმკლავდება და... ჩვენც."*

მიმომხილველთა აზრით, ბექჰემის უთამაშებლობა გავლენას მოახდენს კლუბზე, ბილეთების რეალიზაციასა და საფეხბურთო რეპორტაჟების რეიტინგზე. მაგრამ მიმოხილველები იმასაც აღიარებენ, რომ ბექჰემის ბრენდი უკვე საკმაოდ პოპულარულია. ამას მონმობს "გალაქსის" 23-ნომრიანი მაისურებით ვაჭრობა. ფეხბურთელი თითოეული გაყიდული მაისურიდან გარკვეულ პროცენტს იღებს. თავისი წილი მიაქვს ფეხბურთის ფედერაციას. "გალაქსის" კი მოგება მხოლოდ იმ მაისურებიდან რჩება, რომელსაც თავისსავე საფირმო მაღაზიებში ყიდის. ცნობილია, რომ დევიდის ამერიკაში ჩასვლამდე "გალაქსის" მაღაზიებმა 250 ათასი მაისურა გაყიდა.

პირადად დევიდის დამსახურება იყო ნიუ იორკში "ჯაიანთს სთედიუმის" გავსება. ადგილობრივი "რედ ბულისა" და "გალაქსის" კალენდარულ მატჩს 66 237 მაყურებელი დაესწრო. "გალაქსის" "ჰოუმ დეპო სენტრიც" რამდენჯერმე გაივსო. უძველესო აჟიოტაჟი შეინიშნებოდა სხვა ქალაქებშიც, სადაც "გალაქსი" სტუმრად უნდა ჩასულიყო. რამდენიმე ადგილას მაყურებელი გაწბილებული დარჩა: ტრავმის გამო ბექჰემმა მინდორზე გასვლა ვერ შეძლო, მაყურებელმა კი ბილეთი დევიდის გულისათვის შეიძინა.

სექტემბერში "გალაქსი" თანაქალაქელ "ჩივასს", "რეალ სოლტ ლეიკს", "კანზას სიტისა" და "კოლამბუს ქრუს" უნდა შეხვდეს. სოლტ ლეიკ სიტის კლუბის ადმინისტრაციამ 19 სექტემბრის მატჩს არნახული რეკლამა გაუკეთა. თამაშამდე ორკვირანახევრით ადრე 25 562-იან სტადიონზე მხოლოდ 1 000 ბილეთია დარჩენილი. 24 562-მა ფანმა კი მხოლოდ ბილეთის შეძენის შემდეგ შეიტყო, რომ ბექჰემი არ ითამაშებს. კლუბმა გულშემატკივრებს შეატყობინა, რომ ბილეთებს უკან ვერ დაიბრუნებს. ანალოგიური ვითარება შეიქმნა კანზას სიტიშიც. იქაურმა კლუბმა დიდი სარეკლამო კამპანია გააჩაღა. "გალაქსისთან" 27 სექტემბრის მატჩი (და შესაბამისად, ბექჰემის სტუმრობა) შუა დასავლეთის წლის უმთავრეს სპორტულ მოვლენადაც კი შერაცხეს. 28 ათასი ბილეთი თვალის დახამხამებაში გაიყიდა. ბექჰემი კი ვერ ითამაშებს.

ნოემბერში "გალაქსი" სიდნეიში უნდა გაემგზავროს. დაგეგმილია თამაში ადგილობრივ კლუბთან. კონტრაქტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კალიფორნიელებმა დევიდ ბექჰემი უნდა ჩაიყვანონ. ავსტრალიელები ამ თამაშს იმხელა მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ საგანგებო ერთმატჩიანი კონტრაქტიც კი გაუფორმეს **ზინედინ ზიდანს**. "გალაქსის" ხელმძღვანელობამ უკვე განაცხადა, რომ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ავსტრალიაში მხოლოდ მაშინ გაემგზავრებიან, როცა დევიდი ტრავმას საბოლოოდ მოიშუშებს.

დელიო როსი

ლაციო

დელიო როსიმ ხელი ჩაიქნია

...ტრანსფერებში მეტი შეგვეძლო. ანუ, როგორ დაკარგა ლაციომ ფოჯა, რომელიც დღეს ნაკრების წევრია

ორი ტური, ორი ფრე - ასე დაიწყო "ლაციოსთვის" სერია A-ს ახალი გათამაშება, რომელზეც **დელიო როსი** თავიდან დიდ იმედებს ამყარებდა. ახლა, მას ამის საფუძველი ნაკლებად აქვს. გასულ სეზონში "ლაციო" მესამე ადგილზე გავიდა, და ეს იმ დროს, როცა არ იყო "იუვენტუსი", ხოლო "მილანსა" და "ფიორენტინას" ქულები (შესაბამისად, 8 და 15) ჰქონდათ დაკლებული. 3 ქულით იყო დაჯარიმებული თავად "ლაციოც". ელემენტარულ არითმეტიკასა და ფანტაზიას მოვუხმოთ: დავუშვათ, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მოწყალება გამოიჩინა და ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ჩამოკლებული ქულები გუნდებს უკანვე დაუბრუნა. და რა გამოვიდოდა ამით? ის, რომ "ლაციო" ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდებოდა...

რაც შეეხება როსის იმედებს. ფაქტია, რომ ზაფხულის ტრანსფერებით გუნდი არ გაძლიერებულა, ეს კი არა, კლუბმა მეკარის ყიდვაც ვერ მოახერხა და კარში ისევ 43 წლის **მარკო ბალოტა** უდგას. ხოლო ის, რომ გუნდი არ გაძლიერებულა, ამას, პირველ რიგში, თავად მწვრთნელი ხედავს. აკი ამბობს კიდეც რიმინელი ტაქტიკოსი - საზაფხულო კამპანიიდან გაცილებით მეტს ველოდიო:

"მურად მეგნი 100 პროცენტით ჯერ კიდევ არ არის მზად, - ამბობს როსი, - ასე რომ, ველოდებით, როდის ჩადგება იმ ფორმაში, რასაც ვითხოვთ და რისთვისაც ეს ფეხბურთელი შევიძინეთ. ჩვენ ვხედავთ, რომ სიტუაცია რთულია და მშვიდი ცხოვრების საბაბი არ გვაქვს. თუმცა გუნდი შემართული და მობილიზებულია. ცოტა მეტი იღბალი და ჩემპიონატის სასტარტო მატჩებს მოვიგებდით".

გადაჭარბებულია. "ტორინოსთანაც" და "სამპდორიასთანაც" რომაელებს ნამდვილად არ ჰქონდათ მოსაგები თამაშები და თუ იღბალზეა საუბარი, ვინ დაამტკიცებს, რომ ან "ტოროს" ან "სამპს" მეტად გაუმართლათ? ჩვენი თუ არ გჯერათ, იტალიელ ექსპერტებს მაინც ენდეთ. მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ობიექტური სირთულეებიც. მაგალითად, ბრაზილიელი მცველი **ემილსონ კრიბარი**, ბუქარესტის "დინამოსთან" უეფას თასის პირველ მატჩში მიღებული ტრავმის გამო, ჯერაც დამცავი ნიღბით თამაშობს, რაც სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორია. როსის სხვა გზა არც აქვს: ტრავმირებულები არიან **სებასტიანო სივილიაცა** და **გილერმო სტენდარდოც**. ამას გარდა, "სამპდორიასთან" საკვირაო მატჩში ვერ ითამაშეს **სიმონე დელ ნერომ, სტეფანო მაურიმ, ალექსანდერ კოლაროვმა** და **მობიდო დიაკიტმა**. მოკლე სკამის პირობებში კი "ლაციოს" მათი სრულფასოვანი შემცვლელები არ ჰყავს.

"საუკეთესო ფორმაში არაა ტომას ზოროკიც, - აგრძელებს "ბიანკოჩელესტეს" დამრიგებელი, - თან ხუთშაბათს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი ჩავატარეთ. მიუხედავად წარმატებისა, ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც სერიოზული დატვირთვა მივიღეთ და ეს, გარკვეულწილად, აისახა კიდეც გენუის მატჩზეც".

მაგრამ "ლაციომ", ჩემპიონატის ტურებს შორის, ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა. საკითხავია, როგორ იქნება საქმე, როცა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, სამშაბათ-ოთხშაბათობით, მინიმუმ 6 შეხვედრის გამართვა მოუწევს? ისევ როსი:

"სამწუხაროდ, სატრანსფერო ფანჯარა უკვე დახურულია. ველოდი, რომ ამ ზაფხულს გაცილებით მეტს გავაკეთებდით ბაზარზე და ხარისხაც გავზრდიდით. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ, გაუმჯობესება არ იქნება და მოგვიწევს მუშაობა იმ რესურსით, რასაც ვფლობთ. თუმცა ამას უკვე მივეჩვიე".

მოკრძალებული სატრანსფერო კამპანიის გამო, როსის ურთიერთობა გაურთულდა კლუბის სპორტულ დირექტორ **ვალტერ საბატინისთან**, რომელმაც პარასკევს გადადგომის განცხადება დაწერა. "ლაციოს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** ცდილობს, დირექტორს აზრი შეაცვლევინოს. ბოროტი ენები კი ამბობენ, რომ საბატინისა და როსის თანამშრომლობა აღარ გამოვა. ხომ არ მოხდება ისე, რომ ლოტიტოს მათ შორის არჩევანის გაკეთება მოუწიოს? - ან საბატინი, ან როსი. ცნობილია, რომ მწვრთნელსა და პრეზიდენტს შორის დამოკიდებულებაც არ არის მთლად ნორმალური. სეზონის წინ როსი წასვლაზეც ალაპარაკდა. ლოტიტო მისთვის კონტრაქტის გაგრძელებას საეჭვოდ არ ჩქარობდა. თუმცა მერე ყველაფერი მოგვარდა...

ან საბატინიმ რაღა დაუშავა ასეთი? რა ფულიც გამოყო ხელმომჭირნე პრეზიდენტმა, იმდენი დახარჯა, მაგრამ სხვა საქმეა, რამდენად იყო შესაძლებელი ამ მწირი რესურსით მეტი ხარისხის მიღება? ფაქტია, ზოგიერთი ჭკვიანი მენეჯერი ამას უკეთ ახერხებს. როსის მაგალითად მოჰყავს **მასიმო ოდოს** "მილანში" ტრანსფერი. მაშინ, ის ითხოვდა, რომ გარიგებაში ჩაერთოთ **პასკუალე ფოჯა**, რომელიც სანახევროდ "როსონერის" საკუთრებაა. გასულ სეზონში ფოჯა "ლაციოში" არენდით თამაშობდა. როსის იდეა ასეთი იყო: "მილანში" ოდოს გადასვლის სანაცვლოდ, ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი "ლაციალეში" დარჩენილიყო. დღეს ფოჯა "კალიარიში" თამაშობს და ორ ტურში 3 გოლი (თუმც სამივე პენალტით) აქვს გატანილი. მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ **რობერტო დონადონიმ** გუშინ ის სანაკრებო ჩამონათვალში დაესახელებინა...

ვისენტე დელ ბოსკეს ცხელი ხაზი

დღეს დროგბა და რუნი, საერთოდ კი დი სტეფანო...

სამეფო კლუბის ყოფილ მწვრთნელს მიაჩნია, რომ რეალი უცხოელებში ძალიან ბევრს ხარჯავს

"რეალის" ყოფილმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ სამეფო კლუბის ქომაგთა კითხვებს უპასუხა. "კეთილი ულვაშა" ის კაცია, ვის ხელშიც მადრიდულმა გრანდმა ორჯერ მოიგო პრიმერა დივიზიონი და ორჯერაც ჩემპიონთა ლიგის მწვერვალზე ავიდა. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ დელ ბოსკე ინჩასებს დღემდე ძლიერ უყვართ. ამას დონ ვისენტეც ხედავს და ქომაგებთან ამგვარი ტიპის ურთიერთობაზე უარს არასოდეს ამბობს. ვფიქრობთ, მისი მოსაზრებები ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ მათ შორის "რეალის" გულშემატკივრებიც არიან...

- რას ფიქრობთ უესლი სნეიდერზე (ცნობისთვის, ჰოლანდიელმა კვირას "ვილიარეალს" ორი გოლი გაუტანა - რედ). გახდება ის "რეალის" საკვანძო ფეხბურთელი უახლოეს წლებში?

- მას "რეალში" გადმოსვლამდეც ვიცნობდი და შემიძლია ვთქვა, რომ ბრწყინვალე ფეხბურთელია. ყველაფერთან ერთად, სნეიდერს აქვს ერთი ისეთი თვისებაც, რაც სამეფო კლუბს ძალიან გამოადგება: ძალიან კარგად ურტყამს შორი მანძილიდან...

- ეთანხმებით მოსაზრებას, რომ სამუელ ეტო'ოს ტრავმა "ბარსელონაში" ტიერი ანრის სწრაფ ადაპტაციას შეუწყობს ხელს?

- არა, არ ვეთანხმები. საქმე ისაა, რომ გრძელი და დატვირთული სეზონის განმავლობაში "ბარსას" ეტო'ოც დასჭირდება და ანრიც, საერთოდ, მთელი თავისი რესურსების მობილიზება მოუწევს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეტო'ოს ტრავმა კატალონიელებისთვის სერიოზული დანაკლისია.

- მოკრძალებული გუნდებიდან ყველაზე მეტად რომელი გაძლიერდა? მხედველობაში გვყავს "ხეტაფე", "რეკრეატივო", "მალიორკა", "ლევანტე" და ლიგის სამი დებიუტანტი...

- ვიტყოდი, რომ გაძლიერდნენ "სარაგოსა" და "ბეტისი". მაგრამ ეს მხოლოდ თეორიულად, რადგან ამ გუნდებმა თავიანთი ჭეშმარიტი ძალა მოედანზე უნდა დაამტკიცონ.

- რამდენ ხანს გრძელდებოდა თქვენ დროს "რეალის" ვარჯიშები? და კიდევ ერთი: რა დამოკიდებულება გაქვთ სხვადასხვა ტექნიკურ სიახლესთან, მაგალითად, როგორიცაა წვრთნა დამძიმებული ბუცებით?

- ისეთ გუნდთან მუშაობისას, როგორიც "რეალია", და რომლის მიმართ მოთხოვნები ყოველთვის დიდია, არ აქვს აზრი ვარჯიშის მაღალ ინტენსივობას. ამ გზით სასურველ ფორმას ვერ მიაღწევ. რაც შეეხება ტექნიკურ სიახლეებს, ამას ყოველთვის მივესალმები, თუკი ეს შედეგის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

- რა შთაბეჭდილებას ტოვებს თქვენზე ცენტრალური მცველი კრისტოფ მეტცელდერი?

- ეს არის 100 პროცენტით დაცვითი პლანის მოთამაშე. ის ვერ იწყებს შეტევებს, რადგან საამისოდ ტექნიკა არ ჰყოფნის. სამაგიეროდ, დაცვაში მკაცრი და საიმედოა, პრაქტიკულად, არასოდეს რისკავს... მიუხედავად იმისა, რომ მეტცელდერი მოქმედებებში ნელია, ამას თავისი სიმაღლით ანაზღაურებს, შესაბამისად, კარგად თამაშობს მეორე სართულზე. ასე რომ, მისი გამოყენება სტანდარტული მდგომარეობების დროსაც შეიძლება.

- და ჰპე. ისიც მოგეწონათ?

- მან ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა მიმაჩნია, რომ მასში მცველის კვალობაზე არარეალური თანხა გადაიხადეს. მაგრამ დღეს ეს აღარავის უკვირს. ფეხბურთში ხომ ძალიან დიდი ფული ტრიალებს...

- როგორ გგონიათ, დღევანდელ "რეალს" ფორტუნა ეხმარება, თუ ჩვენს ნინაშეა თვისობრივად ახალი გუნდი, ახალი მენტალიტეტით, ანუ გუნდი, რომელსაც ბევრის მიღწევა შეუძლია?



ვისენტე დელ ბოსკე

- ოპტიმისტები უნდა ვიყოთ, თუმცა ამგვარ შეფასებებში სიფრთხილეც გვმართებს. არ დაგავიწყდეს, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე "რეალმა" ორი მატჩი წააგო "სევილიასთან", თან გოლებიც მრავლად გაუშვა. მე ვფიქრობ, სნეიდერის მოსვლამ გუნდის დინამიკა გაუმჯობესა.

- როგორღა შეიძლება მსაჯობის გაუმჯობესება? ყოველ სეზონში გამოჩნდება ხოლმე ისეთი გუნდი, რომელსაც საფეხბურთო თემიდა გამორჩეულად სწყალობს. ახლა, წესით, "ბარსელონას" ერთი ქულა უნდა ჰქონდეს, მაგრამ მსაჯების შეცდომების გამო (იგულისხმება "ბილბაოსთან" კვირას გამართული მატჩი, რომელზეც მიმოხილვაში ვწერდით - რედ), ოთხი აქვს...

- მჯერა მსაჯების და არა მგონია, ისინი რომელიმე გუნდს სპეციალურად ეხმარებოდნენ. კი ბატონო, შეცდომები ხშირია და თუნდაც, საკვირაო მატჩი აიღოთ. ჩემი აზრით, თუ ვიდეოგანხილვებს მოვიშველიებთ, ამით მხოლოდ მოგებულები დავრჩებით და შეცდომებიც შემცირდება. თუმცა ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ თანამედროვე ფეხბურთში არც ისე ადვილია ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

- ხომ არ იმეორებს "ატლეტიკო" ძველ შეცდომებს და ხომ არ შეიძლება მოხდეს ისე, რომ "როხიბლანკო" კვლავ ხელცარიელი დარჩეს?

- არ დაგიმალავთ და, დღევანდელი "ატლეტიკო" ძალიან მომწონს. ვფიქრობ, ტიაგო მოტას ყიდვა ხავიერ აგირეს შუა ხაზში სტაბილურობას მოუტანს.

- არ მიგაჩნიათ, რომ "რეალის" დღევანდელი "კანტერა" (ახალგაზრდული გუნდი - რედ) ვერ არის სათანადო დონეზე, განსხვავებით "ბარსელონის", "აიაქსის", "ლივერპულისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" ანალოგიებისა? და ასეთ პირობებში, რამდენად რეალურია ახალი რაულის, გუტისა თუ კასილიასის გამოჩენა?

- ვერ ვიტყვი, რომ "რეალი" თავის ახალგაზრდობასთან არ მუშაობს, მაგრამ პირდაპირ შოკში მაგდებს ის ფაქტი, რომ ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც არიან დე ლა რედი და გრანერო, თავის გამოჩენის შანსი, პრაქტიკულად, არ ეძლევათ. გეუბნებით, რომ ამ სეზონში, დღევანდელი "კანტერით", ნახევარი "რეალის" დაკომპლექტებაც კი შეიძლებოდა. ასეთი პოლიტიკა კლუბის ბიუჯეტს ურტყამს. უცხოელ მოთამაშეებში ამდენი ფულის ხარჯვა გაუმართლებლად მიმაჩნია.

- გაძლიერდა "ვალენსია" შარშანდელთან შედარებით?

- მათ იყიდეს ფეხბურთელი, რომელიც ძალიან მომწონს - ჟიგიჩს ვგულისხმობ. თუმცა ბირთვი უცვლელი დარჩა. ამიტომაც არ მგონია, რომ "ვალენსიის" თამაშში რაიმე საგრძნობი სიახლე იქნება.

- ხომ არ იქნება "ბარსელონისთვის" პრობლემა ის, რომ რონალდინიოსა და მესის ბურთის მისაღებად უკან დახევა უწევთ ხოლმე?

- არა, "ბარსელონის" მოთამაშეთა მთავარი მინუსი სხვა რამ გახლავთ. მათ ყოველთვის ჰგონიათ, რომ ნებისმიერ თამაშს იოლად მოიგებენ. დღევანდელ ფეხბურთში კი ასე არ ხდება.

- საუკეთესო გუნდები პირველი ორი ტურის შემდეგ...

- ყველა მატჩი არ მინახავს, ხოლო იმათგან, რაც ვნახე, ვიტყოდი, რომ საუკეთესოები "რეალი" და "ვალიადოლიდი" არიან. "ესპანიოლთან" მატჩში "ვალიადოლიდი" ძალიან მომეწონა.

- რატომ არ იწვევენ გუტის ესპანეთის ნაკრებში? ლუის არაგონესის ადგილზე რომ იყოთ, დაუძახებდით მას ეროვნულ გუნდში?

- გუტი მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ სტაბილურობა აკლია. თუ ამ პრობლემას დაძლევს, დარწმუნებული ვარ, ნაკრებში აუცილებლად მოხვდება. დღეს ის "რეალში" ერთ-ერთი საუკეთესოა.

- რას ფიქრობთ რაულის გოლზე? ბოლოს და ბოლოს, სად არის მისი ადგილი მოედანზე?

- ჩემთვის ნათელია, რომ რაული ფორვარდია. თუმცა ის არანაკლებ სახიფათოა, როცა ბურთს მეტოქის საჯარიმოსა და ცენტრს შორის იღებს.

- ვინ მიგაჩნიათ თანამედროვეობის საუკეთესო ცენტრფორვარდად?

- დღეს დროგბა და რუნი, საერთოდ კი დი სტეფანო.

- ერთხელ დაიფიცეთ, რომ არასოდეს გახდებოდით "ბარსელონას", "ატლეტიკოსა" და "სალამანკის" მწვრთნელი. პირველი ორი გასაგებია, მაგრამ... "სალამანკამ" რა დაგიშავათ?

- ეს ჩემი ბავშვობის გუნდია. იქ რომ ვიმუშაო, მთლიანად უნდა დავიხარჯო, მე კი ძალიან მიყვარს საკუთარი თავისთვის ლამაზი არდადეგების მოწყობა.

- "რეალის" ახალწვეულთა ფონზე, როისტონ დრენტეს შეძენა საკმაოდ უცნაური იყო. ხომ არ ფიქრობთ, რომ კლასით ის საგრძნობლად ჩამორჩება თავის თანაგუნდელებს?

- საქმე ისაა, რომ ამპლუით ის შემტევი ნახევარმცველია, მაგრამ როცა ფლანგის მცველად აყენებენ, ბუნებრივია, თამაში არ გამოსდის. ეს არც გუნდისთვისაა კარგი და არც თავად ფეხბურთელისთვის. ისე კი, ძალიან საინტერესო მოთამაშეა.

- გაიხსენეთ, როგორი ურთიერთობა გქონდათ რონალდოსთან. სწორი იყო მისი გაყიდვა?

- გაყიდვაზე რა გითხრათ, მაგრამ რაც შეეხება მასთან ურთიერთობას, ამას ერთ სიტყვაში გამოვხატავდი - ბრწყინვალე! რონალდო შესანიშნავი ადამიანია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბერნდ შუსტერთან

სნეიდერი ერთ ქერა ბიჭს მაგონებს

სამეფო კლუბის მწვრთნელი შთამბეჭდავი გამარჯვებით კმაყოფილია, მაგრამ მიაჩნია, რომ სამუშაო ჯერაც ბევრია...

ბერნდ შუსტერი

პრიმერა დივიზიონის მეორე ტურის ცენტრალური შეხვედრა "ელ მადრიგალზე" გაიმართა. შეხვედრა აბსოლუტურად მოულოდნელი შედეგით დასრულდა. სამეფო კლუბისგან საზოგადოება შესანიშნავ თამაშს ელოდა, თუმცა ხუთბურთიანი უპირატესობით გამარჯვებას მაინც ვერავინ წარმოიდგენდა. აღსანიშნავია, რომ "რეალს" გასვლით შეხვედრაში ამ ანგარიშით 11 წლის განმავლობაში არ ჰქონდა მოგებული. უკანასკნელად მსგავსი რამ 1996 წლის 24 იანვარს მოხდა. მაშინ მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობას ხორხე ვალდანო ახალი გათავისუფლებული ჰყავდა. ისინი არსენიო იგლესიასს კონტრაქტზე იმავე დღეს შეუთანხმდნენ, თუმცა ფორმალობების გამო ასაკოვანმა სპეციალისტმა 24 იანვარს გუნდის მოედანზე გაყვანა ვერ მოახერხა. "რეალს" მაშინ ვისენტე დელ ბოსკე გაუძღვა და შეგირდებს "სან მამესზე" "ბილბაოსთან" 5:0 მოაგებინა. გუნდის დღევანდელი შემადგენლობიდან იმ დღეს მხოლოდ რაული ასპარეზობდა. საგულისმოა, რომ გონსალეს ბლანკომ იმ პაექრობაშიც შეძლო გოლის გატანა. დანარჩენი ოთხი ბურთი კი ლაუდრუპის (2), მიჩელისა და სამორანოს ანგარიშზე ჩაიწერა. ვალდანოს გადაყენება რაულმა ძალიან მტკივნეულად მიიღო, რადგან სწორედ არგენტინელი სპეციალისტი გახდათ ის კაცი, რომელმაც გარისკა და 1996 წლის სეზონში სრულიად ახალგაზრდა გონსალეს ბლანკო ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად აქცია. რაულმა "ბილბაოს" კარში გატანილი გოლი, რა თქმა უნდა, ვალდანოს მიუძღვნა. სამეფო კლუბის კაპიტანი კვირასაც მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებოდა. ანგარიში სწორედ მან გახსნა. ტრიუმფალური გამარჯვებით ყველა კმაყოფილი იყო. განსაკუთრებით ბედნიერი კი, ბუნებრივია, ბერნდ შუსტერი გახლდათ.

- ერთი შეხედვით, გამარჯვება ძალიან იოლად, ხატოვნად რომ ვთქვათ, ოფლის ღვრის გარეშე მოიპოვეთ...

- ვერ დაგეთანხმებით, იოლად ვერაფერს მიაღწევ, მითუმეტეს, ასეთი ანგარიშით გამარჯვებას. სამი ქულის მოსაპოვებლად დიდი შრომა დაგვჭირდა. ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ მეტოქისთვის ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა არ მიგვეცა. მადლობა ღმერთს, პირიქით მოხდა და პირველი გოლი ჩვენ შევაგდეთ. მეორე ტაიმში კი ფრთები გავშალეთ. დამეთანხმებით, ძალიან ლამაზად ვითამაშეთ. ჩვენი შეტევები აღსავსე იყო ფანტაზიითა და სილამაზით. კონტრიერიშებისას უაღლესად სწრაფად ვმოქმედებდით. მეტოქეები სწორი პოზიციების დაკავებას ვერ ახერხებდნენ და ბურთთან მისვლას რამდენიმე წამით აგვიანებდნენ. ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი თითქოს მართლაც იოლი და მარტივი იყო, მაგრამ დამერწმუნეთ, სწრაფი, ეფექტური და ლამაზი კონტრშეტევების ორგანიზებას უდიდესი შრომა და თავდადება სჭირდება.

- ხომ არ შიშობთ, რომ ამ გამარჯვების შემდეგ თქვენს ფეხბურთელებს ეიფორიაში ჩავარდნის საფრთხე დაემუქრებათ?

- ჩვენ იმ მოედანზე მოვიგეთ, სადაც ყველა გუნდს უჭირს თამაში. "რეალის" მონინააღმდეგე ძალიან ძლიერი კლუბი გახლდათ. თუ არ ვცდები, აქამდე მათ ზედიზედ 17 შეხვედრა არ ჰქონდათ წაგებული. ვფიქრობ, ყველა პირობა და უფლება გვაქვს იმისთვის, რომ მიღწეულით გავიხაროთ და თავი ამაყად ვიგრძნოთ. სეზონის დებიუტში 5:0 მოგება განსაკუთღებით მნიშვნელოვანია. დარწმუნებული გახლავართ, მომდევნო შეხვედრებში თავდაჯერებულები და მოტივირებულები ვიქნებით. ერთი სიტყვით, მართლაც ფენომენალური თამაში ვაჩვენეთ. არ ვაპირებ, შეგირდებს ამით ტკბობა ავუკრძალო. ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან და ეიფორიის საფრთხე არ გვემუქრება. დღეიდან ყველაფერი თავიდან იწყება.

- სამეფო კლუბის წარმატებების საიდუმლოს ხომ არ გაგვანდობთ?

- ყველაზე მეტად ბიჭების აქტიურობა და შემართება მომეწონა. ამ გუნდის ფილოსოფია სოლიდარობასა და ურთიერთგატანაზეა დამყარებული. აბსოლუტურად ყველა თავს მოვალედ მიიჩნევს, რომ ერთმანეთზე იზრუნოს, ერთმანეთს დაეხმაროს. დღეს კმაყოფილები ვართ. როგორც ავღნიშნე, საამისო მიზეზიც გვაქვს, მაგრამ წინ ჯერაც ძალიან ბევრი სამუშაოა. მრავალი რამ არის გამოსასწორებელი.

- თქვენი გუნდი პრიმერა დივიზიონის ლიდერია...

- ლიდერობაზე საუბარი ნაადრევია, ჯერ მხოლოდ ორი ტურია ჩატარებული და "სევილიას" ერთი შეხვედრა არ გაუმართავს... თუმცა პირველ ადგილზე ყოფნა ნებისმიერ შემთხვევაში სასიამოვნოა. მიხარია, რომ ლიდერები ვართ, მაგრამ უფრო მეტ ბედნიერებას ჩემი გუნდის თამაშის მაღალი ხარისხი მანიჭებს. დროთა განმავლობაში პრიმერა დივიზიონში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება. ჩვენი კონკურენტები გარემოს შეეგუებიან და გაცილებით უფრო სერიოზულ წინააღმდეგობას გაგვიწევენ. ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. სანაკრებო დაპირისპირებების გამო ესპანეთის ჩემპიონატში მცირე პაუზა გამოცხადდება. იმედია, ბიჭები ტრავმების გარეშე დაგვიბრუნდებიან. მუშაობას, რა თქმა უნდა, ისევ მთელი პასუხისმგებლობით გავაგრძელებთ.

- სნეიდერის საჯარიმო დარტყმებზე რას გვეტყვით?

- იმ ერთ ქერა ბიჭს მაგონებს, რომელიც "რეალის" მაისურით წლების განმავლობაში საჯარიმოებს ასრულებდა. სნეიდერით ძალიან კმაყოფილი ვარ. ორ შეხვედრაში სამჯერ გაიტანა, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ მისგან მეტს არ მოველით. მერწმუნეთ, ვესლის გაცილებით მეტი შეუძლია და ამას აუცილებლად დაამტკიცებს. როცა მასთან დაკავშირებულ სატრანსფერო მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით, ნერვიულობით ვკვდებოდი. არც კი მინდოდა წარმომედგინა, რომ სნეიდერის გადმობირებას ვერ შევძლებდით. მადლობა ღმერთს, სამეფო კლუბის სახელი იმდენად მაცდუნებელია, რომ ტრანსფერების განხორციელებაში თავად ფეხბურთელები გვეხმარებიან. სნაიდერმა ყოფილი კლუბის ხელმძღვანელების წინაშე საკითხი მთელი კატეგორიულობით დააყენა და სანადელსაც მიაღწია.

- დაცვის მარცხენა ფლანგზე დრენტემ ითამაშა...

- როისტონს ერთი-ერთზე ვესაუბრე და ვუთხარი, რომ "ვილიარეალთან" მატჩში დაცვის მარცხენა ფლანგზე უკანასკნელად იასპარეზებდა. ეს არ არის მისი პოზიცია. დრენტემ ხელი ჩამომართვა და მადლობა გადამიხადა. ვფიქრობ, გაბრიელ ჰაინცე უკვე მზადაა იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს. მისგან ძალიან ბევრს ველი. დარწმუნებული გახლავართ, რომ მარცხენა ფლანგი ისევე საიმედოდ იქნება დაცული, როგორც რობერტო კარლოსის ხანაში.

- რობენი როგორ გრძნობს თავს?

- არიენი სამეფო კლუბის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. მართალია, ახლა შესაძლებლობების გამომჟღავნების რეალური შანსი არ ეძლევა, მაგრამ ცხადია, რომ ეს დროებითი მოვლენაა. ჰოლანდიელი ახალ გუნდს უნდა შეეწყოს, ფორმა აღიდგინოს და სარგებელი მოგვიტანოს. უახლოეს მომავალში, "რეალის" პოტენციალი ორჯერ გაიზრდება. საჭიროა, რომ ახალწვეულებმა ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები ბოლომდე გადალახონ.

ილია ნიკოლაიშვილი

რატომ ჩაგრავენ რაულს?

ესპანეთი

არაგონესი პუერტას გამოძახებას აპირებდა

რაულ გონსალესმა მწვრთნელის გული ვერაფრით მოიგო

ესპანეთის ნაკრები ისლანდიის ეროვნულ გუნდთან რეიკიავიკში შესარკინებლად მზადებას იწყებს. **ლუის არაგონესმა** მის მიერ შერჩეულ ბიჭებს საწვრთნელ ბაზაზე უხმო. "ვილიარეალის" მარცხენა მცველი, **ხოან კაპდევილა** მუხლის ტრავმის მოშუშების შემდეგ "სელექსიონს" დაუბრუნდა. მას ატლეტიკოელ **პერნიასთან** მოუწევს ბრძოლა იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში იასპარეზოს და დაცვის მარცხენა ფლანგი საიმედოდ გააკონტროლოს. არაგონესმა "როხიბლანკოს" მცველი ქებით ცაში აიყვანა და განაცხადა, რომ როცა მარიანო მოედანზეა არაფერზე ნერვიულობს. სენიორ ლუისს ტრავმების გამო "ბარსელონისა" და "სევილიის" კაპიტნები დააკლდებიან. **კარლეს პუიოლსა** და **ხავი ნავაროს** ტრავმები ჰქონდათ და ვარჯიშს ახლახანს შეუდგნენ. ბუნებრივია, მოუმზადებელ მოთამაშეებს ეროვნულ ნაკრებში არაფერი ესაქმებათ.

საბერძნეთთან ამასწინანდელ ამხანაგურ შეხვედრაში **იკერ კასილიასმა** ქვეყნის უმთავრესი გუნდის ღირსების დაცვა ვერ შეძლო. "რეალის" გოლკიპერს მაშინ ფეხი ტკიოდა. იკერი ახლა საუკეთესო ფორმაშია. თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ძირითად შემადგენლობაში სწორედ ის მოხვდება. მიუხედავად იმისა, რომ **სესკ ფაბრეგასს** დისკვალიფიკაცია აქვს და ისლანდიასთან ვერ იასპარეზებს, არაგონესმა ის მაინც გამოიძახა. ასაკოვანი სპეციალისტი "არსენალის" ვარსკვლავს მომდევნო შეხვედრისთვის მოამზადებს.

ესპანეთის ეროვნულ გუნდში ყველაზე დიდი დესანტი ისევ და ისევ "ვალენსიამ" გადასხა. ეს გუნდი ექვსი კაცით იქნება წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით, მეორე ადგილზე "ლივერპულია". "წითლებმა" სენიორ ლუისს სამი ფეხბურთელი გაუგზავნეს, მათ შორის, რა თქმა უნდა, **ფერნანდო ტორესიცაა**.

ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო რაუნდში კატასტროფული სტარტის შემდეგ ესპანეთის ნაკრებმა ოთხი შეხვედრა მოიგო და ამჟამად შესარჩევი ჯგუფის მესამე ადგილზე იმყოფება. მათ სამი ქულით შვედები უსწრებენ. მეორე ადგილოსან ჩრდილოეთ ირლანდიას კი პირნენელებზე ერთით მეტი ქულა აქვს მოპოვებული. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ "სელექსიონს" წაფორხილების უფლება აღარ აქვს. არაგონესი საპასუხისმგებლო მატჩის წინ იმედიანადაა განწყობილი, თუმცა მეტოქეს მაინც დიდი სიფრთხილით ეკიდება: *"ისლანდია ძალიან რთული გუნდია. მისი ფეხბურთელები ყოველთვის ჩინებულად არიან მომზადებულები. ბევრს დარბიან და მოედანზე სწორად მოძრაობენ. ნურავინ იფიქრებს, რომ იოლი შეხვედრა და მარტივი გამარჯვება გველის. მოკლედ, მეტოქე სერიოზულია, მაგრამ ესპანეთს ორი არჩევანი არ აქვს. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოვიგოთ. ამის შემდეგ კი ლატვიასთან მატჩისთვის მზადებას შევუდგებით."*

არაგონესმა **ანტონიო პუერტაც** გაიხსენა: *"დღემდე შოკირებული ვარ. ვერ ვხვდები ასეთ ახალგაზრდა ბიჭს რა დაემართა. შესაძლებლობით ვისარგებლებ და მის ოჯახს კიდევ ერთხელ მივუსამძიმრებ. ანტონიოს ნაკრებში გამოძახება გადაწყვეტილი მქონდა, მაგრამ ავბედითობამ ამის საშუალება მომისპო. საბრალო ბიჭი, ღმერთი იყოს მისი მფარველი იმ ქვეყნად."*

რაულმა ახალი სეზონი ფანტასტიკურად დაიწყო, მაგრამ მწვრთნელის ნდობა ვერა და ვერ დაიმსახურა. "რეალის" კაპიტანს "სელექსიონის" კარი პრიმერა დივიზიონის პირველ ორ ტურში გატანილმა ორმა გოლმაც ვერ გაუხსნა. ესპანეთის ნაკრების სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები - იკერკასილიასი (რეალი), პეპე რვინა (ლივერპული).

მცველები - პერნია (ატლეტიკო), პაბლო იბანიესი (ატლეტიკო), ხუანიტო (ბეტისი), კაპდევილა (ვილიარეალი), ანხელი (ვილიარეალი).

ნახევარმცველები - ფრანსესკ ფაბრეგასი (არსენალი), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), ჩავი ერნანდესი (ბარსელონა), ჩაბი ალონსო (ლივერპული), მიგელ ანხელ ანგულო (ვალენსია), დავიდ სილვა (ვალენსია), დავიდ ალბელდა (ვალენსია), ხოაკინი (ვალენსია).

თავდამსხმელები - დავიდ ვილია (ვალენსია), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), ლუის გარსია (ესპანიოლი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სტუმროობა

ქალაქის მერი მობრძანებულა

კატალონიის დედაქალაქის თავმა ორშაბათის დილას სამსახურის გზიდან კამპ ნოუსკენ გადაუხვია...

გასული სეზონის მიწურულს, ეგვიპტეში გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მიღებული მძიმე ტრავმის შემდეგ, **კარლეს პუიოლმა** გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშა. "ბილბაოსთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, კატალონიელთა ბანაკში შესანიშნავი განწყობა სუფევდა. ფეხბურთელებს, გულშემატკივრებსა და კატალონიელ ჟურნალისტებს ხასიათი კიდევ უფრო გამოუკეთდათ, როცა სანვრთნელი მოედნისკენ მიმავალი პუიოლი დაინახეს. კარლესი საზოგადოებას გულთბილად მიესალმა და უმალ საქმეზე გადავიდა. კაპიტანმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გულმოდგინედ იმუშავა. მას ფიზმომზადების სპეციალისტი **ჟოსეპ ანტონი პოსკანო** მთელი დროის განმავლობაში საგანგებოდ აკვირდებოდა. მისი მოთხოვნით, პუიოლმა წვრთნა ორჯერ შეწყვიტა, თუმცა პოსკანოს საგანგაშო არაფერი აღმოუჩენია და ფეხბურთელმა ვარჯიში გააგრძელა. კარლესის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებაზე საუბარი ჯერჯერობით, ნაადრევია. სანაკრები შეხვედრებით გამონვეულმა პაუზამ მას სულზე მოუსწრო. მომდევნო ორი კვირა გადამწყვეტი იქნება. სავარაუდოა, რომ პუიოლი სექტემბრის ბოლომდე საყვარელ საქმეს დაუბრუნდება.

"ბარსელონის" ვარჯიშს **ტიერი ანრი, ლილიან ტურამი, ერიკ აბიდალი, ჯანლუკა ძამბროტა** და **ჯოვანი დოს სანტოსი** აკლდნენ. ისინი სანაკრებო შეკრებებზე გაემგზავრნენ. **რონალდინიო, მესი** და **დეკუ** მსუბუქად ვარჯიშობდნენ. რიიკაარდმა შეგირდების ზედმეტად დატვირთვა არ ისურვა. არც არის გასაკვირი, რადგან წინა დღეს "ბილბაოსთან" მატჩის სიმძიმემ სწორედ ამ ბიჭების ზურგზე გადაიარა. სამაგიეროდ, რიიკაარდმა "ბარსელონის" სათადარიგო გუნდის მოთამაშეებს ტყავი გააძრო. ჰოლანდიელი სპეციალისტის მოთხოვნით, **ოლასაბალმა, ბოტიამ, ტიაგომ, ჟეფრენმა, ასულინმა** და **ვიქტორ ვასკესმა** ძირითად გუნდთან ერთად ივარჯიშეს. მათი სახელები ფართო საზოგადოებას, რა თქმა უნდა, არაფერს ეუბნება, მაგრამ კატალონიელები გვარწმუნებენ, რომ ხუთივე მათგანი უსაზღვროდ ნიჭიერია და მომავალში სერიოზულ სიტყვას იტყვიან. სავარაუდოა, რომ რიიკაარდი ახალგაზრდა შეგირდებს კატალონიის თასის ნახევარფინალურ შეხვედრაში თამაშის შესაძლებლობას მისცემს.

"რასინგთან" პირველი წრის შეხვედრაში წაფორხილების შემდეგ, "ბარსას" გამარჯვება ორმაგად სასიხარულო გახდა. "ბილბაოს" დამარცხებამ ქალაქის მერი იმდენად გააბედნიერა, რომ ორშაბათს დილით, სამუშაო კაბინეტის ნაცვლად "კამპ ნოუზე", "ბარსელონის" საწვრთნელ ბაზაზე მივიდა. სენიორ **ჟორდი ერეუმ** ფეხბურთელებს თავდადებისთვის მადლობა გადაუხადა და ვარჯიშისთვის თვალის დევნების უფლება სთხოვა. ბუნებრივია, აზრად არავის მოსვლია, კლუბზე ყურებამდე შეყვარებული მერისთვის კარისკენ მიეთითებინათ. კატალონიის ულამაზესი დედაქალაქის მუნიციპალიტეტის უმაღლესმა ხელისუფალმა ვარჯიში ბოლომდე იხილა.

ფრანკ რიიკაარდი ბილბაოსთან მატჩისას

ტიაგო მოტა ბარსელონას გულნატკენი გამოეთხოვა

ატლეტიკო. პრეზენტაცია

მოტამ ბარსელონას მადრიდიდან შეუტია

გუშინ, "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობამ **ტიაგო მოტა** საზოგადოებას წარუდგინა. რომ არა ერთი დელიკატური გარემოება, ეს სრულიად ჩვეულებრივი და ბანალური ღონისძიება იქნებოდა, თუმცა "ბარსელონის" ყოფილმა ნახევარმცველმა პრეზენტაცია ყოფილი კლუბის ხელმძღვანელების დასაკნინებლად გამოიყენა. რაოდენ გასაოცარი და უცნაურიც არ უნდა იყოს, ტიაგომ "ბარსაში" არსებული დაპირისპირებებისა და დაძაბულობის შესახებ სრულიად შეუსაბამო ადგილას ისაუბრა: *"კამპ ნოუზე" ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. რიიკაარდი არ მენდობოდა, თუმცა მას მაინც ვემადლიერები. ფრანკი არასოდეს მატყუებდა. ყოველთვის გულწრფელად და კაცურად მესაუბრებოდა. მთავარ მწვრთნელთან მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, დავრწმუნდი, კატალონიაში ჩემს დარჩენას აზრი არ ჰქონდა. უშუალოდ გუნდშიც არასახარბიელო ატმოსფეროა გამეფებული. ჩიკი ბეგირისტაინი და ლაპორტა ერმანეთს ატყუებენ. ისინი ერმანეთს ვერ იტანენ, მაგრამ ბუნებრივია, რომ საზოგადოებას ამას არაფრის დიდებით არ გაუმხელენ. ბეგირისტაინს გუნდის მართვაზე აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულება აქვს, ლაპორტას კი მისი არგუმენტების მოსმენა არ სურს. პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი ერთ საკითხში მაინც ერთიანია, ისინი რიიკაარდს ჩაუსაფრდნენ. სკამარისია ჰოლანდიელმა ფეხი წამოკრას, უმალ კარისკენ მიუთითებენ."*

მოტამ, რა თქმა უნდა, არჩევანის "ატლეტიკოზე" გაკეთების მოტივებზეც ისაუბრა: *"მსოფლიო გრანდიდან წასვლის გადაწყვეტა არ არის იოლი, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, იქ არ მენდობოდნენ. ნებისმიერ სიტუაციაში ვალდებული ვიყავი, გუნდი შემეცვალა. უმაღლეს დონეზე თამაშს მიჩვეული საშუალო შესაძლებლობების კლუბში ვერ გადავიდოდი. როცა "როხბლანკოს" წინადადება მივიღე, ძალიან გახარებული დავრჩი. "ატლეტიკო" უდიდესი გუნდია და მჯერა, მასთან ერთად სერიოზულ წარმატებებს მივაღწევ."*

როგორც ჩანს, ბრაზილიელი მომავალ სეზონშიც "ვისენტე კალდერონზე" დარჩენას აპირებს. საქმე ის არის, რომ ბრაზილიელმა მადრიდულ კლუბთან მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 2008 წლის ზაფხულში ის თავისუფალი აგენტის სტატუსით აღიჭურვება, რადგან მოტა "ატლეტიკოსთან" ერთად დიდი ნარმატებების მოპოვებაზე საუბრობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ დედაქალაქელებთან ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს.

სერბეთი

კლემენტე ბელგრადში დაჟეჟილი ჩავიდა

სერბეთი ფინეთსა (შინ) და პორტუგალიას (სტუმრად) ეთამაშება. პრინციპული მატჩების წინ ბალკანელები კინაღამ მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩნენ. **ხავიერ კლემენტე** მძიმედ დაშავდა. ის ბილბაოში, საკუთარი სახლის გარაჟში დაეცა. საბრალო კლემენტე საავადმყოფოში გააქანეს. ექიმებმა საგანგაშო დიაგნოზი დასვეს: მწვრთნელმა ლავიწის ძვალი და ოთხი ნეკნი გაიტეხა. ყველაზე შემაშფოთებელი კი ის იყო, რომ ერთმა ნეკნმა მას ფილტვი დაუზიანა. სენიორ ხავიერს წოლითი რეჟიმი გამოუწერეს, მან კი ბელგრადში გამგზავრება არ დაიშალა. ესპანელი სპეციალისტი სერბეთში მანქანით ჩავა, რადგან გახვრეტილი ფილტვის გამო თვითმფრინავში ჩაჯდომისგან თავის შეკავება ურჩიეს: *"მართალია, ტკივილები მაწუხებს, მაგრამ მუშაობა შემიძლია. თანაც, ასისტენტების იმედი მაქვს. ისინი შესანიშნავი სპეციალისტები არიან და საჭიროების შემთხვევაში, საქმეს უჩემოდაც კარგად გაართმევენ თავს. გამიმართლა, რომ მათთან ვთანამშრომლობ."* სერბეთის ფეხბურთის ფედერაციამ კლემენტეს საჯაროდ გადაუხადა მადლობა: *"სენიორ ხავიერის საქციელი მისაბაძია. მან სერბეთის ნაკრები საკუთარ ჯანმრთელობაზე წინ დააყენა."*

აქვე გეტყვით, რომ კლემენტემ ერთ დებიუტანტს უხმო: "პარტიზანის" მცველ **ზორან ტოშიჩს**. ფინეთთან სერბებს საუკეთესო ცენტრალური მცველები - **ნემანია ვიდიჩი** და **მლადენ კრსტაჩი** არ ეყოლებათ. ისინი დისკვალიფიკაციას მოიხდიან. სამაგიეროდ, სასჯელის ვადა ამოწურა კაპიტან **დეიან სტანკოვიჩს**, ხოლო თავდამსხმელი **ნიკოლა ჟიგიჩი** კოჭის ტრავმისაგან განიკურნა. A ჯგუფში ცხრა თამაშიდან 19 ქულით პოლონეთი ლიდერობს. ფინეთმა 17 ქულა დააგროვა და მეორე ადგილი უჭირავს. პორტუგალია, რომელსაც ერთი თამაში თადარიგში აქვს, 15 ქულით მესამე საფეხურზე იმყოფება. სერბეთმა, ასევე რვა თამაშში, 14 ქულას მოუყარა თავი. ჯერჯერობით, ის მეოთხეა.

ხავიერ კლემენტე სერბ ფანებს დაშავებული დაუბრუნდა

ახალი კონტრაქტის მოლოდინში

დელ პიერო: პარისი ახალი კონტრაქტი?

ალესანდრო დელ პიერო "იუვენტუსთან" მოლაპარაკებებს აგრძელებს. მხარეები ახალი კონტრაქტის პირობებზე ჯერაც არ შეთანხმებულან. ტურინელთა სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** ამბობს, რომ ყველაფერი კარგადაა: *"პროგრესი არის. დასაზუსტებელია დეტალები. ალექსი ჩვენს პირობებზე თანახმაა. ხელშეკრულებას სულ მალე მოვაწერთ ხელს."* უფრო ადრე "კორიერე დელო სპორტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ დელ პიერომ კონტრაქტი გააგრძელა, ოღონდ ადრინდელზე ნაკლები ხელფასის საფასურად. ალესს წლიურად 5.3 მილიონ ევროს უხდიდნენ. ამიერიდან მას 3.8 მილიონს გადაუხდიანო, - იუწყებოდა "კორიერე".

აქვე გეტყვით, რომ "იუვენტუსის" ემისრები აიაქსელი **ჰედვიგეს მადუროს** აგენტებს შეხვდნენ. გადაწყდა, რომ ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ტურინში წელიწადის შემდეგ გადავა. მომავალ ზაფხულს მადუროს ამსტერდამული კონტრაქტი დაუმთავრდება და იტალიას თავისუფალი აგენტის სტატუსით მიაშურებს. "ქალბატონმა" მას უკვე შესთავაზა წლიური ხელფასი 2.2 მილიონი ევროს ოდენობით. ეს მადუროს დღევანდელ ხელფასს შვიდჯერ აღემატება.

ოქროს ბურთი 2007 ალექსს!

ამასობაში, დელ პიერო მონტეკარლოში ჩავიდა, სადაც "ოქროს ბურთი" მიიღო. დიახ, არ გვეშლება - საქმე ეხება ჯილდოს, რომელიც "მსოფლიო ჩემპიონი კლუბების" მიერაა დაწესებული და გამარჯვებულს, ტრადიციულად, მონაკოში გადასცემენ. პრიზის გადაეცმა ფეხბურთელს, რომლის ასაკი 29 წელს აღემატება. ლაურეატის შერჩევისას ითვალისწინებენ მოთამაშის სპორტულ შედეგებს, პიროვნულ თვისებებსა და დამოკიდებულებას ექსპერტებისა და გულშემატკივრების მხრიდან.

33 წლის დელ პიერომ ჯილდო პირველად მოიგო. მეორე ადგილზე **რობერტო კარლოსი** გავიდა, შემდეგ **დევიდ ბექჰემი** და **პაოლო მალდინი** არიან. დანარჩენ ექვს ნომინანტს შორის კი იყვნენ: **კაფუ, ფაბიო კანავარო, რაიან გიგზი, ტიერი ანრი, რაული** და **ლუიშ ფიგუ**.

ალესანდრო დელ პიერო და იუვეს გენერალური მენეჯერი ჟან-კლოდ ბლანი

ჩელსი: ლიგაში ბალაკის გარეშე

ჟოზე მოურინიომ "ჩელსის" საჩემპიონთალიგო განაცხადი **მიხაელ ბალაკის** გარეშე ჩამოწერა. მიზეზი მარტივია: მუხლის ტრავმის გამო, გერმანელ ნახევარმცველს აგრე უკვე აპრილის მერე არ უთამაშია. "ჩელსის" ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინება, რომ ბალაკის გამოჯანმრთელების პროცესი ნორმალურად მიდის და თუ "არისტოკრატები" პლეი ოფში გავლენ, ახალ განაცხადში ის აუცილებლად მოხვდება.

ცვლილება სკუადრაში: კურჩი აბიატის ნაცვლად

რობერტო დონადონის საფრანგეთთან და უკრაინასთან საკვანძო შესარჩევ მატჩებში მეკარე **კრისტიან აბიატის** იმედი არ უნდა ჰქონდეს. "ატლეტიკოს" კიპერმა ხელი იტკინა. იტალიის ნაკრების მწვრთნელმა მის ნაცვლად კოვერჩანოში "რომას" მეკარე **ჯანლუკა კურჩის** უხმო. კურჩი ქვეყნის მთავარ გუნდში უნგრეთთან ამხანაგური მატჩისთვისაც გამოიძახეს. **ჯანლუიჯი ბუფონისა** და **მარკო ამელიას** შემდეგ ის ნაკრების მესამე მეკარეა.

მორეტი, ვალენსიელთა ბომბარდირი მცველი

"ვალენსია" პრიმერა დივიზიონის დებიუტანტ, "ალმერიასთან" შეხვედრაში მორიგ ფიასკოს **ემილიანო მორეტის** გოლის წყალობით გადაურჩა. იტალიელმა მცველმა 74-ე წუთზე შეაგდო. პარადოქსულია, მაგრამ მორეტიმ "ღამურების" ბოლო რვა შეხვედრაში თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი გოლი (8) გაიტანა. მართლაც დაუჯერებელია, რომ ფორვარდებით სავსე კლუბში მცველი დომინირებს. თავად იტალიელი ამ გარემოებას დელიკატურად ხსნის: *"დროებით მოვლენასთან გვაქვს საქმე. მიხარია, რომ "ვალესიას" გამარჯვება მოვუტანე, მაგრამ უდავოა, რომ ბურთების შეგდება ჩემს უშუალო მოვალეობებში არ შედის. "ალმერიასთან" დავიდ ვილია და ხოაკინი გვაკლდნენ. ამით ჩვენი შემტევი პოტენციალი მნიშვნელოვნად შემცირდა. მწვრთნელმა უკანახაზელებს შესაძლებლობის გაჩენის შემთხვევაში, მონინაალმდეგის საჯარიმოში აქტიურად მოქმედება დაგვავალა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, გოლმა უზომოდ გამახარა, მაგრამ მას შემდეგ, რაც "ვალენსიის" ფორვარდები მწყობრში ჩადგებიან, გოლების გატანაზე გაცილებით უფრო კვალიფიციური ბიჭები იზრუნებენ."*

ესპანიოლი: დავიდ გარსიას ჰეპატიტი შეეყარა

"ესპანიოლის" ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი **დავიდ გარსია** ექიმებმა ორთვიან იძულებით შვებულებაში გაუშვეს. ამის მიზეზი A ჯგუფის ჰეპატიტი გახდა. *"როცა მითხრეს, რაც მჭირდა, შევშინდი. ვიფიქრე, რომ უკურნებელი ინფექცია შემეყარა, თუმცა ექიმებმა დამამშვიდეს და მითხრეს, თუ რეჟიმს დაიცავ, ორ თვეში ვარჯიშის განახლებას შეძლებო. დავმშვიდდი, მაგრამ მაინც ვნერვიულობდი. თანაგუნდელების წყალობით კი სტრესი სრულიად მომეხსნა. ისინი ყოველ დღე მირეკავენ, მამხნევებენ და მახალისებენ. გავარკვიე, რომ პირველი ფეხბურთელი არ ვარ, რომელსაც ეს დაავადება შეეყარა. რა გაეწყობა, თამაში ძალიან მომენატრება, მაგრამ ვალდებული ვარ, სრულყოფილად ვიმკურნალო."* "ესპანიოლის" ექიმებისთვის უცნობია, სად შეიძლებოდა დავიდ გარსია ჰეპატიტით დაავადებულიყო. როგორც ჩანს, კატალონიელმა ერთ-ერთი ჭამის წინ ხელები არ დაიბანა.

ᲥᲐᲚᲗᲗᲒᲣᲠᲗᲘ

გაუკვალავი მარშრუტის მცდელობა

საქართველოდან პირდაპირ NBA-ში

გიორგი შერმადინი (9)

ნაკრების თამაშებმაც გვიჩვენა, რომ მხოლოდ 5 ლეგიონერით ფონს გასვლა ძნელია. ეროვნულ გუნდს აუცილებლად ზურგს უნდა უმაგრებდეს ძლიერი ჩემპიონატი. ჰოდა, ამ სანაკრებო ციებ-ცხელებაში საკლუბო კალათბურთის ამბებსაც არ უნდა ავუაროთ გვერდი. "ვითაზე", "აზოტსა" და "ავიამშენზე" აგვისტოში უკვე გესაუბრეთ. დღეს მოგითხრობთ "მაკაბიზე", რომელიც შარშანდელთან შედარებით, ერთი-ორად გაძლიერდა.

- წლეულს "მაკაბის" წინა სეზონთან შედარებით რადიკალურად განსხვავებული მიზნები ექნება. გუნდის ლიდერი, გიორგი შერმადინი ოპერაციის შემდეგ ჩვეულ ფორმაში ვერ შევიდა, ამიტომ ევროპის ძლიერ კლუბში მისი გადასვლა ვერ მოხერხდა. ბევრი გუნდი გვთავაზობდა სარფიან კონტრაქტს, მაგრამ გიორგისთვის ხელშეკრულებაზე მნიშვნელოვანი პროფესიული ზრდაა. ვერც ერთი ევროპული კლუბის ხელმძღვანელობამ ვერ მოგვცა გარანტია, რომ ყოველ მატჩში მინიმუმ 20 წუთს მაინც ათამაშებდნენ. დროის შეზღუდვა კი შერმადინისთვის შეიძლება დამღუპველი ყოფილიყო, რადგან მომავალ წელს იგი NBA-ს დრაფტზე უნდა დადგეს. ჩვენი პარტნიორის ცნობილი სააგენტო WMG-ს უფროსობამ პირველ რიგში მოგვთხოვა - გიორგი დრაფტს ჩინებულ ფორმაში უნდა შეხვდესო. ამიტომ, გადავწყვიტეთ, რომ გაცილებით ძლიერ ჩემპიონატში სკამზე დასმას, საქართველოს პირველობაზე 40 წუთი თამაში აჯობებდა და შერმადინი "მაკაბიში" დარჩა. - გვიამბობს მაკაბელთა თავკაცი ჯამლეტ ხუხაშვილი. იგი იქვე დასძენს, რომ გუნდი გაძლიერდა და მომავალ ჩემპიონატში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

- თავდაპირველად, უკანა ხაზი გავამაგრეთ - ტყუპი ბერიშვილები დავიმატეთ, რომლებიც "მაკაბიში" წლების წინაც თამაშობდნენ. მათ მოთამაშე მწვრთნელობა შევთავაზეთ და უარი არ უთქვამთ. ბერიშვილები გაისად ჩემს გვერდით იმუშავებენ, თან ითამაშებენ. ხოლო შემდეგ სიამოვნებით დავუთმობ მწვრთნელობას. გაძლიერება გვჭირდება მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე. "მაკაბიში" მესამე ნომრები ახლაც ვარჯიშობენ და შეიძლება შემდეგ სხვა დავიმატოთ. თუ ამ ამპლუის მოთამაშე ვერ გაამართლებს, ჩვენი სააგენტოს წარმომადგენლები დამპირდნენ, რომ ფლეიოფებისთვის მის დაქვემდებარებაში მყოფ რომელიმე ძლიერ ფორვარდს გამოგვიგზავნის.

სადღეისოდ "მაკაბიში" ვარჯიშობენ ირაკლი დოლიძე, ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერიშვილი, გიორგი შერმადინი, სოსო შერმადინი, დავით იოსელიანი, რომან ახმედიანი, დავით ხიზანიშვილი, გიორგი პირველაშვილი და გიორგი გაგლოშვილი.

- როგორ ემზადებით ახალი სეზონისთვის?

- როგორც ყოველთვის, არც შარშანდელი ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაგვისვენია. "მაკაბის" ვარჯიში არც სპორტის სასახლეში მიმდინარე რემონტის გამო შეუწყვეტია. დარბაზის ხელმძღვანელობა ყველანაირად ხელს გვიწყობდა, რომ არც საწვრთნელო პროცესი ჩაშლილიყო და არც - სპორტული რადიო "ჯაკოს" 24 -საათიანი მაუწყებლობა. ამისთვის სპორტის სასახლის უფროსობას მინდა მადლობა გადავუხადო. ჩემპიონატის მოახლოვებასთან ერთად საკონტროლო მატჩების რაოდენობაც მოიმატებს. ასევე მონაწილეობას მივიღებთ უკრაინაში გასამართ ყოველწლიურ საერთაშორისო ტურნირზე. მიწვეული ვართ ისრაელშიც, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ. ამის მერე სააგენტო WMG-ს ინიციატივით, ლოს ანჯელესის საერთაშორისო ტურნირზე მივიღებთ მონაწილეობას. ვფიქრობთ, ამ მატჩებში მიღებული გამოცდილება შიდა ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მაღალ დონეზე ჩატარებაში შეგვიწყობს ხელს.

ზემოთ ჯამლეტ ხუხაშვილმა NBA-ს 2008 წლის დრაფტი ახსენა. მან ისიც თქვა, რომ გიორგი შერმადინი 2007-08 წლები სეზონს "მაკაბიში" გაატარებს. ჩნდება კითხვა - დრაფტზე პირდაპირ საქართველოდან?

- მწვრთნელებიც, და მოთამაშეებიც გიორგის ყველანაირად ვუწყობთ ხელს, რათა პროფესიულად გაიზარდოს და დრაფტზე ღირსეულად წარდგეს. იგი ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ პირველი ადამიანი იყოს, რომელიც NBA-ში პირდაპირ საქართველოდან მოხვდება. ეს ჩვენი კალათბურთის დიდი წარმატება იქნება. მანამდე ბევრი უნდა იმუშაოს და დაამტკიცოს, რომ ქართველი "იაოს" მიერ შარშან თსუ-ს კალათში ჩაგდებული 76 ქულა შემთხვევითი არ ყოფილა.

ვაჟა სიმონიშვილი



ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ:

მე შევთავაზე დახმარება...

ორი წლის წინათ ვამაყობდით - NBA-ს სამი კალათბურთელი გვყავს, ვლადიმერ სტეფანია, ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია, მეოთხე, ვიქტორ სანიკიძე დრაფტზე "სან ანტონიომ" აირჩიაო. მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ნიკა ევროპაში დაბრუნდა, ვიქტორიც ესპანეთშია, ვოვას ტრავმის გამო ერთი თამაში აღარ ჩაუტარებია. ქართველ მკითხველს სხვებთან ერთად ყოველთვის აინტერესებდა სტეფანიას ბედი, ის ხომ ბოლო დროს საქართველოშიც ხშირად ჩამოდის და ამბობს - თუ ფეხზე დავდგები, ნაკრებსაც დავეხმარებიო. ვოვას მდგომარეობით დავინტერესდით და ამერიკაში დავურეკეთ. თავდაპირველად ჯანმრთელობაზე ვკითხეთ.

- სიარულისას მუხლები აღარ მაწუხებს, მაგრამ სერიოზული დატვირთვისას მცირე ტკივილს ვგრძნობ. კარიერის დასრულებაზე კი ვფიქრობ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია - თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს, თუნდაც ერთ სეზონს ვითამაშებ და კალათბურთს მერე შევეშვები.

- ამ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების რომელიმე მატჩი ხომ არ გინახავს?

- სამწუხაროდ, იმ არხს, რომელზეც ეროვნული გუნდის თამაშებაი უჩვენებენ, ამერიკაში ვერ ვიჭერ. სიმართლე რომ გითხრა, საქართველოს ნაკრებში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს, არც მთავარ მწვრთნელს ვიცნობ. ჩინეთში წასვლის წინ ფედერაციაში დავრეკე და შევთავაზე - აგვისტოში საქართველოში ჩამოვდივარ, ნაკრებთან ერთად ვივარჯიშებ და თუ თამაშს შევძლებ ხომ კარგი, თუ არა, ან მწვრთნელს დავეხმარები, ან მენეჯმენტის საკითხში გვერდში დაგიდგებით-მეთქი. თითქოს დამთანხმდნენ, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ არავინ შემხმიანებია. ეტყობა არ დავჭირდი, რაზეც გული ნამდვილად არ მწყდება, რადგან ამერიკაშიც მაქვს საქმე... თუმცა, ნაკრებს გულით ვგულშემატკივრობ და ზაზას, ნიკასა და სხვა ბიჭების წარმატება ძალიან გამიხარდება.

- ჩინეთში რამდენ ხანს გაჩერდი?

- NBA-ს საერთაშორისო ოფისმა ერთთვიანი მივლინებით გამიშვა. ჩინეთში რამდენიმე კემპი მოვაწყვეთ და ახალგაზრდებს კალათბურთის ანა-ბანასაც ვუხსნიდით, NBA-საც ვაცნობდით და ვავარჯიშებდით კიდეც. საბოლოოდ, ადგილობრივებიც კმაყოფილნი დარჩნენ და ჩვენც.

- რა ფუნქცია გეკისრა?

- მწვრთნელობასაც ვითავსებდი, გარკვეულწილად, ადმინისტრატორობასაც და სკაუტობასაც. ჩინეთიდან ამერიკაში ანგარიშს ვაგზავნიდი. დამღლელი, მაგრამ საინტერესო საქმიანობა იყო. შემდეგ იატლანდში გასამართ კემპზეც დამპატიჟეს, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლა ვამჯობინე. თბილისში მცირე ხნით გავჩერდი, მერე ბათუმში წავედი...

- ნიუ იორკში, NBA-ს ოფისში ჩინური საქმიანობა როგორ შეგიფასეს და ახალი გეგმები ხომ არ შეადგინეთ?

- NBA-ს საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ტელეფონით ხშირად ვესაუბრებოდი, თუმცა ნიუ იორკში ჩასვლა ჯერ ვერ მოვახერხე. ამ თვის დასაწყისში ოფისში აუცილებლად მივალ და სამომავლო გეგმებსაც მას შემდეგ დავსახავთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ᲯᲔᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ

საიუბილეო ჭურნირი

ბათუმში სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ცნობილი ქართველი მწვრთნელის **რევაზ ბასილიას** დაბადებიდან 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძალოსნობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გახდნენ:

56
- ზაზა ფუტკარაძე (ხელვ.)
- ზვიად ფუტკარაძე (ხელვ)
- რუსლან ტარიელაძე (ქობ.)

62
- გურამ გოგრაჭაძე (ქობ)
- ვაჟა ქავთარაძე (ხელვ)
- კახა ჩიბურდანიძე (ქობ)

69
- ზაზა აგულაძე (ქობ)
- შალვა ლორთქიფანიძე (თბ)
- ლევან შაინიძე (ქობ)

77
- ნუგზარ ჯინჭარაძე (ქობ)
- გურამ გიორგაძე (თბ)
- დავით გოგია (ზუგდ)

85
- ვილიამ ალექსიძე (აფხაზეთი)
- გოდერძი ზოიძე (ქობ)
- სულხან დუმბაძე (ქობ)

94
- ჯაბა აგულაძე (ქობ)
- როლანდ ქავთარაძე (ხელვ)
- გიორგი კოჩალიძე (ხელვ)

105
- ირაკლი თურმანიძე (ქობ)
- ალექსანდრე ესიტაშვილი (აფხაზეთი)
- ვახტანგ მასხულია (თბ)

+105
- გია მაჭავარიანი (ქობ)
- ლევან ბითაროვი (თბ)
- ვალერი ლოგაშანიძე (აფხაზეთი)

ირაკლი დარცმელიძე

ჭიდაობა | მსოფლიო ჩემპიონატი

ყურადღება, რვა-რვა ლიცენზია თამაშდება



დღეს, ანტიკური ჭიდაობის ნაკრები ბორჯომში მიემგზავრება, სადაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ დასკვნით შეკრებას დაიწყებს. ხვალ ბორჯომის გზას "თავისუფლებიც" დაადგებიან ასევე ბოლო შეკრების გასავლელად.

მოგეხსენებათ, მსოფლიო პირველობა 17-22 სექტემბერს ბაქოში ჩატარდება. თავდაპირველად, ტურნირში "ანტიკოსები" ჩაებმებიან - 17-ში 55, 60 და 66 წონითი კატეგორიების წარმომადგენლები იჭიდავებენ, მეორე დღეს - 74, 84 და 96-ის, 19-ში "ანტიკოსთაგან" მძიმეწონოსნები გავლენ ხალიჩაზე, იმავე დღეს კი ტურნირში "თავისუფლებიც" ჩაებმებიან - 55 და 60-ის ფალავნები. 20 სექტემბერს 66, 74 და 84-ის წარმომადგენლები ჭიდაობენ, 21-ში - 96-ისა და მძიმე წონების მოჭიდავეები. ამავე დღეს ტურნირში ქალებიც ჩაერთვებიან, რომლებიც 22-ში დაასრულებენ კიდეც ჩემპიონატს.

ამ პირველობაზე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა - ყოველ წონაში 8, რაც მის მნიშვნელობას განუზომლად ზრდის. ვინც ბაქოში ვერ მოიპოვებს საგზურს, მას გაისად კიდევ მიეცემა შანსი ორ სალიცენზიო ტურნირზე.

ჩემპიონატის ბაქოში ჩატარებას თავის დროზე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა - გასაგებ მიზეზთა გამო, იქ ჩასვლა სომხეთის დელეგაციამ იუარა და ტურნირის სხვაგან გადატანა მოითხოვა. ერევანს მხარი იმ ეროვნულმა ფედერაციებმაც აუბეს, რომელთა ნაკრებებში სომხური წარმოშობის ფალავნები გამოდიან, ასეთი გუნდები კი ძალზე ბევრია. მდგომარეობა მართლაც გართულდა და ერთი ხანობა პირველობის ლას ვეგასში გადატანაზეც საუბრობდნენ, მაგრამ აზერბაიჯანულმა მხარემ საერთაშორისო ფედერაციას უსაფრთხოების მყარი გარანტიები წარუდგინა და მათი გული მაინც მოიგო. თავის მხრივ, საერთაშორისო ფედერაციამ გაჯიქებული სომხები დაიყოლია და ბაქოსაც შერჩა ეს ტურნირი. არა გვგონია, სომხები ბოლომდე დაცულად გრძნობდნენ თავს და ძალიან უხაროდეთ ბაქოში ჩასვლა, მაგრამ ახლა ეს არაფერს ცვლის.

რაც შეეხება ჩვენი გუნდების შემადგენლობას, ბოლო შეკრების დამთავრებამდე მწვრთნელები მის გამოცხადებას არ ჩქარობენ, თუმცა კულუარული ინფორმაციით, გასარკვევი ბევრიც არაფერია.

ირაკლი თავაძე

თავისუფალი ჭიდაობა



ლუკა კურტანიძე

კურტანიძის გამარჯვება

ხასავიურტში დამთავრებულ შამილ უმახანოვის სახელობის IX საერთაშორისო ტურნირში ქართველმა ფალავნებმა პირად პირველობაში თითო ოქრო-ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოიპოვეს, რამაც ამ წარმომადგენლობით შეჯიბრებაში გუნდური მეორე ადგილი მოგვიტანა. ტურნირის ჩემპიონი **ლუკა კურტანიძე** (96) გახდა, რომელმაც ფინალში რუსეთის ნაკრების წევრი არსლანბეკ ალიევი დაჯაბნა. ასევე ფინალში გავიდა, მაგრამ იქ დამარცხდა **გიორგი ბალიაშვილი** (60) - ასევე მასპინძელ ზელიმხან ჰუსეინოვთან. ამავე წონაში **მალხაზ ზარქუა** ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. შეგახსენებთ, რომ ბრინჯაო მძიმეწონოსანმა **ალექსი მოდებაძემაც** მოიპოვა, რაზეც გუშინდელ ნომერში ვწერდით.

გუნდურ ჩათვლაში რუსებმა იმარჯვეს, რომლებმაც 20 მედალი მოიპოვეს. ჩვენები მეორეზე გავიდნენ, მესამე ადგილი კი უკრაინელებს ერგოთ. არადა, ეს ფრიად წარმომადგენლობითი ტურნირი გახლდათ, ჩვენები კი ძირითადად, მეორე შემადგენლობით გამოდიოდნენ - დაუზუსტებელი ინფორმაციით, ნაკრების ხელმძღვანელობამ იქ სათადარიგო გუნდი გააგზავნა, ხოლო მსოფლიო პირველობისთვის შეგულებული ფალავნები ამჯერად დაასვენა. ტურნირში ბულგარეთის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უკრაინისა და საქართველოს ფალავნებთან ერთად რუსეთის 10 რეგიონის ნაკრებიც გამოდიოდა.

შეგახსენებთ, რომ ესაა კომერციული ტურნირი - ჩემპიონებმა ჯილდო, 5 ათასი დოლარი მიიღეს, მეორე პრიზიორებმა - 3 ათასი, ბრინჯაოს მფლობელებმა - 1000.

ირაკლი თავაძე

ჭიდჩეჭი

სტამბოლში სულ ქართველებია

თურქეთის ქალაქ სტამბოლში მე-6 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი გაიმართა, სადაც რეკორდულად მრავალრიცხოვანია ქართული დელეგაცია - ტურნირში 28 ქართველი მოაჭადრაკე თამაშობს. ოთხი ტურის შემდეგ 505 მონაწილიდან 21 უდანაკარგოდ ლიდერობს. სასიხარულოა, რომ მათი დიდი ნაწილი ქართველია. 4-4 ქულა აქვთ: **ლევან ფანცულაიას, დავით არუთინიანს, გიგა ყუფარაძეს, დავით ჯოჯუას, ნანა ძაგნიძეს, ბაჩანა მორჩილაშვილს, სალომე მელიას, დავით მაღალაშვილს, ნინო ხუციძეს, გიორგი მარგველაშვილს და დავით ზარქუას.** 3,5-3,5 ქულა აქვთ: **თორნიკე სანიკიძეს, ლევან არაშიძეს, ივერი ჭილაძეს და მაკა ფურცელაძეს.**

ორი მოგება და მარცხი

ტრიესტში (იტალია) მეცხრე საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი მიმდინარეობს. 38 მონაწილეს შორის ერთი ქართველია, დიდოსტატი **გიორგი ბაღათუროვი** (2474). სამი ტურის გასვლის შემდეგ ბაღათუროვს 2 ქულა აქვს. პირველ რაუნდში მოგების შემდეგ, მეორეში ის სლოვენიელ დიდოსტატ **დუშკო პავასოვიჩთან** დამარცხდა. მესამე ტურში ბაღათუროვმა შავი ფიგურებით დაამარცხა შვედი **მიქაელ არონენი**. მეოთხე ტურში ჩვენებურის მეტოქე გერმანელი დიდოსტატი **ფილიპ შლოსერია**, თეთრებით ქართველი დიდოსტატი ითამაშებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფილმი ქართულ ჭიდაობაზე

კაცი იყავ და თუნდაც სოფლის ჩემპიონი!

აგვისტოსა და სექტემბერში ქართლ-კახეთის სოფლის საჭიდაოებზე ნახერხის სურნელი და ქართული ჭიდაობის მოსეირე-ქომაგთა ყიჟინა მეფობს...

ლატვიელი კინემატოგრაფისტი, 42 წლის პროდიუსერი და ოპერატორი **ულდის ცაკულისი,** ქართველ კოლეგებთან ერთად ქართულ ჭიდაობაზე დოკუმენტურ ფილმს იღებს, რომელსაც საქართველოს გარდა, ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შაყურებლებიც გაეცნობიან...

გადამღებ ჯგუფთან ერთად რამდენიმე ტურნირს ჩვენც დავესწარით.

ტინისხიდში (გორი) გაიმართა ამ სოფლის მკვიდრის, ქართულის ცნობილი მოჭიდავის გენო ყაზარაშვილის სახელობის ტურნირი. მთავარი პრიზი - ჭედილა აქ გორელმა **დავით კარბელაშვილმა** დაისაკუთრა.

ფცაში (ქარელი) მოეწყო ზვიად ბერუაშვილის სახელობის შეჯიბრება. მთავარი ჯილდოები ფცის სარბიელზე ჭიათურელმა **უჩა ხუციშვილმა** და გორელმა **ზვიად ბაზანდარაშვილმა** მოიპოვეს.

ოსიაური (ხაშური) კი მასპინძლობდა იური იმერლიშვილის სახელობის ტურნირის ცოცხალი პრიზი აქ ალელმა **ჯემალ გიგუაშვილმა** მოიპოვა.

გრემში (ყვარელი) კი ქართული ჭიდაობის ზეიმი მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს მიეძღვნა. ფულადი პრიზები გრემის ტურნირზე გურჯაანელმა **დიმიტრი ტურაშვილმა** და თელაველმა **ვალერი იმერლიშვილმა** დაისაკუთრეს.



ულდის ცაკულისი

ტურნირებისა და კინოგადაღებების შემდეგ გავესაუბრეთ ულდის ცაკულისს:

- შარშან, ქართველი და ლატვიელი კინოდოკუმენტალისტების შემოქმედებითი შეხვედრის დროს გადაწყდა, ერთად შეგვექმნა ფილმები და მოგვეძებნა ახალი იდეები. ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი რიგელმა სტუმარმა.

- ქართული ჭიდაობის თემა საიდან?

- ეს ჩემი თბილისელი კოლეგის, რეჟისორ თემურ ცაავას მოფიქრებულია. ჩვენ ერთად ვიღებთ ამ ფილმს.

- როდის ვიხილავთ დასრულებულ ნამუშევარს?

- სულ მცირე ორი წელიწადი მაინც იქნება საჭირო ფილმის შესაქმნელად. ანუ კიდევ წელიწადი და ფილმს დავასრულებთ.

- როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ქართულ ჭიდაობას ევროპაშიც ნახავენ.

- დიახ. არა მარტო ევროპაში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშიც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვინდა. ეს არ იქნება ადვილი. ნინ ბევრი მუშაობა გველის.

- სპორტზე ადრე თუ გადაგიღიათ ფილმი?

- რიგაში "ვიდა ფიუმო სტუდიაში" ვმუშაობ. ოცი ფილმი მაქვს გადაღებული, რომლებიც ევროპის სხვადასხვა ფესტივალებზე მოხვდნენ და ზოგიერთმა ჯილდოებიც მოიპოვა. სპორტის თემაზე და თანაც ქართულ ჭიდაობაზე პირველად ვაკეთებ ფილმს.

- თავად თუ გიცდიათ ბედი სპორტში?

- ჩემი ჰობია ვინდსერფინგი. მიყვარს კალათბურთი. ჭიდაობასთან კავშირი კი არასდროს მქონია.

- ჩვენ ერთად ვნახეთ ქართული ჭიდაობის ოთხი ტურნირი, ახლა რას იტყვით?

- გაოგნებული ვარ, ეს არის უნიკალური ტრადიცია, რომელიც არსებობს და უყვართ.

- გულშემატკივრები ჩემს კამერას ყურადღებას არ აქცევდნენ. ისინი უყურებდნენ ნახერხის ნრეში მოპაექრე თმაქოჩორა მორკინალებს. მივხვდი, რომ ეს მათი ცხოვრებაა.

- ყველაზე მეტად რა მოგეწონათ ჩვენს ძირძველ ჭიდაობაში?

- პირველად დავინახე, რომ ჭიდაობა მეგობრობა ყოფილა. მოჭიდავეები დასაწყისში ხელს ართმევენ ერთმანეთს, დასრულებისას კი კოცნიან. ეს არის ცხოვრების გაგება, რომელიც ბევრს არა აქვს.

- რა გინდათ, რომ აჩვენოთ მაყურებლებს?

- რომ მოგებაც და წაგებაც ღირსეულად უნდა იცოდეს ვაჟკაცმა. ჩვენ გვინდა მაყურებლებს ვუჩვენოთ, თუ რა ვაჟკაცური სპორტი ჰქონიათ ქართველებს. გვსურს, ქართული ჭიდაობის "სამზარეულო" ვაჩვენოთ ხალხს. ჩვენი ფილმის დევიზია - იყავი თუნდაც სოფლის ჩემპიონი და იყავი ღირსეული კაცი.

გაბრიელ ბარჯაძე
ავტორის ფოტოები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ვლაქგურითი

მსოფლიო რეიტინგი

თითო ნაბიჯი უკან

პლაჟგურთში მსოფლიო ტურის წლევანდელი გათამაშების დასრულებამდე სამი ეტაპი დარჩა. ქართულ წყვილებს ბოლო ორ ეტაპზე ცუდად ნამდვილად არ უასპარეზიათ, სარეიტინგო ქულებიც საკმარისად მიითვალეს და არც ფინანსურად დასწყვეტიათ გული. თუმცა დასანანია, რომ ყოველივე ამის მიუხედავად ორივე დუეტი: გეორ-გია და საქა-რთველო რეიტინგში თითო საფეხურით ჩამოქვეითდა. აღმოჩნდა, რომ ამათმა უახლოესმა მდევრებმა ამ ეტაპებზე უფრო ნაყოფიერად იღვაწეს. ამრიგად, ვაჟებში გეორ-გია რეიტინგში ისევ მე-14 საფეხურზე დაბრუნდა 3 070 ქულით. საქა-რთველო კი 31-ე ადგილზეა, მის აქტივში 1 452 ქულაა.

ბესიკ ჯანგავაძე

ვაჟები

1. ემანუელი-რიკარდო (ბრ)	6 420 ქულა
2. მაგალაეში-არაუჟო (ბრ)	5 920
3. კოლოდინსკი-გარსუკი (რუს)	5 770
4. ჰარლი-პედრო (ბრ)	5 400
5. ჯუ-სიუ (ჩინ)	4 920
6. ფრანკო-კუნია (ბრ)	4 320
7. რეკერმანი-ურგაცკი (გერ)	3 950
8. ბარაკეტი-კონდე (არგ)	3 870
9. ნუმენდორი-ჟუილი (ჰოლ)	3 700
10. ბრინკი-დიკერმანი (გერ)	3 580
14. გეორ-გია (საქ)	3 070

ქალები

1. ტიანი-ჟანკი (ჩინ)	7 140 ქულა
2. ლარისა-ჯულიანა (ბრ)	6 920
3. ხუე-ჟანკი (ჩინ)	6 410
4. რენატა-ტალიტა (ბრ)	5 500
5. ველში-მეი (აშშ)	4 640
6. არვანითი-კარადასიუ (საბ)	4 220
7. გოლერი-ლუდვიგი (გერ)	3 560
8. ლეილა-ანა პაულა (ბრ)	3 320
9. ჰოჯლი-რაუ (გერ)	3 270
10. ბარნეტი-კუკი (ბრ)	3 220
31. საქა-რთველო (საქ)	1 452

ჩოგბურთი

ჩახნაშვილი საფრანგეთშია

საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (158) ამერიკიდან ევროპას დაუბრუნდა. ის საფრანგეთში დენაინის საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია. ტურნირში ძალზე ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, დენაინის თიხნარის კორტებზე მაკა განთესილთა შორის არაა. პირველ წრეში ჩახნაშვილის მეტოქეა გერმანელი **იულია შრუფი** (124), რომელიც მეხუთე ნომრად განთესეს.

თორმეტი ქართველი ბაქოში

ბაქოში დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი) დაიწყო, სადაც მოქმედ ქართველ ჩოგბურთელთა ლამის ნახევარი თამაშობს. ტურნირის პირველი ნომერია მსოფლიოს 579-ე ჩოგანი **სოფიო შაფათავა**, რომელიც ახალ რეიტინგში გვარიანად დაწინაურდება. 18 წლის შაფათავას პირველი მეტოქე მისი თანამემამულე **თეონა ცერცვაძეა**. 17 წლის ცერცვაძეს წელინადია არსად უთამაშია. შაფათავა და ცერცვაძე შარშან თბილისის ტურნირში შეხვდნენ ერთმანეთს, სოფიომ 6:2, 6:2 იმარჯვა. ტურნირის მეოთხე ნომერია **მანანა შაფაქიძე** (703), რომლის მეტოქეც **მარიამ ქურდაძეა**. თანატოლები ერთმანეთს პირველად შეხვდებიან. მეხუთე ნომრად **ეკა გორგოძე** (774) განთესეს, 15 წლის ქართველი, რომელიც ევროპის 16-წლამდელთა რეიტინგში პირველი ჩოგანია, პირველ წრეში "უაილდ ქარდით" მიწვეულ რუს **ქსენია მიხაილოვას** დაუპირისპირდება. მეშვიდე ნომრად განთესილი **სოფიო ქვაცაბაიას** (942) მეტოქე საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსული იქნება.

თინათინ ყაელაშვილი "უაილდ ქარდით" მიწვეულ რუს **დარია შილინას** ეთამაშება, ხოლო **თათია მიქაძე** რუს **ვალენტინა პონომარცევას** დაუპირისპირდება. სხვათა შორის, მიქაძემ საკვალიფიკაციო ბადიდან მოიპოვა ძირითადში თამაშის უფლება. ძირითად ბადეში ქართველთა რიცხვი შესაძლოა, გაიზარდოს. პირველ საკვალიფიკაციო წრეში იმარჯვეს **სოფიკო შარანგიამ**, **ნათია გეგიამ** და **ანა ჯიქიამ**, ხოლო **სალომე ალადაშვილი** ისვენებდა. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში თათია მიქაძემ აზერბაიჯანელი **კონულ ალიზადე** გაანადგურა - 6:0, 6:0. ალადაშვილი უკრაინელ **იანა შულაევას** ხვდება, შარანგიას მეტოქე რუსი **მარია სტეპანოვაა**, გეგია ბელარუს **ვიქტორია ემიალიანოვას** დაუპირისპირდება, ანა ჯიქია კი - რუს **ოლგა მახოვას**.

კალაშნიკოვამ ფავორიტი გაანადგურა

ოქსანა კალაშნიკოვა

16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** დიდებულად დაიწყო ახალგაზრდულ "დიდ სლემზე", ამერიკის ღია პირველობაზე თამაში. პირველ წრეში ქართველი ჩოგბურთელი მე-13 ნომრად განთესილ სლოვაკ **რეკა ჟილინზსკას** ხვდებოდა. "ფლეშინგ მედოუს" მე-15 კორტზე ოქსანამ ფავორიტს გასაქანი არ მისცა და ძალზე იოლად დაამარცხა - 6:1, 6:2. გუშინ, გვიან ღამით კალაშნიკოვა რუს **ქსენია ლიკინასთან** ერთად წყვილთა თანრიგის მატჩისთვისაც გავიდა კორტზე, ქართულ-რუსული დუეტი ნიუ იორკში მესამე ნომრად განთესეს. ერთეულთა თანრიგის მეორე წრეში ოქსანა კალაშნიკოვა მეორე წრეში ფრანგ **სინდი შალას** (24) შეხვდება, რომელმაც ამერიკელ **ჩელსი გალიკსონს** მოუგო - 6:1, 6:2.

გუშინ, ახალგაზრდული მსოფლიო რეიტინგი გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც ოქსანას კანადის ღია პირველობის მოგება წყვილებში ორადგილიანი წინსვლით დაუფასდა, კალაშნიკოვას 602,5 ქულა აქვს და დღეიდან ის მსოფლიოს მე-17 ჩოგანია ძირითადად თავისზე ერთი-ორი წლით უფროსებში. სხვათა შორის, ხვალიდან ოქსანასზე ვეღარ ვიტყვით, რომ 16 წლისაა, საქართველოს ყველაზე პერსპექტიული ჩოგბურთელი 17 წლისა ხდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩრდილი

ნაკრების ყველა მორაგბე სრულ მზადყოფნაშია. ტრავმა არავის ანუხებს

მსოფლიო თასი

მზადება დასრულებულია, ველით თამაშებს!

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო თასისთვის მზადებას ნიმში დღეს დაასრულებს. ხვალიდან ჩვენი მორაგბეები თავის ოფიციალურ ბაზაზე, ბოჟოლეში დაბანაკდებიან. 11 სექტემბერს პირველი მატჩია არგენტინასთან.

ნაკრების მწვრთნელს მალხაზ ჭეიშვილს გუშინ დავუკავშირდით.

- მზადება თითქმის დასრულებულია. საბედნიეროდ, სერიოზული ტრავმა არავის აწუხებს. რამდენად ნაყოფიერად ვიმუშავეთ ამას სულ მალე, თამაშებმი გვიჩვენებს.

- რამდენად სახეშეცვლილი იქნება ჩვენი გუნდის თამაში მსოფლიო თასის მატჩებში?

- ბევრი არაფერი შეცვლილა. ცხადია, ახალი კომბინაციების ათვისებაზეც ვიმუშავეთ, მგრამ ძირითადად მაინც არსებულის დახვეწაზე გავამახვილეთ მეტად ყურადღება.

- რამდენადაც ვიცით, ბოლო საწვრთნელი შეხვედრა ამ დღეებში "ნიმთან" უნდა გაგემართათ.

- არ გვითამაშია. "ნიმის" ხელმძღვანელებმა ამხანაგურ შეხვედრაზე უარი გვითხრეს. კარგი იქნებოდა გუნდის კიდევ ერთხელ საქმეში ხილვა, მაგრამ არ გამოვიდა. თანაც მსოფლიო თასზე მონაწილე გუნდებს 25 აგვისტოდან თამაშების გამართვა ოფიციალურად აქვთ აკრძალული. ეს რომ არა, შესაძლოა ჩვენი დაჟინებული თხოვნის შემდეგ მასპინძლებთან გვეთამაშა კიდეც.

- რაიმე ორგანიზაციული პრობლემები ხომ არ წამოჭრილა ამ პერიოდში? რამდენად ხარისხიანად ემზადებიან ფრანგები მომავალი ბატალიებისთვის?

- ორგანიზაცია თითქმის უნაკლოა. არავითარი პრობლემა. ფრანგები დიდი ზეიმისთვის ემზადებიან. იმედი აქვთ, რომ მსოფლიო თასს შინ დაიტოვებენ. ხვალ დილით მე და ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე პარიზში მივემგზავრებით. იქ IRB-ის შეფები მწვრთნელებთან, კაპიტნებთან და მსაჯებთან აწყობენ შეხვედრას. ცხადია, საუბრის თემა მომავალი გათამაშება იქნება. სავარაუდოდ, თამაშის წესების ინტერპრეტაციაზე, მსაჯობაზე გვესაუბრებიან. რაგბიში კარგად გათვითცნობიერებულებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ისე, როგორც თამაშის სტილით განსხვავდება ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროს ნაკრები გუნდები, ასევე განსხვავებულია ამ ქვეყნების მსაჯობის სტილიც. ერთი სიტყვით, ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა და იმედია ჩვენ ამ მხრივ პრობლემები არ შეგვექმნება.

ბესიკ ჯანგავაძე

ჭიდი

კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატი

ყველამ წააგო, დარჩა თავაძე

აზერბაიჯანის დედაქალაქში გრძელდება კადეტ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც, ჩვენთვის სამწუხაროდ, თითქმის დასრულდა.

"ლელოს" წინა ნომერში დავწერეთ, რომ რინგზე გუშინ მხოლოდ სამი ქართველი უნდა გამოსულიყო, რითაც მკითხველი უნებლიედ შეცდომაში შევიყვანეთ. საქმე ის არის, რომ წლეულს, ევროპისა და მსოფლიოს კრივი ფედერაციები ერთმანეთს ეჯიბრებიან არაოპერატიულობაში. არც შედეგები მოდის ოპერატიულად და სრულად და არც ორთაბრძოლების განრიგი. საერთაშორისო ფედერაციის საიტმა გუშინაც არ გვაღირსა დროული ინფორმაცია. ისევ აზერბაიჯანულმა სპორტულმა საიტმა "აზერისპორტმა" და საქართველოს კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **კონსტანტინე ბერძენიშვილმა** გაგვიწიეს დახმარება.

მოკლედ, გუშინ რინგზე გამოვიდა თითქმის ყველა ქართველი. სამწუხაროდ, **რომან თავაძის** გარდა, უკლებლივ ყველა გამოეთიშა მსოფლიო ჩემპიონატს.

48 კილოგრამში, **გელა აბაშიძე** მეორე წრეში უნდა შეხვედროდა აზერბაიჯანელ ელვინ მამიშზადეს. როგორც კოტე ბერძენიშვილმა გვითხრა, მოხდა საკმაოდ იშვიათი შემთხვევა. კერძოდ, აბაშიძემ წონა ვერ ჩააბარა - დასაშვებზე 400 გრამით მძიმე აღმოჩნდა და გამარჯვება უბრძოლველად მიენიჭა მამიშზადეს. საერთოდ, ნებისმიერი ოფიციალური შეჯიბრებისას, მოკრივეები თითოეული ორთაბრძოლის წინ იწონებიან და თუკი დასაშვებზე თუნდაც სულ ოდნავ მძიმეები აღმოჩნდებიან, ულაპარაკოდ იხსნებიან ტურნირიდან...

50 კილოგრამში, **თორნიკე კოტრიკაძემ** 19:34 წააგო უკრაინელ ბორის სტოროზენკოსთან. აზერბაიჯანელ ილკინ აგაიევთან ვერაფერი გაანყო **ლევან ქობულაშვილმა** (52 კგ), რომელმაც მხოლოდ ორი რაუნდი გაუძლო მეტოქეს.

კიდევ ერთ აზერბაიჯანელს, ოლონდ ქულებით დაეჩაგვრინა **ადილ ასლანოვი** (54 კგ). მას მასპინძელმა ფაზლიდინ გაიბნაზაროვმა 26:6 მოუგო.

57 კილოგრამში, ველოდით **დემნა კოტუას** გამოჩენას, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მან ბაქომდე ვერ ჩააღწია. საქმე ის არის, რომ მას რუსული პასპორტი ჰქონია და საზღვრიდან გამოუბრუნებიათ უკან.

კუბელ ისლა მარტინეზს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მაინც წააგო **გიორგი ჯაყელმა** (63 კგ) - 16:25.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ოქროს მედლის კანდიდატად ითვლებოდა **ჯაბა ხოსიტაშვილი**, რომელმაც შარშან მოსწავლეთა ევროპის ჩემპიონატი მოიგო. თუმცა, მედალს ვინ ჩივის, პირველსავე ორთაბრძოლაში დამარცხდა უკრაინელ ნიჯათ იბრაგიმოვთან - 11:21.

დაბოლოს, მსოფლიო ჩემპიონატს შემორჩენილ უკანასკნელ ქართველზე - **რომან თავაძეზეც** ვთქვათ (70 კგ). ხოსიტაშვილის მსგავსად, მასაც ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდა ნაკრების ხელმძღვანელობა და რომანიც ჯერჯერობით, ამართლებს იმედებს. გუშინ, მან უკრაინელი მიხაილო სელივანოვი დაამარცხა - 21:16. აღსანიშნავია, რომ "აზერისპორტმა" თავაძე რატომღაც ალბერტ ვეკერად (?!) მონათლა...

ხვალ, თავაძე მეოთხედფინალში დაუპირისპირდება აზერბაიჯანელ ფარიდ მოხსუმოვს და თუ იმარჯვა, მინიმუმ, ბრინჯაოს მედალს გაინაღდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებს უმედლოდ მოუწევს ბაქოდან გამობრუნება.

არადა, ამასწინათ, ახალგაზრდულ ნაკრებსაც მოეცარა ხელი ევროპის ჩემპიონატზე... დაველოდოთ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებას და ნაკრების ხელმძღვანელობის კომენტარები მოვისმინოთ.

კობა ხატისაშვილი

ევრობასკეტი 2007. განაცხადები

A ჯგუფი

საბერძნეთი

4. ტეოდორას პაპალუკასი	მცვ	2.00	სსკა (რუს)
5. იანის ბურუსისი	ცენ	2.12	ოლიმპიაკოსი
6. ნიკოს ლინისი	მცვ	1.95	სსკა (რუს)
7. ვასილის სასანელისი	მცვ	1.93	პანათინაიკოსი
8. პანაგიოტის ფესლიუნელისი	ფორ	2.02	ოლიმპიაკოსი
9. მიხალის კალეფანოსი	ფორ	1.98	რეალი (ესპ)
10. ნიკოს ხაროვიტესი	მცვ	1.95	პანათინაიკოსი
11. დიმოს დიკუდილისი	ფორ	2.07	პანათინაიკოსი
12. კოსტას ფარფარისი	ფორ	2.10	პანათინაიკოსი
13. დიმიტრიოს დიმაგნეტისი	მცვ	1.96	პანათინაიკოსი
14. ულაგოს პაპადოპულოსი	ცენ	2.10	რეალი (ესპ)
15. მიხელის კაკიუნისი	ცენ	2.06	სევილია (ესპ)

მწვრთნელი: პანაიოტის იანაკისი

რუსეთი

ვლენ როზერტ პოლდინი	მცვ	1.85	სსკა
ანდრეი კირილენკო	ფორ	2.05	იუტა (NBA)
ნიკიტა მიროფუნოვი	ფორ	2.11	ტრიუმფი
პეტრ სამოილენკო	მცვ	1.86	დინამო
ვიტალი ხრიპა	ფორ	2.04	ჩიკაგო (NBA)
ზახარ პაშუტინი	მცვ	1.95	სსკა
სერგეი მონია	ფორ	2.04	დინამო
ანდრეი შალაკინი	მცვ	2.00	ხიმკი
ალექსეი სავრასენკო	ცენ	2.15	სსკა
ნიკიტა შაბალკინი	ფორ	2.04	ხიმკი
სერგეი ბიკოვი	მცვ	1.90	დინამო
ნიკოლაი პადრუსი	მცვ	1.97	უნიცსი

მწვრთნელი: დევიდ ბლატი (აშშ)

სერბეთი

4. მილოშ თეოდოსიჩი	მცვ	1.96	ჭელეზნიკი
5. ბრანკო ვუჩევიჩი	ფორ	2.00	ხირონა (ესპ)
6. ვუკ რადივოიევიჩი	მცვ	1.95	ფუენლაბრადა (ესპ)
7. ზორან ერგეჟი	ცენ	2.11	ჭელეზნიკი
8. დრაგან ლაზოვიჩი	ფორ	2.10	ჭელეზნიკი
9. სტეფან ბარაკოვიჩი	მცვ	1.99	პემოზარმი
10. ფილიპ დრაგანი -	მცვ	2.01	მინესოტა (NBA)
11. დარკო მილიჩიჩი	ცენ	2.13	მემფისი (NBA)
12. ნემანია ალექსანდროვი	ცენ	2.10	ცრვენა ზვეზდა
13. ნოვიცა ველ�იკოვიჩი	ფორ	2.05	პარტიზანი
14. მილენკო ტასიჩი	მცვ	2.02	პარტიზანი
15. მილანი გუროვიჩი	ფორ	2.07	პროკომი (პოლ)

მწვრთნელი: ზორან სლავნიჩი

ისრაელი

4. დორონ პაბეი	მცვ	1.78	პაოლი (იტ)
5. მორან რეფი	მცვ	1.78	ირონი
6. იოთამ პალუერინი	მცვ	1.96	მაკაბი (ისრ)
7. ლიორ ელიაუ	ფორ	2.05	მაკაბი (ისრ)
8. ერეზ მარკოვიჩი	ცენ	2.08	პაოლი (იტ)
9. იეფონ როზერტსი	მცვ	1.94	ანტერფადანი (პოლ)
10. ბი ანინი	ფორ	2.01	პაოლი (იტ)
11. მეირ ტაპირო	მცვ	1.94	ბნეი ჰაშარონი
12. მაუთან ნაორი	ფორ	1.94	ირონი
13. იფეი ჭოზიაკარო	ფორ	2.02	ირონი
14. იანივ ბრონი	ფორ	2.06	სამარა (რუს)
15. ამოთ ტამირი	ცენ	2.08	ჩერასი (უკრ)

მწვრთნელი: ცვიკა შერფი

B ჯგუფი

ხორვატია

მარკო პოპოვიჩი	მცვ	1.85	ფალმირისი (ლიტ)
მარკო ბანიჩი	ფორ	2.04	ბილბაო (ესპ)
ზორან პლესკოვიჩი	მცვ	1.98	ტაუგრესი (ესპ)
როკო ლეინ უპიჩი	მცვ	1.95	ლიტოვიტანია (იტა)
მარიო ჯასუნი	ცენ	2.13	ბარსელონა (ესპ)
მარკო ტომასი	მცვ	2.00	ფუენლაბრადა (ესპ)
დამირ მარკოტა	ცენ	2.09	მილუოკი (NBA)
დავორ ჯონსი	მცვ	1.90	უნიკახა (ესპ)
მარიო სტოიჩი	მცვ	1.98	მენორკა (ესპ)
მარინ როგიჩი	ფორ	2.01	ციბონა
ნიკოლა პრაპჩიჩი	ცენ	2.08	დინამო (რუს)
სტანკო ბარაჩი	ცენ	2.17	ტაუგრესი (ესპ)

მწვრთნელი: იასმინ რეპეშა

ლატვია

ულვის ჯელმანისი	ფორ	2.03	ვენტსპილსი
პიგარს ვიტოლსი	მცვ	1.94	ვენტსპილსი
სანდის ვალდისი	მცვ	1.90	ასკ რიგა
რაინოლდს ვაიკულისი	მცვ	1.91	ბარონსი
კრისპარსი იანინიოუსი	ფორ	1.96	ფორტიტუდო (იტა)
ანდრის ბიედრინსი	ცენ	2.11	გ. სტეიტი (NBA)
არგანდს შპილე	მცვ	1.92	ბარონსი
კასპარს ზიგრუსი	ცენ	2.11	ვენტსპილსი
გაგის იაკუბოვსი	ფორ	2.00	ასკ რიგა
პაველს ვესელოვსი	ფორ	2.07	ვენტსპილსი
ინნის ბლუშნი	მცვ	1.88	ნანტელ (იტა)
რაიტის ბრაუნი	ცენ	2.10	ასკ რიგა

მწვრთნელი: კარლის მუჟნიექსი

პორტუგალია

4. მიგელ მინაია	მცვ	1.97	ბენფიკა
5. მარიო ფერნანდესი	მცვ	1.76	პლასენსია (ესპ)
6. სერგიო რამოსი	ფორ	2.00	მალიორკა (ესპ)
7. პაულუ ჯონა	მცვ	1.99	პორტუ
8. ფრანსისკო ფორდუო	ცენ	2.03	ლუს�ა (ანგ)
9. ფილიპე და სილვა	მცვ	1.93	ბარიოსი (ესპ)
10. ფრაუ გომეზი	ფორ	1.99	ბარეირენსე
11. ფერეტე ჟოლიუ	ფორ	2.00	პალენსია (ესპ)
12. პაულუ სიმაო	მცვ	1.98	ბელენენსეში
13. ულუნა ვეოკა	ცენ	2.05	ოვარენსე
14. მიგელ მირანდა	ფორ	2.05	ოვარენსე
15. ფრაუ სანტოსი	ცენ	2.05	ვალიადოლიდი (ესპ)

მწვრთნელი: ვალენტინ მელნიჩუკი (უკრ)

ესპანეთი

4. პაუ გასოლი	ცენ	2.13	მემფისი (NBA)
5. რუდი ფერნანდესი	მცვ	1.96	ხუანტაუდი
6. კარლოს აბასესი	მცვ	1.86	უნიკახა
7. ხუან კარლოს ნავარო	მცვ	1.92	მემფისი (NBA)
8. ხოსე კალდერონი	მცვ	1.91	ტორონტო (NBA)
9. ფელიპე რეიესი	ცენ	2.06	რეალი
10. კარლოს ხიმენესი	ფორ	2.05	უნიკახა
11. სერხიო როდრიგესი	მცვ	1.91	პორტლენდი (NBA)
12. ბერნი როდრიგესი	მცვ	1.97	უნიკახა
13. მარკ გასოლი	ცენ	2.16	ხირონა
14. ალეხს შუბარუ	ფორ	2.02	რეალი
15. ხორხე ბარაბასა	ფორ	2.06	ტორონტო (NBA)

მწვრთნელი: პეპუ ერნანდესი

C ჯგუფი

ჩეხეთი

ირჟი ვეზნი	ფორ	2.00	უნიკახა (ესპ)
ლუბოშ ბარტონი	ფორ	2.00	ხუანტაუდი (ესპ)
ლადისლავ სკოპალოვსკი	ფორ	2.01	ნიმფურაკი
პეტრ ბენდა	ფორ	2.03	ნიმფურაკი
მორის სანტინელი	მცვ	1.86	აეკ (სპ)
პაველ ბანეში	მცვ	1.90	ნიმფურაკი
სტეფან ვრაბელი	მცვ	1.85	ბრნო
იაკუბ პოუბაკა	ცენ	2.06	დეჩინი
ოლდრიხ სტაროსტა	ცენ	2.16	სარაგოსა (ესპ)
ლუკაშ პრაუსი	ფორ	2.01	ლიბერეცი
მიხალ კრეპინი	ფორ	2.00	ნიმფურაკი
რადეკ ნეკასი	ფორ	2.04	ნიმფურაკი

მწვრთნელი: ზდენეკ ჰუმელი

გერმანია

4. მიოსაკ დემირელი	მცვ	1.81	გალათასარაი (თურ)
5. ალექსეი ოკულოვ�ა	ფორ	2.02	ბაგერნი
6. სტეფან არენგაუ	ცენ	2.05	ოლიმპია (სპ)
7. როზერტ ბარეტი	მცვ	1.93	ბაგერნი
8. ინა-ჯენდრიკ იაგლა	ფორ	2.13	ხუანტაუდი (ესპ)
9. შეტფან ჰაგანი	მცვ	1.94	ბაგერნი
10. დენნიდ ბრინი	მცვ	1.85	ბაგერნი
11. ასაკლ როლერი	მცვ	1.80	ფრანკფურტი
12. იოჰანეს პერგერი	მცვ	1.97	ალბა
13. ანტონიე დემირლიგი	ცენ	2.16	ალბა
14. დირკ ნოვიცკი	ფორ	2.11	დალასი (NBA)
15. მვიდო გრუენაიდი	ფორ	2.06	გრონინგენი (პოლ)

მწვრთნელი: დირკ ბაუერმანი

ლიტვა

მინდაუგუს გუსტავი	მცვ	1.90	ბარონსი (ლატ)
პაულიუს იანკუნასი	ფორ	2.05	ფალმირისი
სიმას იასიტისი	ფორ	2.00	ტაუგრესი (ესპ)
მარუნას ისაიკიეიჩუსი	მცვ	1.92	გ. სტეიტი (NBA)
რეზერგას ია ფოტოსასი	ცენ	2.10	დინამო (რუს)
რიმანტას კუბილინსი	მცვ	1.92	მონტეკასინი (იტა)
ლინას კლეიზა	ფორ	2.03	დენვერი (NBA)
დარიუს ლაურინოვიჩი	ცენ	2.12	უნიმსი (რუს)
ჯონატოზ ლაურინოვიჩი	ცენ	2.10	მონტეკასინი (იტა)
ინგას მაციულისი	ფორ	2.00	ფალმირისი
რამუნას შიმკაუსკასი	მცვ	1.98	სსკა
დარიუს სოგაილა	ფორ	2.04	ეაუინგტონი (NBA)

მწვრთნელი: რამუნას ბუტაუტასი

თურქეთი

ჩენქ აძილი	მცვ	1.93	ეფესი
ენდრო არსლანი	მცვ	1.88	პანიონიოსი (სპ)
ენგინ აუფერი	მცვ	1.94	ბენეტონი (იტა)
ჰაკან დემირელი	მცვ	1.88	ულუდერი
ფერეი ეკონენი	ცენ	2.11	ულუდერი
ძერეფ ბიოლუფი	ფორ	2.07	ეფესი
ერსან ილიასოვა	ფორ	2.05	ბარსელონა (ესპ)
ერგულ ტურეთოგლუ	ფორ	2.07	ეფესი
ინრასიმ ძუულუა	მცვ	1.98	ულუდერი
ფეზეთ ოტური	ფორ	2.10	იუტა (NBA)
ძაკი ფეძერი	ცენ	2.07	ტაუგრესი (ესპ)
ჰეფეი თურგოთლუ	ფორ	2.08	ორლანდო (თურ)

მწვრთნელი: ბოგდან ტანიევიჩი (სერ)

D ჯგუფი

საფრანგეთი

4. ფოზეფ გომისი	მცვ	1.80	ვალიადოლიდი (ესპ)
5. ჰაპე ბალინი	ცენ	2.08	რუანი
6. სამა ფოფა	ფორ	1.97	სტრასბური
7. ო

ამერიკის ჩემპიონატი

ამერიკა უკვე ამერიკაა?

ფინალი

აშშ-არგენტინა 118:81

35:14, 24:20, 34:27, 25:20

აშშ: კიდი (18 წთ. უქულოდ, 6 მ. 4 პ. 1 ჩ), ჯეიმსი (26 წთ. 31 ქ. 4 მ. 3 პ. 1 დ), ბრაიანტი (22 წთ. 5 ქ. 8 პ), ჰოვარდი (18 წთ. 20 ქ. 5 მ. 4 დ), ენტონი (20 წთ. 16 ქ. 8 მ. 1 პ. 1 ჩ. 1 დ) - პრინსი (19 წთ. 13 ქ. 4 მ. 1 პ), მილერი (11 წთ. 9 ქ. 3 მ), სტაუდმაიერი (15 წთ. 7 ქ. 4 მ. 2 ჩ. 1 პ. 1 დ), რედი (18 წთ. 5 ქ. 2 ჩ. 1 პ), უილიამსი (14 წთ. 4 ქ. 5 პ. 3 მ. 1 დ), ჩენდლერი (7 წთ. 1 ქ)

არგენტინა: სკოლა (23 ქ. 5 მ. 3 პ), გუტიერესი (11 ქ. 3 მ), კვინტეროსი (10 ქ. 2 პ. 1 დ. 1 მ), დელფინო (9 ქ. 2 მ. 2 პ), პრიჯიონი (5 ქ)



ამარე სტაუდმაიერი კარლოს დელფინოს უფარებს

ბოლო რამდენიმე დიდი ტურნირის წინ სულ ასე აკონწიწებენ ამერიკის ნაკრებს, მერე კი მოდის რომელიმე საერთაშორისო ფორუმი და "ოცნების გუნდი" სამარცხვინოდ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, დაგეგმილზე ადრე ტოვებს ტურნირს.

ამერიკამ მაშინაც ვერაფერი მოიგო, როდესაც მის შემადგენლობაში **ტიმ დანკანი, ალენ აივერსონი, სტეფონ მარბერი, ლამარ ოდომი, ლებრონ ჯეიმსი, კარმელო ენტონი** და **ამარე სტაუდმაიერი** იყვნენ. ამ შემადგენლობას ათენის ოლიმპიადაზე ჯგუფურ ტურნირში ჯერ პუერტო რიკომ გადაუარა, იქვე ლიტვამაც მოუგო, ნახევარფინალში კი **ლარი ბრაუნისა** და **გრეგ პოპოვიჩის** გუნდი არგენტინამ დაამსხვრია.

მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში დანკანი და აივერსონი ნაკრებში აღარ ყოფილან. სამაგიეროდ, გუნდში იყო ლებრონი და ენტონი, რომლებსაც ამჯერად ლიდერობა დაეკისრათ, თუმცა, ნახევარფინალში ამერიკელები ბერძნულ კედელს შეასკდნენ და ტურნირი მხოლოდ მესამე პოზიციაზე დასრულეს. ისიც საკითხავია, შეძლებდა თუ არა **მაიკ კრუიჟევსკის** გუნდი ბრინჯაოს მედლების აღებას, სანუგეშო მატჩში **მანუ ჯინობილისა** და მის საძმოს მეტი მოტივაცია რომ ჰქონოდა.

დღეს ამერიკას წინა ორ ნაკრებზე ძლიერი და მოტივირებული გუნდი ჰყავს, თუმცა, ეს ვარსკვლავთკრებული საკმაოდ შორს არის არათუ 1992 წლის ზეგუნდისგან, არამედ დღევანდელ "ოცნების გუნდს" 1996 წლის ტრიუმფატორ ნაკრებამდეც ძალიან ბევრი უკლია. კრუიჟევსკის გუნდი დაახლოებით იმ დონისაა, 2000 წლის ოლიმპიადაზე რომ ჰყავდათ იანკებს, თუმცა სახელებით მაინც მაშინდელი ამერიკა უფრო ამერიკობდა.

მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში ამერიკას პრობლემა არ შექმნია. სულ თამაშ-თამაშით მოითავეს ფავორიტებმა ტურნირი და ფინალში უვარსკვლავო არგენტინას სწორედაც რომ ვარსკვლავების ფენომენალური გამოსვლით აჯობეს.

თაობათა ცვლამ ამერიკაში უმტკივნეულოდ ჩაიარა, რაც პრინციპში, მოსალოდნელი იყო - პროფესიულ ზელიგაში ხომ დრაფტის პროცედურა ამ პროცესს აჩქარებს და შედარებით შეუმჩნეველს ხდის.

კევინ დიურანი და **გრეგ ოდენი** ნაკრებში ვერ მოხვდნენ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ პეკინში ეს ორი ახალგაზრდა უკვე სასტარტოს მყარ წევრებად მოიაზრებოდნენ. ვერავინ იტყვის, რა განწყობა ექნება მომდევნო სეზონში იგივე **კობი ბრაიანტს**, რომელიც ამჯერად კი დათანხმდა ქვეყნის ღირსების დაცვასა და პირადულის უკანა პლანზე გადაწევას, მაგრამ კობი კობია და თავში რა დაარტყავს, რთული სათქმელია.

გუნდშია ლებრონიც, რომელიც კი იფიცება, ქვეყნის ერთგული მსახური და ნაღდი პატრიოტი ვარო, მაგრამ ესეც ბრაიანტის კალიბრისა და ხასიათის ბიჭია. ვაიდა, რომელიმე გიგანტმა ფირმამ ლებრონს ოლიმპიადის გასამართ დროს მრავალმილიონიანი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზოს, რა, "კავალიერსის" სუპერვარსკვლავი არჩევანს ქვეყნის ინტერესებზე შეაჩერებს? რაღაც არა მგონია.

დღევანდელი შემადგენლობა კი ძალიან კარგად არის დაბალანსებული. ვეტერანები **ჯეისონ კიდი** და **ჩონსი ბილაპსი**, სწორედაც რომ გამთამეშებლები არიან და ისე არ ცელქობენ, როგორც თავიანთ გუნდებში, სადაც მათ კარტბლანში აქვთ მიცემული. კიდს არგენტინასთან შეხვედრაში 18 წუთში ერთი სროლაც არ გაუკეთებია, დაცვაში მაგრად იდგა და ოთხი ზუსტი პასიც გააკეთა. ბილაპსმა ოთხი სამიანიდან ერთი ჩააგდო, თუმცა, 12 წუთში ერთადერთი შეცდომა დაუშვა და ნამატჩევს კობის კომპლიმენტიც დაიმსახურა.

დერონ უილიამსი ერთი წლის მერე კიდევ უფრო მაგარი ვინმე უნდა გახდეს და თუ ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს, ეს ბიჭი არა მარტო "იუტასთვის", არამედ ამერიკის ნაკრებისთვისაც მოსტოქტონო საჭირო კაცად უნდა იქცეს.

ძალიან მცირე სათამაშო დრო აქვს **ტაისონ ჩენდლერს**, თუმცა ნაკრები რა ნაკრებია, ვინმემ ეზოდან ნაგავი რომ არ გაიტანოს. შავი მუშების გარეშე დღეს ამერიკაც კი ვერ გავა ფონს. ის დრო კი, როდესაც ამერიკელები ნებისმიერ ოპონენტს, მხოლოდ და მხოლოდ, ძლიერი შემსრულებლებისა და შეუჩერებელი შეტევის ხარჯზე უგებდნენ, უკვე წარსულის კუთვნილებაა.

დაეხმარა გუნდს **მაიკლ რედი**, ვისაც ამჯერად მხოლოდ ხუთი ქულა ჰქონდა, მაგრამ წინა შეხვედრებში "მილუოკის" ლიდერმა შორეული მანძილიდან ბურთი რესპექტაბელური პროცენტული მაჩვენებლით ისროლა, თანაგუნდელებს ოპონენტების ყურადღება მოაკლო და სხვებმაც გაილაღეს.

ლებრონმა ამჯერად 11 სამიანიდან 8 (!) გამოიყენა და 31 ქულით საკვალიფიკაციო მატჩებში ამერიკის ნაკრების რეკორდიც დაამყარა. საერთოდ, ჯეიმსმა ეს ტურნირი რაღაც არანორმალური სტატისტიკით. დაასრულა. ჯეიმსმა 12 დღესა და 10 შეხვედრაში სამიანების 62 პროცენტი გამოიყენა, ხოლო თამაშიდან ტყორცნების მხოლოდ 24 პროცენტი ვერ შეასრულა ზუსტად. ჰო, მანამდე ნახსენები რვა ზუსტი სამიანი ამერიკელების კიდევ ერთი რეკორდია.

კრუიჟევსკის გუნდი ერთ მატჩში საშუალოდ 116.7 ქულას აგროვებდა. ამერიკელებმა მეოთხე საკვალიფიკაციო ეტაპიც წაგების გარეშე დაასრულეს, ხოლო არგენტინას კი ამ ტურნირებზე ზედიზედ მე-7 შეხვედრა მოუგეს.

ფინალამდე კი მესამე ადგილისთვის შეხვედრა გაიმართა, რომელშიც პუერტო რიკომ **ლარი აიუსოს** 39 ქულითა და **კარლოს არაიოს** 30 ქულითა და 10 ზუსტი პასით, მძიმე ბრძოლაში ბრაზილია 111:107 დაამარცხა. ტურნირის საუკეთესო სნაიპერი **ლეანდრო ბარბოსა** ამჯერად 14 ქულას დასჯერდა და მისი გუნდის წაგების ერთ-ერთი მიზეზიც ეს გახდა.

ზურაბ თალაკვაძე

პოკერი

ედ ბელფური NHL-ს დაეშვიდობა

ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე **ედ ბელფური** *კარიერას შვედეთის მეორე დივიზიონის (!) "ლექსანდსში" გააგრძელებს. კონტრაქტი ერთწლიანია, რომლის სანაცვლოდაც ოკეანისგაღმეთის ზელიგის რეგულარულში 484 მატჩის მომგები სუპერმეკარე 198 ათას ევროს მიიღებს.*

ბელფური ბოლო რეგულარულში "ფლორიდა პანტერზის" ღირსებას იცავდა და 42 წლის გოლკიპერმა ბოლო წლებში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო სეზონიც ჩაატარა. 58 შეხვედრაში იგი საშუალოდ 2.77 შაიბას უშვებდა, მის ანგარიშზე 27 მოგება, 17 წაგება და 10 ფრე იყო. ბელფურმა დარტყმების 91 პროცენტი მოიგერია.

რეგულარულის დაწყებამდე ბელფურის ფლორიდაში დარჩენასა და სათამაშო დროს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ "პანტერზმა" **ტომაშ ვოკოუნი** *აიყვანა და თავისთავად, ვეტერანი მეკარე ეგრევე სათადარიგოდ იქცა.*

"NHL-ში დარჩენა მინდა, მაგრამ ფლორიდაში მაქსიმუმ 20-25 შეხვედრაში თუ მივიღებ მონაწილეობას, სხვა გუნდებიდან კი არავინ დამკავშირებია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე NHL-ში კარიერის დასრულება. იმედი მაქვს, შვედეთში ყველაფერი კარგად ამეწყობა", - აღნიშნა ამერიკელ ჟურნალისტებთან საატელეფონო საუბარში ბელფურმა, რომელიც "ყველა ვარსკვლავის" მატჩის 5-გზის მონაწილე და სეზონის საუკეთესო მეკარის ჯილდოს 2-გზის მფლობელია.

ედ ბელფურს "ჩიკაგოს", "სან ხოსეს", "დალასის", "ტორონტოსა" და "ფლორიდის" შემადგენლობაში 963 მატჩში 76 შათაუტი აქვს გაკეთებული.

TV სპორტი

4 სექტემბერი. სამშაბათი

SPORT 1 (უკრაინა)

07:35 მინი-მოედანი.
08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 სპორტკლუბი.
09:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. სერბეთი-რუსეთი. ესპანეთი.
12:50 სპორტდოსიე. ხელბურთი.
13:15 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი-პორტუგალია. ესპანეთი.
15:15 მინი-მოედანი.
15:40 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
16:10 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ლეირია-პორტუ.
17:55 ფიტნესი.
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:25 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
19:55 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (LIVE).
22:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:10 სპორტის ისტორია.
22:30 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. საბერძნეთი-სერბეთი. ესპანეთი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ჩელსი.
04:30 სპორტდოსიე. ხელბურთი.
05:00 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. სერბეთი-რუსეთი. ესპანეთი.

EUROSPORT

07:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).
09:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე.
10:30 მუღლტისპორტი.
11:00 ავტოსპორტი. ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:00 სპიდვეი. ლატვიის გრან-პრი.
14:00 ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე.
16:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-სერბეთი. თურქეთი (LIVE).
18:30 ველოსპორტი. ვუელტა. IV ეტაპი (LIVE).
19:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე (LIVE).
20:00 ევროგოლი. ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე (LIVE).

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. იტალია-სერბეთი. თურქეთი.
13:00 ავტოსპორტი. ზემპკარის სერია. პოლანდია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
17:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/4 ფინალი. ს. კორეა.
19:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-გერმანია. თურქეთი (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-სერბეთი. თურქეთი (LIVE).
23:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეფურნალი.
00:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-გერმანია. თურქეთი.
02:15 ახალი ამბები.

ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა

III სად. ეტაპი. II მატჩი

აეკ-სევილია 1:4 (0:2)

აეკ: მარსელო, ნსალივა (46. ტომერი), პაპაგიოფულოსი, რამოსი, ალვესი, ზიკოსი (62. პავლისი), ბურბოსი, ჟულიო სეზარი (46. პაპასი), ლიბეროპულოსი, მანდუკა, რივალდო.

სევილია: პაულოპი, დანიელ ალვეში, დრაგუტინოვიჩი, ესკუდე (59. მოსკერა), სასაო, კაპელი, კეიტა, პოულსენი (62. მარესკა), ნავასი, კერჟაკოვი, ლუიმ ფაბიანო (46. დე მული).

გოლები: 0:1 ლუიმ ფაბიანო (32), 0:2 კეიტა (41), 0:3 ლუიმ ფაბიანო (45), 0:4 კერჟაკოვი (55), 1:4 რივალდო (82-პენ)

გამოუყენებელი პენალტი: მანდუკა (65. აეკ)

გაფრთხილება: 0-1

მაყურებელი: 37 800

ინგლისი

ჩემპიონატი

ბლეკბერნი-პალი 2:1

იტალია

მილანი-ფიორენტინა 1:1

მილანი: დიდა-6, ოდო-6 (61. კაფუ-6), ნესტა-6, კალაძე-6, იანკულოვსკი-6, პირლო-6, ამბროზინი-6.5 (77. ემერსონი-მ.გ), გატუზო-6, ზეედორფი-6, კაკა-6, ჯილარდინო-5 (65. ფ. ინძაგი-5.5).

ფიორენტინა: ფრეი-7, დაინელი-6, პასკუალი-6, უიფალუში-6, გამბერინი-6, სანტანა-6.5 (62. სემიოლი-6.5), ლივერანი-6, გობი-6, დონადელი-6 (56. კუუმანოვიჩი-6.5), პაციინი-6 (62. ვიერი-5.5), მუტუ-7.

გოლები: 1:0 კაკა (27-პენ), 1:1 მუტუ (56)

გაფრთხილება: 1-4; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 27-24; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 18-16 (9-8); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

მაყურებელი: 40 000

სერია B

სპეზია-ბოლონია 0:2

სერია C1/B

სალერნიტანა-ბალიპოლი 1:1

გერმანია

II ბუნდესლიგა

ფრაიბურგი-პოუენპაიმი 3:2

საფრანგეთი

II დივიზიონი

ბასტია-ნანტი 0:1

შოტლანდია

მოზარველი-პართსი 0:2

დანია

ოლბორგი-ნორდსელანდი 2:1

ნორვეგია

სტაბეკი-ფრედრიქსტადი 0:2

შვედეთი

გეფლე-ელფსბორგი 2:2
პელსინგბორგსი-იუტგოროდენი 1:4
ერებრუ-ბაის 2:1
პამარბიუ-აიკ 1:2

II დივიზიონი

იონგოპინგი-ენგოპინგი 0:1

ფინეთი

ინტერი-ტამპერე 1:1
**ჯეკ-ჰი



ვენუსის მთავარი იარაღი ძლიერი მოწოდებაა

აშშ-ის ღია პირველობა

სერბული კოპორტა შეთხელდა

და გმოვიყენო ის მთავარ იარაღად? ასეც ვიქცევი და როგორც ხედავთ, ჯერჯერობით, ყველაფერი კარგადაა", - ამბობს ვენუსი, ვისაც აშშ-ის ღია 2000-2001 წლებში აქვს მოგებული.

ვენუსს ჰკითხეს, ისევე კარგად თამაშობს, როგორც უიმბლდონზე?, რაზეც მან უპასუხა: *"მართალი გითხრათ, მიმაჩნია, რომ უიმბლდონზე კარგად არ მითამაშია. თუმცა, შედეგები საპირისპიროზე მეტყველებს. ახლაც ალბათ, ასეა"*.

ასეა თუ ისე, ივანოვიჩი, ვინც ვენუსთან უიმბლდონის ნახევარფინალშიც წააგო, თვლის, რომ მორიგ სასლემო ტურნირსაც ერთ-ერთი უილიამსი მოიგებს. ვენუსი იმ ტიპის მოთამაშეა, რომლებიც ყოველ მომდევნო შეხვედრას წინაზე უკეთ ატარებენ. ჰოდა, რაც უფრო უახლოვდება ტურნირი ფინალს, ის მით უკეთეს ფორმაში შედისო.

ვნახოთ, იგივეს იტყვის თუ არა ვენუსზე იანკოვიჩი, ვინც მეოთხე წრეში სამ სეტში მოუგო ავსტრიელ **სიბილ ბამერს**. თითქოს, სერბს უპრობლემოდ უნდა გაევლო ეს ეტაპი, მაგრამ ასე არ მოხდა. მეორე სეტი რომ წააგო, მესამეც უხეიროდ დაიწყო - ბამერმა გადამწყვეტი სეტი ბრეიკით დაიწყო. თუმცა შემდეგ იანკოვიჩი დროულად გამოერკვა და ზედიზედ ექვსი გეიმის მოგებით, შეხვედრასაც წერტილი დაუსვა. აღსანიშნავია, რომ მეორე სეტში ბამერმა სამჯერ შეძლო სერბის მოწოდების აღება, თავად კი საკუთარი ორჯერ დათმო.

ცნობისთვის, იანკოვიჩი ვენუსს სულ ხუთჯერ შეხვედრია, რომელთაგან სამი მოგებული აქვს. ამ სამიდან ორი კი შარშანდელი უიმბლდონისა და საფრანგეთის წლევანდელი ღიას მესამე წრეში მოიგო.

მესამე სერბი მეჩოგნე, ვინც "ფლაშინგ მედოუსზე" ფავორიტის რანგში თამაშობს, **ნოვაკ ჯოკოვიჩია**, რომელმაც მესამე წრეში იოლად დაამარცხა არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პორტო** და მეოთხე წრეში გავიდა, სადაც კვლავ არგენტინელი მეტოქე ეყოლება **ხუან მონაკოს** სახით. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმაც გზიდან არგენტინელი ჩოგბურთელი - **აგუსტინ კალერი** ჩამოიცილა.

შეგახსენებთ, რომ მეორე წრეში ჯოკოვიჩმა დიდი ბრძოლა გადაიტანა ჩეხ **რადეკ სტეპანეკთან** შეხვედრაში. ჰოდა, დელ პორტოსთან იოლად მოპოვებული გამარჯვებით, სერბი ენერგიის მოკრებასაც სწრაფად მოახერხებს. დელ პორტოსთან შეხვედრაში, ჯოკოვიჩმა პირველი მოწოდების 74 პროცენტი კორტის პერიმეტრში ჩააგდო, სულ კი შვიდი ეისი მოაწოდა. მან სამ სეტში მხოლოდ რვა გეიმი დათმო, რომელთაგან ერთი საკუთარ მოწოდებაზე წააგო.

"ჩემს კარიერაში პირველად ვითამაშე მსოფლიოს ყველაზე დიდ კორტზე. ეს განსაკუთრებული ადგილია და აქ თამაში განსაკუთრებულ გამოცდილებას გძენს. ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ და ვიმედოვნებ, რომ მომდევნო ეტაპზე კიდევ უფრო კარგად ვითამაშებ", - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

მესამე წრე გაიარა მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმაც**, ვისაც კვლავ აწუხებს ორივე მუხლის ტრავმა. თუმცა, ეს ფაქტორი სულაც არ იგრძნობოდა, როცა ის ფრანგ **ჟო-ვილფრედ ცონგას** ანადგურებდა.

"ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თამაშის სამ სეტში მოგებას. პირველ რიგში, ეს კარგია ჩემი მუხლებისთვის, რომლებსაც ნაკლები დატვირთვა მოუწევთ და იქნებ, მომდევნო შეხვედრამდე ცოტა შვება მომეცეს", - განაცხადა ნადალმა, ვინც ცონგასთან შეხვედრაში სულ 14 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

მისი მომდევნო მეტოქე იქნება ესპანელი **დავიდ ფერერი**, რომელმაც ხუთსეტიან თრილერში დაამარცხა არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი**. სამაგიეროდ, ტურნირს დაემშვიდობა ესპანელი **ტომი რობრედო**, რომელმაც ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ლატვიელ ამომავალ ვარსკვლავ **ერნესტს გულბისს**.

ნიუ იორკი (აშშ). პარდი

საპრიზო ფონდი: 19 653 000 დოლარი

მამაკაცები

1/16 ფინალი

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) 7:6 (3), 6:2, 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 6:1, 6:3, 6:4; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-ტომი რობრედო (ესპ, 8) 6:1, 6:3, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 20)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 12) 6:4, 6:7 (5), 2:6, 6:3, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 15)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 24) 6:3, 3:6, 4:6, 7:6 (5), 7:5; **კარლოს მოია (ესპ, 17)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 4:6, 7:5, 7:6 (5), 4:6, 6:4; **ხუან მონაკო (არგ, 23)**-აგუსტინ კალერი (არგ) 7:6 (5), 6:2, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-რობი ჯენეპრი (აშშ) 5:7, 6:4, 4:6, 6:4, 6:3.

1/8 ფინალში ხვლებიან

ფედერერი (1)-ფ. ლოპესი; როდიკი (5)-ბერდიჩი (9); დავიდენკო (4)-ლი; ჰაასი (10)-ბლეიკი (6); გულბისი-მოია (17); ჯოკოვიჩი (3)-მონაკო (23); ვავრინკა-ჩელა (20); ფერერი (15)-ნადალი (2).

ქალები

1/8 ფინალი

ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)-დინარა საფინა (რუს, 15) 6:0, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 3)**-სიბილ ბამერი (ავსტრია, 19) 6:4, 4:6, 6:1; **ვენუს უილიამსი (აშშ, 12)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 5) 6:4, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 8)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 10) 6:3, 6:4.

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პეტრარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თეიგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგაიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანელიანაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გელიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით ჯოხრაიძე, ვასილ გალახვაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა საფარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეფაკაიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერეკლე მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თეიგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ª,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. ბარდა კვირისა

ვუელტა

ფრეირემ ოქროსფრად დაიწყო

ესპანეთში სტარტი აიღო ველოსპორტული სეზონის რიგით მესამე ველომარათონმა - ესპანეთის წრემ, ანუ ვუელტამ. უკვე ჩატარდა სამი ეტაპი, რომელთა შედეგადაც, კლასიფიკაციაში პირველი ადგილი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, ესპანელ **ოსკარ ფრეირეს** უპყრია.

ჯიროსა და ტურისგან განსხვავებით, ვუელტა პროლოგის გარეშე დაიწყო, რისი შედეგიც ისაა, რომ მოწინავე ველომრბოლებს, ასეთები კი ჯერჯერობით, სპრინტერები არიან, ერთნაირი დრო აქვთ. ფრეირეს კი ლიდერის პოზიცია მხოლოდ იმის გამო უკავია, რომ მან ერთი (მეორე) ეტაპი მოიგო, დანარჩენ ორში კი მეორემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

ესპანელს გუშინაც შეეძლო მოგება, მაგრამ საფინიშო სპურტის დროს, მას გზა გადაუღობა (ყოველგვარი წესის დარღვევის გარეშე) მსოფლიოს ჩემპიონმა, იტალიელმა **პაოლო ბეტინიმ**. სწორედ ბეტინის გამარჯვებით დასრულდა გუშინდელი ეტაპი, რომელზეც ველომრბოლებს მეორე კატეგორიის ერთი და მესამე კატეგორიის სამი აღმართის გავლამ მოუწიათ.

სხვათა შორის, მეორე ეტაპის ფინიშზეც პირველი ორი ადგილი სწორედ ამ ორმა ველომრბოლმა გაიყო. ოღონდ, მაშინ ესპანელი უფრო სწრაფი და მოხერხებული გამოდგა. ფრეირემ ფინიშამდე კილომეტრით ადრე მომხდარ მასობრივ დაცემასაც აარიდა თავი და ფინიშზეც იოლად გაუმკლავდა თავის მეტოქეებს.

ფინიშისწინა ინცინდენტში მოჰყვა პირველი ეტაპის გამარჯვებული, იტალიელი **დანიელე ბენატი**. მან ფინიშს მაინც მიაღწია და პელოტონის დრო ჩაეთვალა, რადგან მასობრივი ინცინდენტის დროს, თუ ის ფინიშამდე კილომეტრის ფარგლებში ხდება, ველომრბოლებს ჩათვლა ავტომატურად ეძლევათ.

რაც შეეხება ფრეირეს, მან განაცხადა, რომ პირველი ეტაპის დროს, მუცლის ტკივილი სტანჯავდა, რის გამოც, ბენატისთან საფინიშო სპურტში წააგო. სხვათა შორის, გუშინდელი ეტაპის ჩათვლით, ფრეირემ ბოლო ექვსი რბოლიდან ხუთი მეორე ადგილზე დაასრულა და მხოლოდ ერთი მოიგო. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ გამარჯვებით მან ლიდერის ოქროსფერი მაისური მოირგო.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ ვუელტაზე პირველ სამ ადგილზე გასული ველომრბოლები ამჯერად დოპინგის გამო არ ასპარეზობენ. მათგან ორი - ყაზახები, **ალექსანდრ ვინოკუროვი** და მისი თანაგუნდელი (ასტანადან) **ანდრეი კაშეჩკინი** სისხლის დოპინგზე ჩავარდნენ, ესპანელ **ალეხანდრო ვალვერდეს** კი ოპერასიონ პუერტოში გარევის გამო სდევნიან.

მერაბ ლორთქიფანიძე

ოსკარ ფრეირე სასიამოვნო გარემოცვაში

I ეტაპი. ვიგოს გარშემო (146.4 კმ)

1. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 3:43.09 (39.364 კმ/სთ); 2. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) იგივე დროში; 3. ალესანდრო პეტაკი (იტალია, მილრამი); 4. ალან დევისი (ავსტრალია, დისქავერი ჩენელი); 5. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 6. ორლენ კლერი (შვეიცარია, ბუჟე ტელეკომი); 7. კოლდო ფერნანდესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი); 8. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი) ყველა იგივე დროში...

II ეტაპი. ალარისიდან სანტიაგო დე კომპოსტელამდე (148.7 კმ)

1. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) 3:31.03 (42.274 კმ/სთ); 2. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) იგივე დროში; 3. ლეონარდო დიუკე (კოლუმბია, კოფიდისი); 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 5. დავიდ რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) ყველა იგივე დროში...

III ეტაპი. ვიკეირიდან ლუარკამდე (153 კმ)

1. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 4:08.42 (36.912 კმ/სთ); 2. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) იგივე დროში; 3. ალან დევისი (ავსტრალია, დისქავერი ჩენელი); 4. დავიდ რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი); 5. ფილიპ ჟილბერი (ბელგია, ფრანსის დე ჟუ); 6. რენე მანდრი (ესტონეთი, AG2r პრევოიანსი); 7. ქსავიე ფლორენსიო (ესპანეთი, ბუჟე ტელეკომი); 8. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო); 9. ფრანკო პელიკოტი (იტალია, ლიკიგაზი); 10. დანიელ მორენო (ესპანეთი, რელაქსი) ყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია 3 ეტაპის შემდეგ

1. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი) 11:22.54; 2. ლეონარდო დიუკე (კოლუმბია, კოფიდისი); 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 4. რენე მანდრი (ესტონეთი, AG2r პრევოიანსი); 5. დავიდ ლოპესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი); 6. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო); 7. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი)...